# გილოცავთ დამდეგ 2005 წელს!

# საქართველოს რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 29 დეკემბერი, 2004 წელი. №302 (5031) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



## თუკი სამშობლოს სიცოცხლე გვინდა

თუ წინაპართა ნება არ მოგვყვა,
თუ საქართველო ყვავ-ყორნებს შერჩათ,
თუ ჩვენზე ადრე სამშობლო მოკვდა,
მიწა კი არა, სირცხვილი შეგვჭამს.
 ჯერ მოსაკლავი არა გვაქვს თავი,
 სანამ ვახსენებთ დიდგორს და დავითს.
 სანამ ცხინვალი და სანამ გალი
 არ დაიღლება განსჯით და დავით.
სანამდე ჩვენში ქართველი დედა
მამულზე ფიქრით აკვანთან ათევს,
სანამ კრწანისთან, ანდა ტამიშთან
ვერ შეაშინებს სიკვდილი ქართველს.
 სანამ ალგეთში ლეკვები მგლისა,
 ხმას იბოხებენ, ლესავენ ბრჭყალებს.
 სანამდე ვხედავთ იმედად ხსნისა
 ქართველ უმაწვილთა ანთებულ თვალებს.
სანამდე ჩვენი ქალიშვილები
სიზმრად ხედავენ ცხრა შვილის აკვანს,
სანამ ქართველი სისხლით და ოფლით
სამშობლოს მიწას მართლაც თავს აკლავს.
 სანამ სახელი 300 ყმისა,
 წყალს არ გაჰყვება, დარჩება ქვიშად,
 სანამ ხმა გვესმის ვახტანგის ხმლისა,
 ეს საქართველოს სიცოცხლეს ნიშნავს.
თუ ქართველები ვიქნებით ერთად,
ქვეყნის ერთობის ჟამიც დადგება,
თუ ფსოუსთან და თამარაშენთან
არ დავინანებთ თავის დადებას.
 უნდა გვერდიგვერდ და ერთად იდგეს,
 ვეფხვიც და ვეფხვთან მებრძოლი მოყმეც.
 და თუ სამშობლოს სიცოცხლე გვინდა,
 სამშობლოსათვის ჩვენ უნდა მოვკვდეთ!

ნოდარ ჯალაღონია.

◉ წინასაახალწლოდ



ჩიჩილაკები. თემო ნიკოლაიშვილის ფოტო.

## ნომერში წაიკითხავთ:

### „წერას“ აფანილი



საქართველოს ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს დავით მირცხულავას განუძრახავს, პატიმრობიდან გამოსვლის შემდეგ მემუარები წეროს.

მე-3 გვ.

### საქართველოს ლექსის მეხანძარენი



რუსთაველის პოემასთან შეხებამ მსოფლიოს უამრავი ლიტერატორი დაამეგობრა ქართველ კოლეგებს. ისეთი პატარა ერის შვილს, როგორიც დიმიტრი გულია იყო, მეგობრობის ძალამ უბიძგა და „ვეფხისტყაოსანი“ აფხაზურად ათარგმნინა.

მე-4 გვ.

### მითი რეალური საფუძვლით



ცნობილი ბიზნესმენი, სეოკის ვიცე-პრეზიდენტი და სპორტის ზამთრის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი გოგი თოფაძე აცხადებს, არ არის გამორიცხული, ბაკურიანმა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის თავისი კანდიდატურა წარადგინოსო.

მე-7 გვ.

◉ პრეზიდენტი

## ზეიმი ახალქალაქში

**გუშინ სასიამოვნოდ გაოცდა და გაიხარა ახალქალაქმა: მას მოულოდნელად საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ესტუმრა.**

ეს გადაჭარბებული სულაც არ არის – მთელი ახალქალაქი გარეთ გამოეფინა, რათა ენახა, დალაპარაკებოდა, ხელი ჩამოერთმია თავისი პრეზიდენტისთვის. ეს იყო სიყვარულისა და პატივისცემის ნამდვილად სახალხო გამოხატულება. ერთმანეთში ირეოდა ქართული, სომხური, რუსული მეტყველება.

– შენ გაიხარე სააკაშვილო! მი-შა! მი-შა! – აღტაცებას ვერ მალავს მოხუცი სომეხი.

აშკარა იყო, რომ პრეზიდენტსაც ეამა ასეთი თბილი, გულითადი შეხვედრა. იგი სახელდახელო სცენაზე ავიდა და სამ ენაზე, მათ შორის სომხურად, მიესალმა ხალხს: – თქვენ ჩვენი საამაყო და საყვარელი მოქალაქეები ხართ და ვწუხვარ, რომ ყოველთვის საჭირო ყურადღებას ვერ გაქცევთ. თქვენ ყოველთვის ერთგულად და მტკიცედ დგახართ ჩვენს გვერდით!

შემდეგ პრეზიდენტი მოცეკვავეთა მწყობრში ჩადგა, მათთან ერთად იცეკვა.

ხალხი იმანაც მოხიბლა, რომ მიხეილ სააკაშვილი ერთ-ერთ ახალქალაქელს შინ ესტუმრა და მომავალი შობა-ახალი წელი მიულოცა.

სულ ორიოდ საათი დაჰყო ახალქალაქში პრეზიდენტმა, მაგრამ ულევი იმედი დატოვა ჯავახეთში, რაც მთავარია, თვითონაც ასევე იმედით აღსავსე წამოვიდა იქიდან.

საკუთარი ინფორმაცია.



◉ დღე

## ბატონი ბექანი აფხაზეთის შემომტკიცებას გვპირდება

**გუშინ ბომბი გასკდა პარლამენტში – სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე სამეგრელოს დეპუტაციამ (მისმა ნაწილმა) სამეგრელო-ზემო სვანეთის პრეზიდენტის რწმუნებულის გიგი უგულავას უპირობო გადადგომა მოითხოვა.**

დავაკონკრეტოთ: ამ მოთხოვნით წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მაჟორიტარი დეპუტატები გიორგი ცანავა და ვალერი იზორია და საპარლამენტო უმრავლესობის სიით გასული დეპუტატი ბექან გუნავა გამოვიდნენ.

თუ მთლად სიმართლეს ვიტყვით, ძირითადი მომთხოვნ-გამცხადებელი ბატონი ბექან გუნავა იყო.

რაკიღა პარლამენტარი (პარლამენტარები) თავს გადადებს და პრეზიდენტის რწმუნებულს ასეთი ხმაურით დაუპირისპირდება, მას საამისოდ საფუძვლიანი მიზეზიც უნდა ჰქონდეს.

მაინც რას უჩივის ის (ისინი) გიგი უგულავას?

გუბერნატორი არაფერს აკეთებს სამეგრელოსთვის და ადგილობრივი მოსახლეობის გაუსაძლისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლადო.

შემდეგ (ისევ ბატონ ბექან გუნავას განცხადებიდან): მიგვაჩნია, რომ უპრინციპო გუბერნატორი, რომელიც არ ითვალისწინებს სამეგრელოს მოსახლეობის ინტერესებს, სამეგრელოს არ სჭირდება, რეგიონში ხელისუფლება უკეთესობისკენ უნდა შეიცვალოს, გიგი უგულავა კი უნდა გადადგესო.

მაგრამ განმცხადებელი არ შემოიფარგლა ამ „გადასადგომი არგუმენტების“ ჩამოთვლით, რომლებიც, კაცმა რომ თქვას, კონკრეტულობისა და მაგალითების სიუხვით არ გამოირჩეოდა და, ძირითადად, დეკლარაციული სახე ჰქონდა, და დაუმატა, თუ უგულავა არ გადადგება, სამეგრელოს დეპუტაცია გაზაფხულზე რეგიონში საზოგადოებრივ ყრილობას ჩაატარებს და ამ მოთხოვნას თავად მოსახლეობა დააყენებსო.

იხ. მე-2 გვ.

◉ დაფასება

## სიყვარული – სიხარულის წილ

იხ. მე-7 გვ.



2004 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი, ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური მეუღლესთან – ხათუნა ჭინჭარაულთან ერთად.

◉ სხვა გაზეთებიდან

## უკრაინის გაკვეთილი

Le Monde

**საქართველოსა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების შემდეგ უკრაინამაც დაამტკიცა, რომ ავტოკრატია არ არის ის გარდუვალი ბედი, რომელიც ელის ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხებს. ბატონმა პუტინმა ეს უნდა შეიგნოს. მაგრამ ეს უნდა შეიგნოს ევროპამაც. დაეხმაროს უკრაინას, იღონოს ყველაფერი იმისთვის, რომ იქ დამყარდეს მტკიცე დემოკრატია და თანამედროვე ეკონომიკა.**

ალბათ, გაივლის მრავალი დღე და, იქნებ, სასამართლო გარჩევაც კი დასჭირდეს იმას, რომ ვიქტორ იუშჩენკოს გამარჯვება უკრაინის არჩევნებში ოფიციალურად აღიარონ და „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ლიდერმა დაიკავოს კიევში პრეზიდენტის სასახლე. მაგრამ მისი გამარჯვება ქვეყნის ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრზე, პრორუსულად განწყობილ კანდიდატ ვიქტორ იანუკოვიჩზე საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება.

„თოთხმეტი წლის განმავლობაში ჩვენ ვიყავით დამოუკიდებლები, მაგრამ არ ვყოფილვართ თავისუფალი“, – განაცხადა გამარჯვებულმა. მაშინ, როცა, ვლადიმერ პუტინის რუსეთი, რომელმაც აღაშფოთა მრავალი უკრაინელი საარჩევნო კამპანიაში უხეში ჩარევით, უბრუნდება ავტოკრატიას (როგორც ეს თქვა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა), უკრაინას თავის ისტორიაში პირველად მიეცა შანსი გახდეს დანარჩენი ევროპისთვის ღია, დემოკრატიული ქვეყანა. „უკრაინის მომავალი მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული“, – აღნიშნა ასევე ბატონმა იუშჩენკომ. ქვეყანა მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ გახდა დამოუკიდებელი კრემლის ორბიტაზე სამასი წლის ყოფნის შემდეგ. მას მემკვიდრეობით ერგო წარსულისგან მძიმე შიდა და საგარეოპოლიტიკური ვითარება. იუშჩენკოს წარმატებას ვერ დააკნინებს ის ფაქტი, რომ უკრაინა კვლავ ორადაა გაყოფილი – ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში ცხოვრობს საკმაოდ გავლენიანი რუსულენოვანი უმცირესობა, რომელსაც ახალმა პრეზიდენტმა უნდა მისცეს გარანტიები, რადგან ზოგიერთები უკვე იმუქრებიან გამოყოფით. მას ასევე მოუწევს გადააწყდეს დიდ წინააღმდეგობას ოლიგარქების მხრიდან, რომლებმაც დაინაწილეს ეროვნული ეკონომიკა კუჩმას მმართველობის წლებში და ინარჩუნებენ მჭიდრო კავშირურთიერთობას რუსეთთან, ქვეყანასთან, რომელზეც დამოკიდებულია უკრაინაში ენერგიის მიწოდება.

ახალ პრეზიდენტს ასევე მოუწევს გამოიჩინოს დიდი დიპლომატია დიდ რუს ძმასა და დასავლეთის სამყაროს შორის, რომელსაც უკრაინა უკავშირებს თავის იმედებს, ნატოსა და ევროპის კავშირის მიმზიდველ ძალასა და რეალურ პოლიტიკურ ვითარებას შორის, რომლისთვისაც მიუღებელია კრემლთან აშკარა დაპირისპირება.

ვიქტორ იუშჩენკოს წინაშე დგას რთული ამოცანა. ქვეყანა გადაღალა გაუთავებელმა ბრძოლამ ხელისუფლებისთვის და გაჭიანურებულმა საარჩევნო პროცესმა. ოლიგარქები და ნომენკლატურა, რომლებიც არხეინად გრძნობდნენ თავს წინანდელი რეჟიმის დროს, გულხელდაკრეფილი არ იქნებიან. ისინი ეცდებიან ყოველმხრივ დაამუხრუჭონ და დაბლოკონ ქვეყანაში დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების პროცესი.



◉ ინფორმაცია

### გამორჩეულებს – სოლიდური პრემია

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გუშინ თბილისის საპატრულო პოლიციის 60 მუშაკს პრემიები გადასცა.

### პლუს 40 მეგავატი

საქართველოს ენერგოსისტემამ დამატებით 40 მეგავატი სიმძლავრე მიიღო. ხანგრძლივი სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ ჩაირთო „ხრამი-2“-ის პირველი აგრეგატი.

როგორც ენერგეტიკის მინისტრმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „ხრამი-2“-ის სარეაბილიტაციო სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ენერგეტიკის სუბსიდიიდან დაფინანსდა. – „ხრამი-2“-ის პირველი აგრეგატის მუშაობა მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც იქ არსებული პრობლემა გადაწყდა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება თავის თავზე სახელმწიფომ აიღო, – განაცხადა გილაურმა.

მისი თქმით, ამჟამად საქართველოს გენერაციაში არსებული ყველა აგრეგატი, რომლის გაკეთებაც შესაძლებელი იყო, სრული დატვირთვით მუშაობს.

### აღიჭურვებიან „სიმენსის“ აპარატურით

ქუთაისისა და ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოები დღეიდან თანამედროვე ტიპის ულტრაბგერითი ექოსკოპიური აპარატებითა და სადიაგნოსტიკო ცენტრებით აღიჭურვება.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ვარლამ მოსიძე ახალ აპარატურას რეგიონების მოსახლეობას დღეს ჩაუტანს.

როგორც სამინისტროში განაცხადეს, ფირმა „სიმენსმა“ ულტრათანამედროვე ექოსკოპიური აპარატურა სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ცენტრისთვის (თოდუას ცენტრი) შეღავათიან ფასად ცოტა ხნის წინ გამოგზავნა. სწორედ ცენტრში არსებული უფრო დაბალი ხარისხის, თუმცა რეგიონებისთვის უნიკალური აპარატურა გაიგზავნება ქუთაისსა და ზუგდიდში.

### საახალწლო საჩუქრები – „იმედის“ აღსაზრდელებს

პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთში გია გეწაძემ და საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდის წარმომადგენლებმა დღეს ქუთაისში მოქმედი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის „იმედის“ აღსაზრდელებს საახალწლო საჩუქრები გადასცეს.

გია გეწაძე სარეაბილიტაციო ცენტრს შვილთან ერთად ეწვია. მან ინტერ-პრესს განუცხადა, რომ საახალწლო საჩუქრებით ამ ტიპის ყველა ბაღს ეწვევა.

დღეს ანალოგიური აქცია ქუთაისის ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ცენტრში გაიმართება.

## ინტერპანორამა



### ყველა ბიულეტინის დათვლის შემდეგ

უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, ბიულეტენების 100 პროცენტის დათვლის შემდეგ გაირკვა, რომ იუშჩენკოს ხმა მისცა ამომრჩეველთა 51,99 პროცენტმა, იანუკოვიჩს მხარი დაუჭირა – 44,19 პროცენტმა. ყველას წინააღმდეგ ხმა მისცა 2,34-მა პროცენტმა. არჩევნების ოფიციალური შედეგები გამოცხადდება 3 იანვარს, თუ სასამართლოში საჩივრების განხილვა არ მოხდება.



### პალმის კენწეროზე გადარჩა

როდესაც ცუნამის შედეგად უზარმაზარმა ტალღამ წალეკა ყველა ხის ნაგებობა, პეტრა ნემცოვამ შეძლო მიეცურა პალმის კენწერომდე, სადაც 8 საათს გაძლო, თან ხედავდა, ქვემოთ როგორ ტივტივებდნენ დაღუპული ადამიანები. მისი მეგობარი ვაჟი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

CYAN MAGENTA YELOOW BLACK

საქართველოს რესპუბლიკა
№ 302, ოთხშაბათი, 29 დეკემბერი, 2004 წელი.

პარლამენტის თავმჯდომარე

# საჭიროა სრულყოფილი საკანონმდებლო ცვლილებები

**პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ მთავრობას მოუწოდა, პარლამენტს სრულყოფილი საკანონმდებლო ცვლილებები შესთავაზოს. როგორც გუშინ ბურჯანაძემ სხდომაზე განაცხადა, მთავრობას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებებიდან ვერ მოხდებოდა, რადგან „მეცნიერებათა აკადემიის შესახებ" კანონი მის დამოუკიდებელ დაფინანსებას ითვალისწინებს.**

– შეიძლება, მთავრობას პარლამენტისგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდეს, თუმცა ეს პოზიცია მან კანონში უნდა დააფიქსიროს. მთავრობას უნდა სცოდნოდა, რომ ეს სადავო გახდებოდა, ამიტომ პარლამენტში „მეცნიერებათა აკადემიის შესახებ" კანონში ცვლილებების კანონპროექტი უნდა შემოეტანა, – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ვიდრე აღნიშნული საკითხი არ გადაწყდება და ბიუჯეტში მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსების პრობლემა არ მოგვარდება, პარლამენტი ბიუჯეტის პროექტს კენჭს არ უყრის.

2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად, მეცნიერებათა აკადემიამ დაფინანსება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებებიდან უნდა მიიღოს. ამას ფინანსთა მინისტრი იმით ხსნის, რომ მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსება პროგრამულად ხორციელდება, იგი საბიუჯეტო ორგანიზაცია აღარ იქნება და მისი დაფინანსება რომელიმე საბიუჯეტო ორგანიზაციის ასიგნებებიდან განხორციელდება.

კანონმდებლები

# სად აორთქლდა ფული?

**1992-93 წლებში ანაბრების გაუფასურება სახელმწიფოსთან შეზრდილი დანაშაულებრივი კავშირის შედეგი იყო, – ასეთი დასკვნა გამოიტანა პარლამენტში ერთი თვის წინათ შექმნილმა მომხსენებელთა ჯგუფმა, რომელსაც ანაბრების გაუფასურების მიზეზები უნდა შეესწავლა და ამ პროცესში პარლამენტარ ვანო ჩხარტიშვილის როლი უნდა დაედგინა.**

როგორც მომხსენებელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ვასილ მაღლაფერიძემ გუშინ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, ანაბრების გაუფასურება ობიექტურთან ერთად, ბევრი სუბიექტური მიზეზითაც მოხდა. კერძოდ, ლება. 1992-93 წლებში 500 ორგანიზაციაზე ეროვნულმა ბანკმა 854 მლნ. მანეთი და კუპონი კრედიტის სახით გასცა. ამჟამადაც არსებობს ეროვნული ბანკის იმჟამინდელი პრეზიდენტის დვალიშვილის ე.წ. შავი სია. მასში მოხსენიებულები არიან იმ 500 ორგანიზაციის დამფუძნებლები და რეკომენდატორები, რომლებმაც ეროვნული ბანკიდან თანხები გაიტანეს, – განაცხადა მაღლაფერიძემ.

მისივე თქმით, ამ დროისთვის შემნახველ ბანკებს, რომელთა სამართალმემკვიდრე ჩხარტიშვილის მიერ დაფუძნებული საქართველოს გაერთიანებული ქართული ბანკია, ფულის გა-



მისი თქმით, ამის მიზეზი მაშინდელი ეროვნული ბანკის მიერ გატარებული დანაშაულებრივი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გახდა. – მაშინ ჩამოყალიბდა ე.წ. თეთრსაყელოიანთა ფენა, რომლებმაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესით ისარგებლეს. ამას ხელი შეუწყო ხელისუფლების ქმედებებმაც, – განაცხადა მაღლაფერიძემ.

მისი თქმით, ხელისუფლებამ ურცხვად მოატყუა მოსახლეობა და მიმზიდველი წინადადებები შესთავაზა – ხელისუფლებამ იცოდა, რომ რუსული მანეთი გაუფასურდებოდა. იმის მაგივრად, რომ მოსახლეობა გაეფრთხილებინა, მან ისარგებლა დაბნეული ხალხის ნდობით და ბოლო კაპიკები ამოაცალა ჯიბიდან. ეს იყო ძარცვის ოპერაცია და საუკუნის აფიორა, რომელიც ხელისუფლებამ მოსახლეობას შესთავაზა, – განაცხადა მაღლაფერიძემ.

მისი თქმით, 1992 წლის ზაფხულში ხელისუფლება ხალხს დაჰპირდა, რომ შემნახველ ბანკებში ფულის შეტანის შემთხვევაში მათ შენატანი გაუორმაგდებოდათ. – აღნიშნული დაპირების შემდეგ ხელისუფლებამ მოსახლეობისგან 50 მლნ. დოლარი ამოიღო, რომელიც უნდა გაეორმაგებინა, თუმცა ერთი წლის შემდეგ აღნიშნული შენატანი 35-ჯერ შემცირდა, რადგან გამოვიდა გაუფასურებული კუპონი, – აღნიშნა ჯგუფის ხელმძღვანელმა.

კომისიის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სწორედ იმ დროს, როცა ხელისუფლება მოსახლეობას ბანკებში ფულის შეტანას სთხოვდა, ე.წ. თეთრსაყელოიანები ეროვნული ბანკიდან კრედიტებს იღებდნენ. – ამ დროს დაიწყო საკრედიტო ბუმი. ეროვნულ ბანკს მიეცა კრედიტების გაცემის უფლება... ცემა არ შეეძლოთ, რადგან არ გააჩნდათ შესაბამისი ფულადი ნიშნები. „ანაბრების გაუფასურებაში ჩხარტიშვილის როლი არ იკვეთება, რადგან მაშინ ის პასუხისმგებელ თანამდებობაზე არ მუშაობდა, განაცხადა მაღლაფერიძემ.

მომხსენებელთა ჯგუფი ხელისუფლებას სთავაზობს, 1992-93 წლებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა დანაშაულებრივად შეფასდეს. ამასთან, პროკურატურამ უნდა გამოიძიოს იმ ფულადი მასის აორთქლების საკითხი, რომელიც 1991 წელს დაიკარგა. საქმე ეხება 1991 წელს თბილისში მიმდინარე ომის დროს მოსკოვიდან გამოგზავნილ ფულად მასას, რომელიც გაურკვეველი მიმართულებით დაიკარგა. ამასთან, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, სამართალდამცველმა ორგანოებმა იმ კრედიტორი ორგანიზაციებიდან ამოიღონ საპროცენტო განაკვეთები.

კომისია რეკომენდაციის სახით სთავაზობს ხელისუფლებას, შემუშავდეს მეანაბრეთა გრძელვადიანი რეაბილიტაციის პროგრამა, რომელშიც განისაზღვრება ანაბრების ინდექსაცია და მოსახლეობისთვის ფულის დაბრუნების მექანიზმი.

კომისიის დასკვნით, ანაბრების გაუფასურებაში მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის შევარდნაძის ხელისუფლების ფაქტორს, რადგან კრედიტორი ორგანიზაციების უკან შევარდნაძის ხელისუფლებაში მყოფი პირები მოიაზრებიან. კონკრეტული გვარები მაღლაფერიძემ არ დაასახელა.

**ინტერ-პრესი.**

სულიერება

# „კონსერვატორები", „თავისუფლების ინსტიტუტი" და სარჩელი

**ბრძოლა მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, რაც ლიბერალიზმის სახელით წამოიწყო გარკვეულ პირთა ჯგუფმა, დიდი ხანია პოლიტიკურ საკითხად იქცა. ამასთან დაკავშირებით პარლამენტშიც ჩატარდა კონფერენცია, რომელშიც საერთაშორისო ექსპერტებმა და სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ამის შემდეგ საპატრიარქომ წერილით მიმართა პარლამენტს და რელიგიის სფეროს სამართლებრივი მოწესრიგების შესახებ საკუთარი პოზიცია გააცნო. წერილს ოდნავ მოგვიანებით შევეხებით, მანამდე კი კახა კუკავას სიტყვებს შემოგთავაზებთ, რითაც დაწყო გუშინ „კონსერვატორების" პრესკონფერენცია. თემა – საქართველოს საპატრიარქოს სტატუსთან დაკავშირებით მიღებული კანონი.**

– როგორც იცით, რამდენიმე დღის წინათ პარლამენტმა მიიღო კანონი მაუწყებლობის შესახებ. ამის პარალელურად, ჩვენი ალტერნატიული წინადადება ითვალისწინებდა საქართველოს საპატრიარქოს გათავისუფლებას სალიცენზიო გადასახდელებისა და მოსაკრებლებისგან. მაშინ პარლამენტის თავმჯდომარემ და უმრავლესობის ლიდერმა ეს პოპულისტურ განცხადებად წარმოაჩინეს. თქვეს – ყველაფერი შევუთანხმეთ საქართველოს საპატრიარქოს და ის შეღავათებს არ საჭიროებსო. ორშაბათის ბიუროს სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ წაიკითხა საპატრიაქოს წერილი. მისი უწმიდესობა ილია II სთხოვს პარლამენტს, არ განმეორდეს პრეცედენტი და საქართველოს საპატრიარქოს მდგომარეობის შემცვლელი კანონები საპატრიარქოს მონაწილეობის გარეშე არ მიიღონ. ამასთანავე საქართველოს საპატრიარქო ერთობლივი კომისიის შექმნას ითხოვს, რათა მომავალში გაუთვალისწინებელი არ დარჩეს მისი შენიშვნები.

სამწუხაროდ, კახა კუკავას თქმით, საპარლამენტო უმრავლესობას არ აღმოაჩნდა პოლიტიკური ნება კონსტიტუციური შეთანხმების დასაცავად და სალიცენზიო გადასახდელებისგან საქართველოს საპატრიარქოს გასათავისუფლებლად. კანონი უკვე მიღებულია სამივე მოსმენით. რჩება მხოლოდ პრეზიდენტის ხელმოწერა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილის გათვალისწინებით „კონსერვატიული პარტიის" წარმომადგენლები ბატონ მიხეილ სააკაშვილს თავისი კონსტიტუციური უფლების გამოყენებას სთხოვენ – ხელი არ მოაწეროს კანონს და შენიშვნებიანად დაუბრუნოს პარლამენტს ხელახლა განსახილველად.

საპატრიარქოს ის წერილი, რომელიც რელიგიის სფეროს სამართლებრივი მოწესრიგების ასპექტებს ეხებოდა, მედიის წარმომადგენლებს **ზვიად ძიძიგურმა** გაგვაცნო. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ წერილი ყველა პარლამენტარს ეკუთვნოდა, მისი მოპოვება პარლამენტში გაძნელებიათ „კონსერვატორებს" და თავად საპატრიარქოდან წამოუღიათ.

– 2002 წლის 22 ოქტომბერს დადებული საკონსტიტუციო შეთანხმების მიხედვით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საქართველოს საპატრიარქოს წინააღმდეგ ვერაგული ნაბიჯი მზადდება, რისი ინიციატორიც, როგორც ყველამ ვნახეთ, „თავისუფლების ინსტიტუტია". საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილია სარჩელი, „თავისუფლების ინსტიტუტი" ითხოვს, საქართველოში არსებული ყოველი რელიგია თუ სექტა საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდეს, ანუ მართლმადიდებელ ეკლესიას გაუთანაბრდეს. მაშინ, როცა არსებობს ჩვეულებრივი გამოსავალი – სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლში შევიტანოთ შესწორებები და დამატებები. ამ მუხლში აღნიშნული უნდა იყოს ის, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა საკონსტიტუციო შეთანხმების წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს. კანონში ცვლილებების შეტანა პარლამენტის კომპეტენციის სფეროა და ეს სასამართლოს გარეშე აღმოფხვრის არსებულ წინააღმდეგობებს.

ამ საკითხზე საქართველოს საპატრიარქოსა და კონსერვატიული პარტიის პოზიციები ერთსახოვანია. პარლამენტისადმი გამოგზავნილ წერილში საპატრიარქო იმედს გამოთქვამს, რომ საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნებაც არის. აქედან გამომდინარე, სასამართლოს გზით მის გადაწყვეტას გაუგებრად მიიჩნევს. „კონსერვატორების" ინიციატივა ასეთი იქნება – საკონსტიტუციო შეთანხმების მოქმედების უზრუნველსაყოფად იმუშაონ შესაბამისმა კომისიებმა. სხვაგვარად – დასძინა ზვიად ძიძიგურმა, – ვერასდროს დავიცავთ ეკლესიას და ის მუდმივად იქნება სხვადასხვა მოხალისე ორგანიზაციის თავდასხმის ობიექტი.

**რუსუდან გახარია.**

დღე

# ბატონი ბექანი აფხაზეთის შემომტკიცებას გვპირდება

**(პირველი გვერდიდან)**

ვერაფერს იტყვი, დამაფიქრებელი მუქარაა (სხვა სახელს ვერ უწოდებ). რამდენად მასობრივ-რევოლუციური ხასიათი ექნება იმ საზოგადოებრივ ყრილობას, სხვა საქმეა.

გიგი უგულავა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად სულ სამი თვეა მუშაობს.

ნამდვილად არ ვიცი, ისეთი რა დააშავა ამ მოკლე დროში ან რა მთები უნდა შეეძრა და ვერ შეძრა, რომ ასე აიმხედრა რეგიონის დეპუტატები, ის კი ვიცი, რომ ლამის 15 წელიწადია სამეგრელო და მისი მოსახლეობა შავ დღეშია და მისი პრობლემები სულაც არ არის იმ კატეგორიისა, მოვიდეს ახალი გუბერნატორი და ორ დღეში იქაურობა ააყვავოს.

მაგრამ რაღაცას რომ აკეთებს ის კაცი და რაღაც პრინციპულობასაც ავლენს, თითქოს ვხედავთ (ტელევიზიით), მაგრამ ბატონ ბექანის სიტყვით, თურმე ვერც ვხედავთ და ვერც ვისმენთ.

კიდევ ვიმეორებ, არ ვიცი, რომელი სიღრმისეული წიაღიდან იყო ამოხეთქილი ბექან გუნავას, გიორგი ცანავასა და ვალერი იზორიას პროტესტი, მაგრამ რაღაც გასაღებს შეიძლება ბექან გუნავას კიდევ ერთ, ამჯერად კონკრეტულ ბრალდებაში მივაკვლიოთ. მან რწმუნებული პარლამენტარებთან თანამშრომლობისთვის თავის არიდებაში დაადანაშაულა: „ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ უგულავას თანამშრომლობისთვის, თუმცა მან უხეში, უტაქტო და უზრდელური გამონათქვამებით გვიპასუხა. შესაძლოა, უგულავა სპეცსამსახურში კარგი თანამშრომელი იყო, მაგრამ, როგორც რწმუნებული, არ ვარგა".

საგნებს თავისი სახელი დავარქვათ: ჩანს, რომ რწმუნებულსა და ამ სამ დეპუტატს შორის მთლად მწყაზარი დამოკიდებულება არ არის („ძალაუფლებისთვის" ბრძოლის გამოძახილი ხომ არ არის ეს?)...

მაგრამ ამას გარდა, დასახელდა კიდევ ერთი, მთლად არსებითი „გასაღები": გიგი უგულავამ... მეგრული არ იცისო (თუმცა, რატომღაც ის აღარ უთქვამთ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა რატომ სვანური არ იცისო).

მართალია, პარლამენტის სხდომაზე, როცა ეს „ბრალდება" საყოველთაოდ გახმოვანდა, ბატონმა ბექანმა ცოტა არ იყოს, შეარბილა, მე ასე ვთქვი, კარგი იქნებოდა რწმუნებულს მეგრული სცოდნოდა, რათა მოსახლეობასთან საუბრის შესაძლებლობა ჰქონოდაო.

ამას პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მკაცრი რეპლიკა მოჰყვა, არასწორია, რომ სამეგრელოში აუცილებლად მეგრელი დავნიშნოთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე, იმერეთში – იმერელი და ასე შემდეგ. ანუ, საქართველო ჩვენი საერთო სახლია და კუთხურობის მიხედვით ხალხის დანიშვნა არამც და არამც არ ეგებისო, ასე საქართველო დაგვენგრევაო.

კიდევ ერთი: სამეგრელოს დეპუტაციამ პრესკონფერენციაზე ისიც განაცხადა, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დაწყებას ვაპირებთო.

ბექან გუნავას განცხადებით, თურმე დეპუტაცია სამეგრელოს რეგიონის სახელით, კონფლიქტის საბოლოოდ დასარეგულირებლად, არაოფიციალურ მოლაპარაკებებში ჩაერთვება. მეგრელებს მეტი საერთო აქვთ აფხაზებთან, ისინი ყოველთვის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, ამიტომ შესაძლოა ამ მოლაპარაკებებმა უფრო მეტი შედეგი გამოიღოსო.

ესეც ვცადოთ, კი ბატონო! მაგრამ პატივცემული ბექანი სერიოზულად ფიქრობს, რომ მართლა მიაღწევს შედეგს? ან აქამდე სად იყო, კაცო!..

**სანდრო ალექსიძე.**

ინფორმაცია

## მათი კრედო დახმარებაა

**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგიონული პოლიტიკის ცენტრი დაარსდა, რომელსაც რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი და მეცენატი ბესარიონ ხვინთელიანი უხელმძღვანელებს.**

**ბესარიონ ხვინთელიანი დიასპორათა ხელშემწყობ ფონდ „კრედოს" ხელმძღვანელია და აქტიურად მონაწილეობს რუსეთში მცხოვრები ქართული დიასპორის საქმიანობაში.**

**როგორც მან რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგიონული პოლიტიკის ცენტრის პრეზენტაციაზე განაცხადა, მოსკოვში ცენტრის გახსნა „პასუხობს საქართველოს პრეზიდენტის პრინციპულ პოზიციას რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების მოგვარებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თაობაზე". – იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთში ლტოლვილთა დიდი რაოდენობაა და ისინი ყველაზე დაუცველ ფენას წარმოადგენენ, ცენტრი თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას, ხელი შეუწყოს რუსეთში მცხოვრებ ქართულ დიასპორას, მათ შორის აფხაზეთიდან დევნილებს ქართული ენისა და კულტურის შენარჩუნებაში, მოამარაგოს ისინი წიგნებითა და სხვა გამოცემებით, – აღნიშნა ხვინთელიანმა.**

**გარდა ამისა, მისი თქმით, ცენტრი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ლტოლვილთა როგორც მორალურ, ისე ეკონომიკურ მომზადებას აფხაზეთში დასაბრუნებლად, იზრუნებს კვალიფიციური კადრების მომზადებაზე, რომლებსაც აფხაზეთში სხვადასხვა სფეროებში მოუწევთ საქმიანობა.**

**ხვინთელიანმა იმედი გამოთქვა, რომ ცენტრის შექმნით დიასპორა ქართულ-რუსული ურთიერთობების მოგვარებაში ფუნქციონალურ დატვირთვას შეიძენს და ხელს შეუწყობს როგორც რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების მოგვარებას, ასევე ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა სამართლებრივ ჩარჩოებში ჩამოყალიბებას.**

## ჭურვი – ავტოქარხანასთან

**ქუთაისის ავტოქარხნის მჭიდროდ დასახლებულ უბანში საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ჭურვი იპოვეს.**

**შემთხვევის ადგილზე უშიშროების სამსახური და გამნაღმველები მუშაობენ.**

**მათი განცხადებით, სავარაუდოდ, ეს ტანკსაწინააღმდეგო ჭურვია. სპეციალისტები არკვევენ, როგორ აღმოჩნდა იგი დასახლებულ ტერიტორიაზე.**

## კაპიტანო, გაიღიმე...

**საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში 2005 წლიდან კაპიტანთა სკოლა იხსნება, რომელიც საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად კაპიტანთა გარკვეულ კონტინგენტს მოამზადებს.**

**როგორც ინტერ-პრესს აკადემიის შტაბის უფროსმა, მაიორმა გიორგი ბლიაძემ განუცხადა, კაპიტანთა საკარიერო კურსებს პირველ ეტაპზე მე-11 მექანიზებულ-მოტომსროლელი ბრიგადიდან შერჩეული 20 კაპიტანი გაივლის. კაპიტანთა მომზადების პროგრამის ფარგლებში 12 კვირის განმავლობაში ჩატარდება ასეულის და ბატალიონის მართვის თეორიული და ტაქტიკური სწავლებები.**

**სასწავლო პროგრამა, ძირითადად, აკადემიის ბაზაზე ჩატარდება, თუმცა დაგეგმილია ასევე საველე გასვლები, სადაც დიდგორისა და კრწანისის ბრძოლები იქნება განხილული.**

**სწავლებას აკადემიის ის 15 სამხედრო ინსტრუქტორი ჩაატარებს, რომელმაც ამერიკელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით სპეციალური რვაკვირიანი მომზადება გაიარა.**

**2005 წლის განმავლობაში კაპიტანთა სკოლა ხუთ გამოშვებას მოამზადებს. კაპიტანთა საკარიერო კურსები შემდეგ წლებშიც გაგრძელდება.**

**ინტერ-პრესი.**

პროკურატურა

# შანსი უპრეცედენტოა, მაგრამ ყოყმანობენ



**უკვე ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენი სამართალდამცავი სტრუქტურები ახალ კადრებს, ახალ სახეებს ეძებენ. ამასთან, ეძებენ არა ნაცნობ-მეგობრობის, ბიძაშვილ-მამიდაშვილობის, არამედ პროფესიული ჩვევებისა და ადამიანური თვისებების მიხედვით. ამის აშკარა დადასტურება გახლავთ სტაჟიორთა ის კონკურსი, რომელიც ახლახანს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოაცხადა.**

გუშინდელ ბრიფინგზე გენერალური პროკურორის მოადგილემ ნონა წოწორიამ დაწვრილებით გაშიფრა კონკურსის პირობები. პროკურატურის ორგანოებში ადგილისა და 300-ლარიანი ხელფასის შოვნის შანსი ეძლევა 63 მაძიებელს. ერთი წლის მანძილზე ისინი სტაჟირებას გაივლიან თბილისის პროკურატურაში (6 კაცი), აჭარის პროკურატურაში (3), ბათუმის პროკურატურაში (3), საოლქო პროკურატურებში (2-2), დედაქალაქის რაიონულ პროკურატურებში (2-2), რაიონულ პროკურატურებში (თითო-თითო).

პირველი „გაწურვა" მომავალ სტაჟიორებს 2005 წლის იანვრის ბოლოს ელით. ჯერ მოეწყობა წერილობითი ტესტირება, მერე კი – ზეპირი გასაუბრება. ტესტირებისას მაძიებელმა უნდა გადალახოს 75-პროცენტიანი ზღვარი, გასაუბრებისას კი სრულად უნდა წარმოაჩინოს საკუთარი იმიჯი. თუმცა, ყველაფერი ამით არ მთავრდება. უკვე სტაჟირების დროს ყოველ მათგანს შეაწუხებენ როგორც 6, ისე 9 თვის შემდეგ. გადამწყვეტი შეფასება კი ერთი წლის შემდეგ შედგება.

ისე, თუ შინაურულად ვიტყვით, საპროკურორო გამოცდებგავლილ კაცს არ უნდა გაუჭირდეს 3 კი არა, თუნდაც 9 ბარიერის გადალახვა. ამ პროცესს გააიოლებს ამ ერთი წლის მანძილზე გამომძიებლის, ზედამხედველი პროკურორის და სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლის უნარ-ჩვევების ბეჯითად ათვისებაც და პრაქტიკაში გამოყენებაც.

ერთი სიტყვით, ყველაფერი დამოკიდებულია საკუთარ თავზე, მონდომებაზე, პროფესიულ სიყვარულზე, ადამიანურ მიდგომაზე. როგორც ჩანს, საკუთარ თავს, ჯერჯერობით, ბევრი ვერ ენდობა. კონკურსის ვადა იწურება 4 იანვარს, 28 დეკემბრისთვის კი სტაჟირების გავლის სპეციალურ კომისიას მიმართა მხოლოდ ათმა კაცმა.

იჩქარეთ, ხალხო, დრო ელვის სისწრაფით გადის. თუ რაიმეს შეტყობა გსურთ, დარეკეთ ტელეფონზე: 98-25-76. ყველაფერს გეტყვიან, ყველაფერს აგიხსნიან!

**ზონდო გულიაშვილი.**

სიტყვაც საქმეა

# „რევოლუციური" ოპტიმიზმი... წინასაახალწლოდ

**„ჩვენ წარმატებებით მივდივართ წინ და მომავალი წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება", – გვითხრა საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა კობა ბექაურმა, როდესაც, წინასაახალწლოდ, ქვეყანაში შექმნილი ვითარების შეფასება ვთხოვეთ. ბუნებრივია, წარმატებები ყოველ ჩვენგანს გაუხარდება, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არ მოველოდი, თუ მმართველი პარტიის წარმომადგენელი ოდნავ მაინც თვითკრიტიკული არ იქნებოდა. ფაქტია, რომ ასე არ აღმოჩნდა და ხელთ შემრჩა, ასე ვთქვათ, „უპრობლემო" საუბარი.**

**– ბატონო კობა, წინასაახალწლოდ, პარლამენტმა მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტი. რას იტყოდით, თუნდაც საგადასახადო კოდექსზე და 2005 წლის ბიუჯეტზე?**

– დღევანდელი ხელისუფლება რევოლუციური ნაბიჯებით მიდის წინ. ახალი საგადასახადო კოდექსი მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, იგივეს ვიტყვი ბიუჯეტზე, რომელიც მინიმუმ სამჯერ გაიზარდა. ასეთი რამ საქართველოს ისტორიას არ ახსოვს.

**– მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა რეგიონებში. ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი ხალხი ათეული წელიწადია „ღამის წყვდიადში ჩაფლულა..." ამ მხრივ კი ჯერჯერობით უკეთესობა არ შეიმჩნევა.**

– 2005 წელს აუცილებლად გადაიჭრება ენერგეტიკისა და გზის პრობლემები. საქართველოში შემოვლენ კომპანიები, რომლებიც ამ საკითხებს მოაგვარებენ. ასე რომ, მომავალ წელს ჩვენს ხალხს არანაირი პრობლემა აღარ ექნება. მინდა ყველას ბედნიერება, ჯანმრთელობა, სიმდიდრე და ყოველივე კარგი ვუსურვო.

**– ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენია...**

– მომავალ წელს, დამერწმუნეთ, ცხინვალის პრობლემა გადაწყდება და აფხაზეთის დაბრუნების შანსიც გაჩნდება. ჩვენმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თავის საპრეზიდენტო ვადაში ამ პრობლემას აუცილებლად მოაგვარებს.

**– თქვენ როგორ გესახებათ მისი გადაწყვეტის გზა?**

– მე ბედნიერი ვარ, რომ იმ პარლამენტში მომიწევს მოღვაწეობა, რომელიც ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს. როდესაც ჩვენ ეკონომიკურად, ფიზიკურად, სულიერად, ყველანაირად გავძლიერდებით, ჩვენი მეგობრებიც უკვე სხვანაირად დაგვიწყებენ საუბარს.

**– თქვენ თქვით, რომ ბიუჯეტი სამჯერ გაიზარდა, რომ 2005 წლიდან ვითარება არსებითად უკეთესობისკენ შეიცვლება. მაგრამ საწარმოები არ ამოქმედებულა, უმუშევრობა არ შემცირებულა...**

– ქვეყანაში ვითარება ერთბაშად არ შეიცვლება, ნელ-ნელა ყველაფერს მოევლება. მწამს, რომ მომავალ წელს უამრავი საწარმო ამუშავდება და ხალხი დასაქმდება.

**მმართველი პარტიის წარმომადგენლის „რევოლუციურ" ოპტიმიზმს, ალბათ, ბევრი ოპონენტი გამოუჩნდება. ღმერთმა ქნას, ბატონი კობას ყოველი სიტყვა ახალ 2005 წელს მართლაც აგვსრულებოდეს. „უჟიელია მამალსაო", – ჩვენზე იქნება ზედგამოჭრილი დამდეგ მამლის წელს.**

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი.**

სხვა გაზეთებიდან

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

იური სიმონიანი, „ნეზავისიმაია გაზეტა", 28 დეკემბერი.

# „დემოკრატიას ვერავინ შეაჩერებს..."

**მიხეილ სააკაშვილს მიაჩნია, რომ უკრაინის და საქართველოს გამოცდილებას დსთ-ს სხვა სახელმწიფოებიც აიტაცებენ**

**არჩევნებში გამარჯვება ვიქტორ იუშჩენკოს პირველმა მიულოცა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. „ქართველი ხალხის სახელით** ახლა უკვე შემიძლია ჩემს მეგობარს ვიქტორ იუშჩენკოს მივულოცო ღირსეული გამარჯვება არჩევნებში", – განაცხადა მან კვირა საღამოს, უკრაი-



**ნაში საარჩევნო უბნების დახურვიდან ორი საათის შემდეგ უკრაინის ტელევიზიის პირდაპირი ეთერით გამოსვლისას. უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისადმი თავისი დამოკიდებულების შესახებ მიხეილ სააკაშვილი გვესაუბრა „ნეზავისიმაია გაზეტასთვის" მიცემულ ექსკლუზიურ მინი-ინტერვიუში.**

**– ბატონო პრეზიდენტო, თუ მიგაჩნიათ კანონზომიერად უკრაინაში მიმდინარე მოვლენები?**

– სინამდვილეში, უკრაინაში მოვლენათა ასეთი განვითარების შესახებ მე უკვე კარგა ხნის წინათ გამოვთქვი პროგნოზი. მე კიევში ვსწავლობდი და ამ ქვეყანას კარგად ვიცნობ. მუდამ ვცდილობ, უარვყო მტკიცება იმის თაობაზე, თითქოს უადგილო იყოს რაიმე პარალელის გავლება უკრაინასა და საქართველოს შორის. მართალია, ამას ხმამაღლა არ ვაცხადებდი, მაგრამ ყველა ოფიციალური შეხვედრის დროს აღვნიშნავდი: დემოკრატიას ვერავინ შეაჩერებს. და მართლაც ასე მოხდა.

**– დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში მრავალი პოლიტიკოსი რევოლუციის წყაროდ მიიჩნევს საქართველოს, თქვენ კი – ერთგვარ მეამბოხედ, პოსტსაბჭოურ სივრცეში რევოლუციური გარდაქმნების ინიციატორად.**

– პრობლემა ის არის, რომ ჩვენმა „ვარდების რევოლუციამ" მართლაც ჩაუნერგა გარკვეული შიშის გრძნობა თანამეგობრობის ქვეყნების ზოგიერთ პოლიტიკოსს. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც მოხდა უკრაინაში. და ყოველივე ამაში, ასე ვთქვათ, არ მიუძღვის ბრალი საქართველოს, ეს არ გახლავთ ცალკეული პოლიტიკოსების მოქმედების შედეგი. ეს ჩვეულებრივი, კანონიერი პროცესია. სხვადასხვა ქვეყანაში იგი სხვადასხვაგვარ ფორმას მიიღებს. მოვლენები ყველგან განსხვავებული სცენარით განვითარდება, რადგან არ არსებობს რევოლუციის არანაირი ექსპორტირებადი მოდელი. ყველა ქვეყანას თავისი განვითარების გზა აქვს. ეს შეიძლება რაღაცით წააგავდეს ჩვენსას, ან კი პირიქით, სრულიად განსხვავებული იყოს.

**– თუ შეიძლება, მივიჩნიოთ უკრაინის არჩევნები რუსეთ-საქართველოს ამ ბოლოდროინდელ ურთიერთობაში გაუგებრობის ერთ-ერთ მიზეზად. არჩევნებმა ხომ წარმოაჩინეს სახელმწიფოთა მეთაურების საწინააღმდეგო პოზიციები ამ საკითხში?**

– პირადული თვალსაზრისით, ვლადიმერ პუტინთან მე არანაირი პრობლემები არ მაქვს. მასთან შეხვედრების დროს თავს ძალზე კომფორტულად ვგრძნობ. ისევე, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ქვეყნების სხვა მეთაურებთან შეხვედრებისას.

მოამზადა,
**სიმონ კილაძემ.**

⊙ ნავთობი

# ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ

**ქართველ მენავთობეებს შესაძლებლობა ექნებათ, რომ ქვეყნის მოთხოვნილება ნავთობპროდუქტებზე ადგილობრივი წარმოებით დააკმაყოფილონ**



**ჭარბა ხანია, „საქნავთობში" აღარ ვყოფილვარ, თითქმის მას შემდეგ, რაც აქ ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა. რა დასამალია, ბოლო დარგს სათავეში არაპროფესიონალები ჩაუდგნენ. ნეტა აქ როგორღაა საქმე? — ვფიქრობ ჩემთვის. თურმე ტყუილად ვირჯები. „საქნავთობის" ამჟამინდელი გენერალური დირექტორი გურამ ვარშალომიძე არა მარტო პროფესიონალი, ამ დარგში დიდ გამოცდილებას და სახელგანთქმულ მეცნიერი აღმოჩნდა. ბატონი გურამი ის პიროვნება გახლავთ, რომელმაც ნავთობისა და გაზის საბადოების ძიებისა და მათი დამუშავების ტექნოლოგიების დარგში საქართველოში მეცნიერებათა დოქტორის წოდება პირველმა მოიპოვა. მან ასევე ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველმა გამოიყენა ღრმა ბურღვის დროს ჩაის ნარჩენების ექსტრაქტი თიხისა და ცემენტის ხსნარების დასამუშავებლად, რამაც ორჯერ გაზარდა ბურღვის სიჩქარე. გამოგონებებს მაშინ მაღალი შეფასება მისცეს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ ექსპერიმენტმა მილიონობით მანეთის ეკონომია მისცა ქვეყანას. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს, უკრაინის, რუსეთის და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების წევრი, პროფესორი გურამ ვარშალომიძე 60-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთა შორისაა მონოგრაფიები და გამოგონებები. მისი ნაშრომები საქართველოს გარდა გამოქვეყნებულია უკრაინაში, იტალიაში, ინგლისში, რუსეთის ფედერაციაში, აზერბაიჯანსა და სხვა ქვეყნებში. ამჟამად მეცნიერს გამოცემული აქვს სქელტანიანი მონოგრაფია — „ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის მექანიკის პრობლემები", რაც დიდ სარგებლობას მოუტანს ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს.**

— ჩემთვის ნათელია, — ამბობს ბატონი გურამი, — თუ ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიებს დავნერგავთ, უფრო ფართოდ გაეხსნება გზა უცხოურ ინვესტიციებს, რომელთა გონივრული გამოყენებით შეიქმნება იმის წინაპირობა, რომ ნავთობზე ქვეყნის მოთხოვნილება მთლიანად ადგილობრივი წარმოების პროდუქციით დაკმაყოფილდეს. ჩემი მეცნიერული შრომები და პრაქტიკული მოღვაწეობა ამ დარგში სწორედ ამის რეალიზაციას ემსახურება. საქართველო უკვე აქტიურადაა ჩართული ამ პროცესში, რაც იმის გარანტიას ქმნის, რომ ახლო მომავალში დავიწყოთ შავი ზღვის შელფში არსებული ნავთობისა და გაზის ათვისებაც.

**— მანამდე, ბატონო გურამ, ცოტა ისტორიასაც ხომ არ გადავხედოთ?**

— დიდი სიამოვნებით. საქართველოში ნავთობის არსებობის შესახებ იცოდნენ ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან. ანტიკური ხანის ლეგენდები მოგვითხრობენ, რომ ძველ ბერძნებს კოლხეთიდან გაჰქონდათ ნავთობი, რომლის მეშვეობით ამზადებდნენ აალებად ნივთებს და იყენებდნენ საომარი მოქმედებისას. დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში ნავთობს საქართველოდან უცხოეთში გასატან საქონელთა სიაში მოიხსენიებენ. როგორც იტალიელი მოგზაური მარკო პოლო წერდა, საქართველოში „მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოდიან მრავალნი ვაჭარნი და აქ აღებული სითხით, რომელიც ძლიერ ჩქარა მოედინება, ტვირთავენ აქლემებს და მათი მეოხებით ეზიდებიან თავიანთ ქვეყნებში".

**— საინტერესოა, ქართული ნავთობის სამრეწველო ისტორია როდიდან იწყება?**

— მეცხრამეტე საუკუნის დამლევიდან. ამ პერიოდისათვის ცნობილმა პრუსიელმა მეწარმემ ვალტერ სიმენსმა შირაქში, მირზაანსა და ელდარში იჯარით აიღო მიწის ნაკვეთები, სადაც აგროვებდნენ ნავთობს. 1869 წელს მან გაბურღა საქართველოში პირველი საექსპლუატაციო ჭაბურღილი, რომლის სიღრმე 40 მეტრს არ აღემატებოდა. 1876 წელს სიმენსმა მოიპოვა 2200 ტონა ნავთობი, რომელიც მის მიერვე დედოფლისწყაროში აშენებულ ნავთობსახდელ ქარხანაში გადაამუშავა.

ასე რომ, საქართველოში ნავთობის მოპოვებას უძველესი ისტორია აქვს. თუმცა ჩვენს ქვეყანაში გეგმაზომიერი ნავთობ-გაზსამუშაოების დაწყება უკავშირდება ტრესტ „საქნავთობის" სახელს, რომელიც 1930 წელს შეიქმნა და საკავშირო ნავთობმრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებაში შედიოდა. სწორედ ამ დროიდან დაიწყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის სტაბილური ძებნა-ძიება და მოპოვება.

*ციფრობრივი მონაცემებით დავინტერესდი. ბატონმა გურამმა უცებ გადმოალაგა: ამ ხნის მანძილზე შესრულებულ სამუშაოთა შედეგად ქვეყანაში გამოვლენილია 16 ნავთობის, 1 გაზნავთობისა და 1 გაზის საბადო. თექვსმეტ მათგანზე შეფასებულია ნახშირწყალბადების მარაგები და სხვადასხვა ინტენსივობით წარმოებს მოპოვება.*

*ნავთობის ჯამურმა მოპოვებამ დღემდე ქვეყანაში შეადგინა 27,5 მილიონი ტონა, ხოლო გაზისამ — 449,6 მილიონი კუბმეტრი. „საქნავთობის" საქმიანობაში განსაკუთრებით წარმატებული იყო 1980-1983 წლების პერიოდი, როცა წლიურად 3,3 მილიონ ტონა ნავთობს იღებდნენ. შემდეგ პერიოდში, ძირითადი ნავთობის საბადოების თანდათანობით გამოფიტვისა და მომპოვებელი ჭაბურღილების მასობრივი გაწყლოვანების შედეგად ნავთობის წლიურმა მოპოვებამ საგრძნობლად იკლო და იგი 1990-1991 წლებში 180-186 ათას ტონამდე შემცირდა.*

**— ზუსტად ამაზე იტყვიან, „საქნავთობი" წყლიდან ამოვარდნილი თევზივით დარჩაო...**

— მართალი ხართ, „საქნავთობს", რომელიც საბჭოთა პერიოდში ცენტრალიზებულად ფინანსდებოდა, იქიდანაც შეუწყდა სახსრები და ადგილობრივ მთავრობასაც მის დასახმარებლად არაფერი გააჩნდა. დარჩა ერთადერთი გზა: საზღვარგარეთიდან ინვესტორების შემოყვანა. და ეს გაკეთდა კიდეც. გაფორმდა ხელშეკრულებები ამერიკულ, ბრიტანულ, შვეიცარიულ, გერმანულ კომპანიებთან. შეიქმნა ერთობლივი საწარმოები, რომლებმაც საქართველოში საქმიანობა 1995 წლიდან დაიწყეს. ამის პარალელურად „საქნავთობმა" საკუთარი ძალებითაც განაგრძო მუშაობა იმ საბადოებსა და ტერიტორიებზე, რომლებზეც მას ლიცენზიები გადაეცა.

*როგორია უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი მუშაობის ნაყოფი? ბატონი გურამი კვლავ ციფრებს იშველიებს: 1995-2004 წლებში ასეთი მუშაობის შედეგად მოპოვებულია 1,03 მილიონი ტონა ნავთობი და 143 მილიონი კუბმეტრი გაზი. ამჟამად ბურღვითი სამუშაოები მიმდინარეობს 3 საძიებო ვერტიკალურ ჭაბურღილზე (ნორიოში, მანავსა და ტარიბანაში). ნინოწმინდის უბანზე ნავთობის მოპოვების გასაზრდელად 4 ადრე გაბურღული ვერტიკალური ჭაბურღილიდან დაგეგმილი გვაქვს, გავიყვანოთ ჰორიზონტალური ლულა.*

*1995 წლიდან, წლევანდელი სექტემბრის ჩათვლით, დარგში ინვესტირებულია 252,3 მილიონი აშშ დოლარი. ქვეყნის ბიუჯეტში შენატანებმა შეადგინა 70 მილიონ ლარზე მეტი, საიდანაც 42,6 მილიონი ლარი „საქნავთობის" წილად მოდის. ბატონმა გურამ ვარშალომიძემ აქვე დაამატა, რომ ქვეყანაში გამოვლენილი თითქმის ყველა საბადო შესულია დამუშავების ბოლო სტადიაში. ნავთობის მარაგები ძირითადად ძნელადმომპოვებად კატეგორიას განეკუთვნება, შესაბამისად მოპოვებაც მნიშვნელოვნად შემცირებულია და ბოლო წლებში იგი 75-140 ათასი ტონის ფარგლებში მერყეობს.*

**— აკი ულევი მარაგები გვაქვსო? — ვეკითხები გაკვირვებული.**

— ეს უკვე ახალ საბადოებს შეეხება, რომლის აღმოჩენის დიდი შესაძლებლობები დასტურდება. ბოლო წლებში შესრულებული სეისმოძიების და საძიებო ბურღვითი სამუშაოების შეფასებით, ნავთობის პროგნოზული ამოსაღები რესურსები საქართველოში 850 მილიონ ტონას (ხმელეთზე 450 მილიონ ტონას, ხოლო შავი ზღვის შელფზე — 400 მილიონ ტონას) შეადგენს. გაზის პროგნოზული რესურსები კი 400 მილიარდი კუბმეტრის ტოლია.

**— ავშენებულვართ და, ეგ არის.**

— მაგრამ ასეთი შეფასება ატარებს მხოლოდ უაღრესად სავარაუდო, პროგნოზულ ხასიათს და გამოსადეგია დარგის განვითარების სავარაუდო რესურსული ბაზის თაობაზე მხოლოდ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად. მაგრამ დღეს არსებული ვითარებიდან გარკვეული პროგნოზების გაკეთება მაინც შეიძლება. ვვარაუდობთ, რომ თბილისისპირა რაიონში უახლოესი 1-2 წლის განმავლობაში მოსალოდნელია სამგორი-პატარძეული-ნინოწმინდის მასშტაბის ნავთობის ერთი საბადოს აღმოჩენა მაინც, რომელზეც წლიურად 2-2,5 მილიონი ტონა ნავთობის მოპოვება 3-5 წელიწადში გახდება შესაძლებელი. ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში შავი ზღვის შელფზე გამოვლინდება კომერციული მნიშვნელობის ნავთობის საბადო, სადაც 5-6 წლის შემდეგ წლიურად 3-3,5 მილიონ ტონა ნავთობს მოვიპოვებთ.

**— ეს სამომავლოდ, ბატონო გურამ, მაგრამ ამჟამად რა სამუშაოებს ასრულებენ ჩვენი ერთობლივი კომპანიები?**

— უაღრესად ნაყოფიერია ქართულ-ბრიტანული კომპანია „კანარგოს" საქმიანობა, რომელსაც განზრახული აქვს მომავალ წელს 57 მილიონი დოლარი დააბანდოს საძიებო-ბურღვით სამუშაოებში. იგი გაბურღავს 15 ჰორიზონტალურ ჭაბურღილს, მათ შორის საძიებოსაც.

ასევე წარმატებულად მუშაობს დედოფლისწყაროში ტარიბანას საბადოზე ქართულ-ამერიკული ფირმა „ფრონტერა", რომელიც მომავალ წელს 37 მილიონი ლარის ბურღვით სამუშაოებს შეასრულებს. გეოფიზიკურმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ მირზაანში სიღრმისეულ ფენებშიც არის დიდი რაოდენობის ნავთობი, მაგრამ იქ ნავთობშემცველი ფენები რთულ გეოლოგიურ-ტექტონიკურ პირობებშია განთავსებული. ამერიკელებს გათვალისწინებული აქვთ საბადო აითვისონ ჰორიზონტალური ბურღვის მეთოდით. ეს რთული საქმეა, მაგრამ იგი 2 წელიწადში იძლევა იმდენსავე შემოსავალს, რამდენსაც ვერტიკალური ბურღვა 10 წელიწადში.

**— ასე რომ, წარმატების შანსი დიდია!**

— ამ შანსს გამოვიყენებთ კიდეც. დღესდღეობით თუ წლიურად 100 ათას ტონაზე მეტ ნავთობს ვერ მოვიპოვებთ, მომავალი წლიდან იმისათვის ვიღვაწებთ, რომ ეს მაჩვენებელი 150-დან 300 ათას ტონამდე გაიზარდოს. რა თქმა უნდა, გაიზრდება საბიუჯეტო შენატანებიც. წელს ამ შენატანმა 16 მილიონი ლარი შეადგინა. თუ „კანარგოს" პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულა, მაშინ ბიუჯეტი მომავალ წელს ჩვენგან 20-25 მილიონ ლარს მიიღებს.

ჩვენ ვზრუნავთ იმაზეც, რომ ქვეყანას ჰქონდეს გაზსაცავი. საქართველო წელიწადში დაახლოებით 800 მილიონიდან 1 მილიარდ 200 მილიონ კუბმეტრამდე გაზს მოიხმარს, გაზსაცავი კი არა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთმა დაიფაროს და, ტერორისტული აქტის ან ბუნებრივი კატასტროფებისა და კატაკლიზმების შემთხვევაში, ქვეყანას გაზი მთლიანად შეუწყდეს. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ მომავალ წელს ნინოწმინდის ან რუსთავის საბადოზე დავაპროექტოთ და მომავალში შევუდგეთ გაზსაცავის მშენებლობას, ვფიქრობთ, ამ საქმეში ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი მხარს დაგვიჭერენ.

**— კიდევ რის თქმას აპირებდით?**

— საგაზეთო ინტერვიუში ყველაფერს ვერ ვიტყვი, მაგრამ ერთსაც დავსძენ: ვფიქრობთ, მუშაობაში დიდად დაგვეხმარება რესტრუქტურიზაცია, რომელიც „საქნავთობში" განვახორციელეთ. შეიქმნა ახალი სამსახურები — გარემოს დაცვის, საწარმოო-ტექნიკური უსაფრთხოების, გეოინფორმატიკისა და გეომონიტორინგის დეპარტამენტი, აგრეთვე, გაზსაცავების გეოლოგიურ-ტექნიკური შეფასებისა და პროექტირების სამმართველო.

**— შორეულ პერსპექტივაზე რას გვეტყოდით?**

— ახლა საერთაშორისო ბაზარზე ნავთობს ცეცხლი უკიდია. გვინდა იმას მივაღწიოთ, რომ მოთხოვნილება ნავთობპროდუქტებზე საქართველოში სამომავლოდ ადგილობრივი წარმოების ნავთობით დაკმაყოფილდეს. როგორც ვნახეთ, ამის შანსი არსებობს და ის ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

**— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.**

**ოთარ ხუციშვილი.**

⊙ ინფორმაცია

### სრულყოფილი სისტემით

**პარლამენტში უახლოეს მომავალში შესაძლოა, ხმის მიცემის სისტემა შეიცვალოს. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით პარლამენტში ხმის მიცემის სისტემის სრულყოფისათვის მუშაობა მიმდინარეობს.**

**"იმისათვის, რომ პარლამენტარების მიერ სხვისი ბარათების გამოყენება გამოირიცხოს, კენჭისყრის დროს შესაძლოა, ხმის მიცემა თითის ანაბეჭდებით განხორციელდეს. აღნიშნულ სისტემაზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს" - განაცხადა გუშინ ნინო ბურჯანაძემ, რომელიც საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა მამუკა კაციტაძემ გუშინ ხმის მიცემის სხვისი ბარათების გამოყენების პროცედურის გამარტივებაში დაადანაშაულა.**

**აღნიშნული განცხადება მამუკა კაციტაძემ მას შემდეგ გააკეთა, რაც დეპუტატმა თამაზ ხიდაშელმა გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მისი ბარათის გამოყენების შესახებ განაცხადა.**

**კაციტაძემ მოითხოვა, რომ ხიდაშელის მიერ დასახელებული ფაქტი საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა გამოიძიოს.**

**"პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ დეპუტატებმა შესაძლოა, ხმის მიცემის სათადარიგო ბარათები გამოიყენეს, თუმცა პარლამენტარებს სათადარიგო ბარათებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევენ, თუ მათ საკუთარი ბარათი სახლში დარჩათ, ან გარკვეული მიზეზის გამო თან არ აქვთ" — აღნიშნა მან.**

### ახალი წლიდან გავრცელდება

**„მეცნიერთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონი 1 იანვრიდან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებსა და წევრ-კორესპონდენტებზეც გავრცელდება. საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების საკითხთა კომიტეტმა „მეცნიერთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი მოამზადა, რომლის თანახმად, მეცნიერთა სოციალური დაცვის გარანტიები და კანონით გათვალისწინებული სხვა მექანიზმები სოფლის მეურნეობის აკადემიის თანამშრომლებზეც გავრცელდება.**

**"კანონის მიღების დროს მასში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოხსენიება ტექნიკურად გამორჩა და პარლამენტი რომ პირნათელი იყოს სოფლის მეურნეობის აკადემიის მეცნიერთა წინაშე, კანონპროექტში ეს ხარვეზი უნდა გასწორდეს" — განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა.**

**აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს შენიშვნები არ გააჩნია და ის თანახმაა, კანონი ამოქმედდეს.**

**"მეცნიერთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონი საქართველოს პარლამენტმა 2003 წლის ივლისში მიიღო, თუმცა მისი ამოქმედება 2004 წელს ვერ მოხერხდა, რადგან ფინანსთა სამინისტრომ მაშინ პარლამენტს კანონის ერთი წლით გადავადება შესთავაზა.**

**ამჟამად მთავრობა თანახმაა, „მეცნიერთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონი 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდეს. კანონი მეცნიერთა ხელფასების ზრდას ითვალისწინებს და სოციალური დაცვის სხვა მექანიზმებს უზრუნველყოფს.**

**ინტერ-პრესი.**

⊙ ძალადობა

# ვის ვიმონებთ, საკუთარ შვილებს?

**ნათქვამია, ყველაფერი დროს მიაქვსო. ეს დრო კი საქართველოში ბოლო ხანს იმდენჯერ გადატრიალ-გადმოტრიალდა, რომ ქვეყანა აჯაფსანდალს დაემსგავსა. საყოველთაო განუკითხაობამ ათასი თავსატეხი გააჩინა, წესი და ადათი წაბილწა, ოჯახური ურთიერთობა დაძაბა, ადამიანური პატიოსნება დააკნინა. ცხადია, ასეთ ყოფაში ვერ ავცდით ძალადობას, რომელიც პირმშოა საყოველთაო განუკითხაობისა, ეკონომიკური სიდუხჭირისა და მორალური დაცემისა...**

**სულ ასე ხომ არ ვივლით უკან-უკან? საჭირო გახდა, უპირველესად, ოჯახური ძალადობის აღკვეთის, პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება, რათა საზოგადოება წელში გაიმართოს, თითოეულ ოჯახში სიმშვიდემ დაისადგუროს და ყოველმა პიროვნებამაც თავი ნამდვილ ადამიანად იგრძნოს. ამ კეთილი მიზნის ხორცშესასხმელად არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიის ქალთა ქსელმა" შეიმუშავა სპეციალური პროგრამა, რომელსაც აფინანსებს ეუთოს მისია საქართველოში. პროგრამის კოორდინატორმა ნინო ციხისთავმა გუშინ „შერატონ მეტეხი-პალასში" გამართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც მიიწვია საქართველოს გენერალური პროკურატურის, შინაგან საქმეთა, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები. ძირითადად სწორედ ამ უწყებებს ევალებათ ოჯახური ძალადობის აღსაკვეთად ეფექტიანი და ფართომასშტაბიანი ნაბიჯების გადადგმა.**

**ნინო ქოჩორაშვილი, საქართველოს გენერალური პროკურატურის აპარატის უფროსი პროკურორი:** — ქართული ოჯახი ძალზე აირია. ლამის ფუნქცია დაკარგა. ადრე კაცი იყო ყველაფერი — ოჯახის უფროსიც, დამცველიც, შემომტანიც... ახლა ქალმა გაიწია, დიდი ტვირთი წამოიკიდა, მამაკაცს გაუტოლდა. მოხდა დაპირისპირება, — კაცს არ სურს მაჩანჩალის როლში ყოფნა, არადა, არა აქვს სამუშაო, არა აქვს ფული. ამას მოსდევს ჩხუბი, ქმარი ცოლს კლავს, ცოლი — ქმარს, მამა — შვილს, შვილი — დედას, ძმა — დას... ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ერი კატასტროფამდე მივა. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს ჩვენი ოჯახის განსამტკიცებლად, მშობლიური ტრადიციების შესანარჩუნებლად. ოჯახში უნდა ისმოდეს კაცის განსაკუთრებული ხმა. სუსტი კაცი არავის უნდა, — არც ცოლს და არც შვილს.



**გიორგი გაგუა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის საორგანიზაციო სამსახურის ინსპექტორი:** — ჩვენს უწყებას უშუალო შეხება აქვს ოჯახურ ძალადობასთან. ადრე იყვნენ უბნის ინსპექტორები, ახლა არიან — პატრულები. ამიტომ პატრულებმა უნდა გაიარონ სპეციალური კურსები ამ მოვლენის აღსაკვეთად, გასანეიტრალებლად. ოჯახური ძალადობა რეალობაა. ძალიან შემაშფოთებელი ფაქტებია. მთავარია უბედურება არ მოხდეს, თუ მოხდა, — მერე უკვე გვიანია. მართალია ოჯახურ საქმეებში ჩარევა, საკუთარი ნაგავის გარეთ გატანა არავის უნდა, მაგრამ აქ თვალის დახუჭვა სისულელეა. არის საშიშროება, რომ, ძალადობამ იმატოს. ეს არ უნდა დავუშვათ.

**თამარ ვეფხვაძე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო გეგმებისა და სტანდარტების სამმართველოს უფროსი:** — ეს სატკივარი გვჭირს, თანაც ძალიან მწვავედ. მიზეზი? ზოგი ამტკიცებს, რომ ეს ეკონომიკური გაჭირვებაა, მაგრამ... მდიდრებიც ხომ ტირიან? ოჯახური პრობლემები იმათაც აქვთ. ჩემი აზრით, საქმე არის უმეცრებაში, ოჯახის წევრთა ურთიერთუნდობლობაში, ურთიერთუპატივცემულობაში. ამიტომ განათლების სისტემამ აქ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას. გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ჩვენმა კანონმდებლობამაც, რათა დავიცვათ თითოეული მოქალაქის უფლებები, მისი ინტერესები. მე იმედით შევყურებ მომავალს, — ჩვენი კეთილი ტრადიციები ძალადობას გასაქანს არ მისცემს.

**სოფიკო ხაჭომია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის უფროსის მოადგილე:** — აქამდე ვერც კი წარმომედგინა, რომ ეს პრობლემა ასე მწვავედ იდგა. სტატისტიკა საგანგაშოა. პრობლემა კონკრეტულ პირებს ეხება, მაგრამ სატკივარი საყოველთაოა. ამიტომ ხმა უნდა ავიმაღლოთ დროზე, ვიდრე ძალადობა წაგვლეკავს, გადაგვჯეკავს. ექიმი, ისე როგორც პატრული, ძალზე ახლოა ოჯახთან, მე ვიტყოდი, უფრო ახლოა. უცხოეთში სარეაბილიტაციო ცენტრებია, — ჩვენთან კი ჭირს ადამიანის „დამუშავება" ფსიქოლოგიურად, მორალურად. მთავარია სტრესების მოხსნა, დამშვიდება, დაწყნარება. პრობლემის მიჩქმალვა არ ივარგებს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს მის მოსაგვარებლად.

იმ ლამაზად აკინძულ ნაშრომში, რომელიც მე „შერატონ მეტეხი-პალასში" მაჩუქეს, ბევრმა უნდა ჩაიხედოს. იქ გარკვევით წერია:

„ოჯახური ძალადობა — ეს არის ხშირი ციკლი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური შეურაცხყოფისა, რომელსაც ოჯახის ერთი წევრი ახორციელებს მეორეზე, მასზე კონტროლისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად". თურმე ნუ იტყვით და, „74 პროცენტი დანაშაულობებისა, რომელსაც ახალგაზრდები სჩადიან, ძირითადად მათ წილად მოდის, ვინც ძალადობრივ ოჯახში გაიზარდა". უფრო მეტიც, „ყმაწვილ ბოროტმოქმედთა 63 პროცენტმა, რომელთაც ბრალად ედებათ მკვლელობა, შური იძიეს დედის მოძალადეზე". და ბოლოს (ამის დაწერაც კი მიჭირს), — ძალადობის მსხვერპლ ბავშვებში 7-ჯერ მეტია თვითმკვლელობის მცდელობა, ვიდრე ჩვეულებრივ ბავშვებში"...

შორს ჩვენგან!

**ზონდო გულიაშვილი.**

⊙ ინფორმაცია

### გაზი უფასოდ, მხოლოდ 15 ოქტომბრამდე

**ყაზბეგის რაიონის მოსახლეობა მომავალი წლის 15 ოქტომბრამდე ბუნებრივ გაზს უფასოდ, განუსაზღვრელი მოცულობით მიიღებს. პარლამენტმა გუშინ რიგგარეშე სხდომაზე განიხილა კანონპროექტი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალური და ეკონომიკური უზრუნველყოფის შესახებ", რომლის თანახმად, ყოველი წლის 15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე ყაზბეგის რაიონის თითოეული ოჯახი ყოველთვიურად 750 კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს უფასოდ მიიღებს. აღნიშნული კანონპროექტი 2005 წლის 15 ოქტომბრისთვის ამოქმედდება.**

**„2005 წლის იანვარ-მაისში ყაზბეგის ბუნებრივი გაზით მომარაგება იმ რეჟიმით გაგრძელდება, როგორც ამჟამად ხორციელდება. კერძოდ, ბუნებრივ გაზს ყაზბეგის რაიონის მოსახლეობა განუსაზღვრელი მოცულობით უფასოდ მიიღებს" — განაცხადა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხეთაგურმა.**

**მისი თქმით, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება შესაბამისი თანხა, რომელიც ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფის მიხედვით იქნება დაანგარიშებული.**

**„2005 წლის 15 ოქტომბრამდე, ე.ი. კანონის ამოქმედებამდე უკვე დასრულებული იქნება ყაზბეგის რაიონის გაზის ქსელის რეაბილიტაცია და მომხმარებლის გამრიცხველიანება. შესაბამისად, თითოეული ოჯახის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ოდენობის აღრიცხვა გახდება შესაძლებელი" — განაცხადა ხეთაგურმა.**

**ინტერ-პრესი.**

⊙ ენერგეტიკა

# «წერას» ატანილი კა-

## ყოფილმა მინისტრმა მემუარები წეროს, ოღონდ ჯერ ცოდვები მოინანიოს

**წლეულს, 28 ნოემბერს, ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის მომზადებულ გადაცემაში მოვისმინეთ ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას პასუხები ჟურნალისტის კითხვებზე.**

**ბატონ დავითს, რაკი მისი თქმით, ქვეყანას აქტიური ენერგეტიკოსები არ სჭირდება, განუზრახავს, პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ მემუარები წეროს. როგორც ბატონი ნოდარ დუმბაძე ბრძანებდა: „ყანჩამ მიხედოს ბაყაყებს, ბულბულმა ლექსი წეროს".**

**თუ ბულბულობაზე არა, უდანაშაულოდ დასჯილი სხვა მგალობელი ჩიტის როლზე ბატონი დავითი, ჩანს, პრეტენზიას აცხადებს.**

**შევეცდებით, მხოლოდ ფაქტებისა და მიღებული შედეგების ანალიზით გავერკვეთ ბატონი დავითის პრეტენზიების საფუძვლიანობაში.**



უპირველესად, მრავალი ენერგეტიკოსის მსგავსად, ჩვენც ვეთანხმებით ქვეყნის პრეზიდენტის გამონათქვამს — ადამიანურად განვიცდით ბატონ დავით მირცხულავას დაპატიმრებას, რადგან ენერგეტიკოსებში გავრცელებული აზრით, იგი არაკორუმპირებული პიროვნება ყოფილა. ეს დღევანდელი დღისთვის ცოტას არ ნიშნავს.

ამავე დროს ვეთანხმებით ბატონ პრეზიდენტის იმ აზრსაც, რომ „ვიღაცამ უნდა აგოს პასუხი ქვეყნის ჩაბნელებისთვის" (ელენერგიის დიდმა დეფიციტმა არა მარტო ქვეყნის ჩაბნელება გამოიწვია, მან გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა სხვადასხვა დარგის, მეწარმეობის განვითარებას).

ვინ უნდა აგოს პასუხი შექმნილ მდგომარეობაზე, თუ არა მინისტრმა, რომელიც ყველა საჯარო გამოსვლაში განმარტავდა, რომ იგი განსაზღვრავს პოლიტიკას ენერგოსექტორში?

ბატონი დავით მირცხულავა მინისტრად რამდენიმე თვის დანიშნული იყო, როცა ინგა გრიგოლიასთან საუბარში განაცხადა, რომ ენერგეტიკა დაანგრიეს და გაძარცვეს, რომ ენერგეტიკოსის სახელი საგინებელ სიტყვად იქცა. ბატონ მინისტრს დაავიწყდა, რომ მინისტრობამდე მინისტრის პირველი მოადგილე იყო და მაშინაც მეტ-ნაკლებად, თვითონ წარმართავდა ამ დარგის პოლიტიკას.

ბევრს ახსოვს ტელევიზიით გადმოცემული კადრები, როდესაც ბატონი ედუარდ შევარდნაძე ტყიბულში მეტად წამგებიანი თბოელექტროსადგურის

[illegible]

გენს ტარიფებს, მეექვსე — ფლობს ქონებას, მეშვიდე — წარმართავს პოლიტიკას, რაც წარმოშობს განუკითხაობას, კორუფციას, ელენერგიისა და ფულადი სახსრების კარგვას, მიწერებს, მატერიალური დაინტერესების პრინციპის იგნორირებას, მონოპოლიური სტრუქტურის დამკვიდრებას, გზას უკეტავს რეგიონულ ენერგომომარაგებას.

ამ ენერგეტიკოსებს ბატონი დავითი მოსმენის ღირსადაც არ თვლიდა.

„ჩემზე რაც უნდათ ის განაცხადონ, მხოლოდ ინტელექტზე ნუ ილაპარაკებენ", — განუცხადა პატიმარმა „რუსთავი-2"-ის კორესპონდენტს.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ბატონ დავითს, პროფესორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, გამოგონებები (ან დანერგვები) ჰქონია ფილტრაციული წყლების ოდენობის შემცირების თაობაზე.

ამავე პერიოდში ენერგეტიკაზე ძალიან ბევრს წერდა და განცხადებებს აკეთებდა ერთი ბატონი, რომელიც იმდენივე ტიტულს ფლობს, რამდენსაც ბატონი დავით მირცხულავა და დამატებით იცის, მაგალითად, აფრიკაში, კონგოს ცენტრალურ ნაწილში ხვლიკების რომელი სახეობაა გავრცელებული და რითი გვანან ისინი კავკასიაში გავრცელებულ ხვლიკებს.

საყოველთაოდ გავრცელებული აზრით, ცოდნა მისი გამოყენებით იზომება. მინისტრობას სხვა „განზომილებიანი" და სხვა სიბრტყეში განთავსებული ცოდნა სჭირდება.

ბრძენი ქართველი კაციც ამას აცხადებდა უხსოვარი დროიდან: „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო".

დავუჯეროთ იმ ბრძენ ქართველს და კვლავ მიღებულ შედეგს — საქმეს დავუბრუნდეთ ენერგეტიკაში.

ბატონმა ელიზბარ ერისთავმა და „კომპანიამ" გამოუშვეს ენერგეტიკოსების „სამაგიდო წიგნი", რომლის რედაქტორიც ბატონი დავით მირცხულავაა. მას ჰქვია „ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები". არა განვითარების, არამედ რეგულირების.

როგორც ცნობილია, ენერგეტიკა ისეთივე დარგია, როგორიც, მაგალითად, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა და სხვა. თუ ვინმე ნორმალურად მიიღებს გამოთქმას „სოფლის მეურნეობის რეგულირება" ან „ჯანმრთელობის რეგულირება", მაშინ ენერგეტიკის რეგულირებასაც ექნება არსებობის უფლება.

სულ სხვა საქმეა ენერგეტიკის რეგულირების მცდელობა (ძარცვა). მხოლოდ ერთი დეტალი. როგორც ცნობილია, ელექტროენერგიის ტარიფში არ არის გათვალისწინებული საამორტიზაციო საფასური, რის გამოც ხდება „პროდუქციის" — საწარმოო თანხების ხელფასებში „გადაქაჩვა", ე. ი. ენერგეტიკის ძარცვა. თბოელექტროსადგურებში და ჰესებში თვით უმნიშვნელო მოცულობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება მინისტრის ან უფრო მაღალი თანამდებობის პირის სურვილზეა დამოკიდებული. თუ ამ კუთხით განვიხილავთ „სამაგიდო წიგნს", მისი სათაური ზედმიწევნით ზუსტად არის მონახული.

მიგვაჩნია, რომ ასეთი პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადამავალი ქვეყნისთვის მისი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკაა.

და თუ მაინც მემუარების წერას დაიწყებს, ბატონმა დავითმა უნდა აღიაროს, რომ ენერგომომარაგებაში შექმნილი მდგომარეობა მისი ბრალია. ან უნდა ბრძანოს, რომ ყველაფერი კარგად გათვალა და „აქ დგას და სხვანაირად დგომა არ ძალუძს".

აქვე აღსანიშნავია ბატონი დავითის თავმდაბლობა. იგი ენერგეტიკაში წარმართულ პოლიტიკას მარტო საკუთარ თავზე იღებს, თუმცა ყველამ ვიცით, რომ მას ამაში „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" „ეხმარებოდნენ". იქნებ ქვეყნის ჩაბნელებისთვის სხვებმაც უნდა აგონ პასუხი?

რა თქმა უნდა, მემუარების წერის უფლებას ბატონ დავით მირცხულავას და სხვებს ვერავინ წაართმევს, მაგრამ ჩვენ, ჩვეულებრივი მოკვდავი ენერგეტიკოსები, ვისურვებდით, რომ ასეთი სურვილი თუ ვინმეს აიტანს, ჯერ ტაძარში მივიდეს და ლოცვით ცოდვები მოინანიოს...

**ნუგზარ კოზახიძე,**
**შპს „მცირე ჰესის" დირექტორი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 302, ოთხშაბათი, 29 დეკემბერი, 2004 წელი.

ფოტოხელოვანი იგონებს

# საქართველოს ლექსის მეხანძარენი

## გიორგი ლეონიძის დაბადების 105 წლისთავი

რუსთაველის პოემასთან შეხებამ მსოფლიოს უამრავი ლიტერატორი დაამეგობრა ქართველ კოლეგებს. მათი ჩამოთვლა თითქმის შეუძლებელია.

ისეთი პატარა ერის შვილს, როგორიც დიმიტრი გულია იყო, მეგობრობის ძალამ უბიძგა და „ვეფხისტყაოსანი“ აფხაზურად ათარგმნინა.

1954 წელს სოხუმში ჩავედი ბატონი დიმიტრის პორტრეტის ჩამოსატანად და სწორედ იქ შევხვდი პირველად ჩემ საოცნებო პოეტ გიორგი ლეონიძეს. იმ დროს, იქაურ მწერალთა კავშირში არავის ვიცნობდი და, შესაბამისად, ყურადღება არავინ მომაქცია. თითქოს, ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული, მაგრამ უცბათ ვიღაცამ ჩემთვისაც მოიცალა.

— ყმაწვილო, ერთი აქეთ მობრძანდით!

მაშინვე ვიცანი, ეს გიორგი ლეონიძე იყო. მანამდე ბატონი გოგლა უშუალოდ არასდროს მყავდა ნანახი, თუმცა მის შემოქმედებას სკოლის მერხიდან ვეთაყვანებოდი, ხოლო მის ახოვან ფიგურას, შეუდარებელ ბარიტონს და მეტად ორიგინალურ პოეზიას ხშირად ვუყურებდი ხოლმე კინოქრონიკის ეკრანზე.

გოგლა ბატონ დიმიტრი გულიას ესაუბრებოდა, ეტყობა, როცა აპარატმომარჯვებული დამინახა, დიმიტრისთან სურათის გადაღება მოისურვა, მკლავში ხელი გამოსდო, დივანზე ჩამოაჯინა და კვლავ მომიბრუნდა.

— აბა ერთი, ჩვენც გადაგვიღე, — მთხოვა ბატონმა გოგლამ.

მეც ეს მაწყობდა და, რაღა თქმა უნდა, სურვილი შევუსრულე. ამის შემდეგ კარგა ხნით მომიწია დიდ პოეტთან ყოფნა და მასთან პირისპირ საუბარი. ამ დროს ჩემთვის მთავარი თვით საუბრის ფაქტორი იყო და არა საუბრის შინაარსი. ყურებში თითქოს ვაჟკაცური ხმით შეუდარებელი პოეზია ჩამესმოდა, რასაც დღემდე სიმღერისგან ვერ ვანსხვავებ. ეტყობა, ადამიანთა ბუნებაში არსებობს რაღაც თავისთავადი, რისი ხელოვნური შეზღუდვა ნაკლებ ეფექტს იძლევა.

ამ დღეს ფოტოები ფრიად ხარისხიანი გამომივიდა, მაგრამ იმ ფორმით, როგორც მე ვვარაუდობდი, გამოქვეყნება არ მოხერხდა.

ორი წლის შემდეგ ბატონ გოგლას



ამ სკოლის კედლებს ახსოვთ პატარა გოგლა.

პერსონა კვლავ მოხვდა ჩემი აპარატის ობიექტივში. ეს მაშინ, როცა პოსტსტალინურმა მიტინგმა თბილისში არნახულ პიკს მიაღწია. გოგლა იქ ბელადს ფრიად ორიგინალური ლექსით გამოესარჩლა. მიუხედავად დიდი სიფრთხილისა, ჩემი ფოტოაპარატი ვიღაცამ მაინც შენიშნა. ატყდა შეხლა-შემოხლა, ძლიერებმა იმარჯვეს, აპარატი წამართვეს და თუ როგორ დაამყარეს სისხლიანი „წესრიგი“, დღეს ყველასათვის კარგადაა ცნობილი. სამწუხაროდ, აპარატთან ერთად დაიკარგა ფოტოსურათიც და ის ლექსიც, რომელსაც მაშინ ბატონი გოგლა მიტინგის ტრიბუნიდან კითხულობდა.

1965 წელს, როცა ქართველი საზოგადოება გიორგი ლეონიძის დაბადების დღეს აღნიშნავდა, ჟურნალ „დროშის“ რედაქტორმა გიორგი ნატროშვილმა გამომიძახა და...

— კაცო, მგონი ჩვენ ცოტა დავაგვიანეთ, არა? — მეუბნება თავის თავზე გულმოსული რედაქტორი, — გოგლას დაბადების დღე დეკემბერში იყო და თუ ფოტონარკვევი კარგი გამოგივიდა, ორი თვე მე მგონი გვეპატიება. შენ კი, ნუღარ გააჯანჯლებ. ახლავე წადი, ხომ იცი კაცო, სადაც მუშაობს?

იმ წუთშივე გავქანდი ინსტიტუტში, გოგლასთან.

— სადა ხართ, ბიჭო? — გამიღიმა ბატონმა გოგლამ, — თქვე უღმერთოებო, ასე უნდა დავიწყება? ჩემი დაბადების დღე დეკემბერში იყო, თქვენ კი თებერვალში მოდიხართ.

— რა ვქნათ, ბატონო გიორგი, მოგეხსენებათ... საქმეები... აქეთ-იქეთ...

— იმ თქვენ რედაქტორს რომ აღარაფერი ახსოვს, შენ რა შუაში ხარ? მაგას ისიც კი დაავიწყდა, რომ ეგ ჟურნალი ჩემი დაარსებულია. რა ვქნათ, ქიზიყელია, ეპატიება. აბა, დღეს რაღა იქნება და ხვალ მოდი დილით ძაან ადრე, ჩემთან სახლში, ხომ იცი ბიჭო, ჩემი სახლი.

ვეღარაფერი ვკითხე. მომერიდა, თავი დავუქნიე, წამოვედი და კვლავ რედაქციას მივაშურე.

— რა ვქნა, აღარ ვიცი, — რჩევა ვთხოვე რედაქტორს, — ადრე როდის მივიდე? შვიდზე, რვაზე თუ ცხრის ნახევარზე?

— რას ამბობ კაცო? — სიცილი ვეღარ შეიკავა ნატროშვილმა, — ეგა, კაცო, მთელი ღამე მუშაობს, მაგისი ადრე თორმეტის ან პირველის ნახევარია.

რაღას ვიზამდი, დავუჯერე და ბატონ გოგლასთან საკუთარი „მოსკვიჩით“ თორმეტის ნახევარზე გამოვცხადდი. გოგლა თვალებს იფშვნეტდა, ეტყობოდა, რომ ახალი ამდგარი იყო.

— ბიჭო, რანაირი რაჭველი ყოფილხარ, ცოტა ვერ დააგვიანე?

წაიხუმრა ბატონმა გოგლამ, ხელპირი გადაიბანა და საუზმეზე მიმიპატიჟა. ის იყო მაგიდას შემოვუჯექით, რომ ეზოში „ვოლგა“ შემოგრიალდა, გაჩერდა და მანქანიდან ახალგაზრდა მძღოლი გადმოვიდა.

— ერთი ჩემს მძღოლსაც დაუძახე, ცოდვაა, არაფერი ექნება ნაჭამი.

— მე... ე? — იქნებ, თქვენ თვითონ...

— მაგას მე ხმას არა ვცემ, აგე. ჩემი ახალთახალი „ვოლგა“, ლამის ლახანკას დაამგვანა მაგ წყეულმა. ჩემი შვილები თორემ, მაგ მანქანაში ჩაჯდომაც აღარ მინდა.

ჩავჯექით „მოსკვიჩში“ და დავიწყეთ საქმის კეთება. ჯერ იქვე მე-9 საავადმყოფოსთან შევჩერდით.

— შენ იცი, რომ წინათ აქ სემინარია იყო?

— ნამდვილად არა, ბატონო გოგლა.

— ჰო და, სწორედ აქ ვსწავლობდი. ახლა მე შევალ, შენ კი შორიდან გადაიღე, რა თქმა უნდა, თუკი კარებში ვინმე მომესალმა.

ასეთივე მეთოდი დავგეგმეთ თბილისის 38-ე საშუალო სკოლისთვისაც, სადაც ძველად თურმე სასულიერო სასწავლებელი ყოფილა, მაგრამ იქ ადგილზე არავინ დაგვხვდა. გოგლა მაინც შევიდა, ერთი ცარიელი კლასის კარი შეაღო და მერხზე ჩამოჯდა.

— სწორედ ამ ადგილზე გავატარე მთელი სამი წელი.

განვაგრძეთ „ტურნე“ და ახლა ოპერის პირდაპირ წიგნების მაღაზიასთან შევჩერდით.

— ერთი, შედი და რამდენიმე ცალი ჩემი წიგნი — „ნატვრის ხე“ იყიდე, პატარძეულში დაგვჭირდება. ხომ იცი, ჩემი „ნატვრის ხე“... არ წაგიკითხავს? აბა, რაღა ოხრობას კითხულობთ, თქვე დალოცვილებო!..

გავჩუმდი. მან კარგა ხანს იჩხრიკა ჯიბეები, როგორც იქნა, მიაგნო ერთ სამმანეთიანს და მე გადმომაწოდა. ვიუხერხულე, მაგრამ მაინც გამოვართვი, რა მექნა, მეც ცარიელი მქონდა ჯიბეები და რამდენიმე წიგნი მაინც ვიყიდე.

დიღმისკენ გავუხვით და „თეთრ დუქანშიც“ შევიარეთ.

— აბა, რაჭველო, გაიცანი, ეს ჩემი ბავშვობის მეგობარი მიშაა, — შემახსენა გოგლამ და ხელი დირექტორისკენ გაიშვირა.

დიდი პატიჟის მიუხედავად, რესტორანში არ გავჩერდით.

„მოსკვიჩიდან“ მიშას „ვოლგაში“ გადავჯექით და გეზი პატარძეულისაკენ ავიღეთ. გზადაგზა გოგლა თავის მეგობარს მეცენატობაზე ჩამოუგდებდა ხოლმე ლაპარაკს, ბოლოს მიშამაც გაგვიმხილა სათქმელი.

— მანქანა ყავსო, მანქანაო, რა არის ჩემთვის მანქანა, არაფერი, — ჩაილაპარაკა დაბალი ხმით მიშამ და თავის მანქანის საჭეს ზიზღით დაჰკრა მარჯვენა ხელი, — მე ფული არ მენანება, — განაგრძობდა მიშა, — დღესვე ვიყიდი ერთ სამაგალითო ბიბლიოთეკას და სოფელს ვაჩუქებ, მაგრამ მეშინია, ფული საიდანაო, და შეიძლება დამიჭირონ კიდეც.

— შენ ეგ ფული მე მამე, მე ვიცი, ცხენი როგორ შევაბა. აგე, წყალსაქაჩი, ივრის მარცხენა ნაპირზე როა, ხომ მიიღო სოფელმა წყალი? ფული კი სოფლისა იყო, მაგრამ მარიფათი ხომ ჩემი იყო.

სოფელშიც შევედით.

— აი, იქ სოფლის სკოლა იყო. მიშა! ბიჭო, ამოიღე ხმა, მე და შენ იქ არა ვსწავლობდით? სკოლა გაადიდეს და სხვაგან გადაიტანეს, აქ კი ახლა პოლიკლინიკაა.

აგერ გოგლას სახლიც. ეზოში ხალხი მოგროვილიყო.

— გაიცანით, ეს ღვინჯუაა, ჩემი „ნატვრის ხის“ პერსონაჟი. ეს კი სოფლსაბჭოს აღმასკომის შეფი, მაგრამ რაც გინდათ ის დაუძახეთ, მაგას მაინც არა სცხვენია, სახლის ქირის უწყებას თბილისში მიგზავნის.

ჩავედით ნინოწმინდაშიც.

— ეს ჩემი დედულეთია, — კიდევ ერთხელ შემახსნა ბატონმა გოგლამ, — აი ეს ტაძარიც. ნახეთ, რაღაა დარჩენილი, მაგრამ ამისთანა ფასდაუდებელი განძი მთელ აღმოსავლეთში არც კი მეგულება. ამ უცნაურ წარწერას ხომ ხედავ, ბევრჯერ მოვიყვანე სპეციალისტები, მაგრამ მისი წაკითხვა ვერავინ შეძლო. ე-ე-ე ნინო წმინდა, ნინო წმინდა. შენ იქნებ ჩემი „ნინოწმინდის ღამე“ არც კი გაგიგონია?

— როგორ არა ბატონო გოგლა, კიდევაც გამიგონია, კიდევაც..

— მე ამას ლექსზე ველაპარაკები, ეს კი, გამიშვით, ცხვარი მიდისო.

დიდი პოეტის სამართლიანმა საყვედურმა თავისი გააკეთა. უნებლიეთ გამახსენდა თვით მის მიერ წაკითხული „ნინოწმინდა“ და კვლავ მომწყურდა ივრისპირელი ბეთჰოვენის ორიგინალში მოსმენა.

**ნინოწმინდა — პალატები მეფეთა,**
**გალავანში — ჯამი აქაფებული;**
**შენი სახე რისთვის შემომეფეთა,**
**ხატი იყავ — ვეფხვი დაქალებული.**

ვკითხულობდი და თვითონაც ვერ ვამჩნევდი, როგორ ვბაძავდი დიდ პოეტს მისივე ლექსის კითხვაში.

**ნინოწმინდა, ჩვენ,**
**როგორც ხაზარები,**
**ოჰ, იმ ღამეს როგორ**
**აგვაბრიალა.**
**საქართველოს ლექსის მეხანძარენი**
**ძმობამ, ცრემლმა, იმ პატარა იარამ.**

გოგლას თვალები გაუბრწყინდა, ხელი მხარზე დამკრა, თავისკენ მიმიზიდა და სიცილს იუმორიც მიაყოლა.

— რაჭველი და მატყუარა? ბიჭო, როგორ გაგვაცურე: არაფერი ვიცი, არაფერი წამიკითხავსო. ღმერთმანი „ნატვრის ხეც“ წაკითხული ექნება ამ... კარგს კაცს.

გამეცინა.

— აჰა, ხომ გითხარით, — დაასკვნა ბატონმა გოგლამ და კვლავ პატარძეულში დაბრუნება შემოგვთავაზა. პურმარილი სამაგალითო გამოგვივიდა. სმაში და მჭევრმეტყველებაში იქაურები ტოლს არავის უდებდნენ. თვით გოგლასაც კი, წვეთი არ შეარჩინეს, თუმცაღა, თვითონაც ეს უნდოდა.

— მე აი, იმ პატარა ოთახში ვარ დაბადებული — ლაპარაკობდა... სასმელმომარჯვებული პოეტი — მშობიარობის დროს აქ დიდ ოთახში მაშინაც სუფრა ყოფილა გაშლილი. ეტყობა, პურმარილის ბაცილა იქიდან მაქვს გამოყოლილი.

თბილისში დაბრუნების დროც მოვიდა და ჩვენც დავიძარით.

— ბიჭო, ყელი არ გამომჭრა და ჩვენებთან არ დაგცდეს, ამდენი რომ დავლიე, — მარიგებდა გზადაგზა შეზარხოშებული პოეტი.

**თარხან არჩვაძე,**
**კულტურის დამსახურებული მუშაკი.**



გოგლა და გალაკტიონი.



გოგლა პატარძეულში, საკუთარი სახლის წინ.



გოგლა და დიმიტრი გულია. 1954 წელი.

ინფორმაცია

### სად დაიწერა საჩივარი?

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის ვალერი ჯოხაძის გატაცების ფაქტზე უშიშროების სამინისტროში დაწყებულ მოკვლევას ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი მის წინააღმდეგ მიმართულ „პრიმიტიულ პროვოკაციად“ აფასებს და აცხადებს, რომ ხელისუფლებამ მისი პოლიტიკური დევნა დაიწყო.**

**როგორც ბათიაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იგი ვალერი ჯოხაძეს მართლაც შეხვდა, მაგრამ მათ შორის საუბარი საკმაოდ კონსტრუქციულ ვითარებაში, ერთ-ერთ რესტორანში გაიმართა.**

**ბათიაშვილს მიაჩნია, რომ ვალერი ჯოხაძე სხვისი დავალებით მოქმედებს. ამასთან, მისი მტკიცებით, ბოლო ორი კვირის განმავლობაში მისი გარე თვალთვალი ხორციელდება და ამას ე.წ. მეშვიდე განყოფილება ახორციელებს.**

**უშიშროების სამინისტროში ირაკლი ბათიაშვილს გუშინწინ სტუდენტის გატაცების ფაქტთან დაკავშირებით რამდენიმე საათის განმავლობაში ჰკითხავდნენ. საქმე რამდენიმე კვირის წინათ უნივერსიტეტში გამართულ აქციებს უკავშირდება. ვალერი ჯოხაძემ სატელევიზიო კომენტარში განაცხადა, რომ „მონაწილეობას არ მიიღებს აქციებში, რომელშიც ბათიაშვილები და მისნაირი პოლიტიკოსები მონაწილეობენ“.**

**ვალერი ჯოხაძემ გენერალურ პროკურატურას მიმართა წერილით, რომელშიც ირაკლი ბათიაშვილს ანგარიშსწორებაში, კერძოდ, გატაცებაში, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებს.**

**როგორც გუშინ ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა, ეს წერილი ვალერი ჯოხაძემ თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის კაბინეტში დაწერა.**

### „სტუდენტური ლიგის“



### ლიდერის განცხადება

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური გაერთიანების „უნივერსიტეტელის“ წარმომადგენელთა მტკიცებით, უშიშროება ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილ სტუდენტებს დევნის.**

**როგორც აღნიშნული ორგანიზაციის წევრმა რატი მაისურაძემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, „სტუდენტური ლიგის“ ლიდერს გიორგი სიგუას საქართველოს ტერიტორია ძალის გამოყენებით დაატოვებინეს.**

**მისივე მტკიცებით, უშიშროება უნივერსიტეტში სტუდენტების დაშინების გარდა, მათ მოსყიდვასაც ცდილობს და ადგილი აქვს ფულის შეთავაზების ფაქტებს.**

**ინტერ-პრესი.**

კორუფციის წინააღმდეგ

# ქრთამის ნიხრი... აბიტურიენტებისთვის

**საქართველოში ორი წლის წინათ ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრი დაარსდა. პროფესორ-მასწავლებლები, ახალბედა იურისტები თუ ეკონომისტები ერთად ცდილობენ ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებში ჩაძიებას, გამოკვლევას, რათა საზოგადოებას გააცნონ სხვადასხვა სტრუქტურაში ამ კუთხით რეალურად არსებული მდგომარეობა.**

**დამეთანხმებით, ჩვენში კორუფცია წლების მანძილზე ბატონობდა. იგი საბოლოოდ ჯერაც არ აღმოფხვრილა, რადგან, სამწუხაროდ, ქართველებში ის საკმაოდ ღრმად არის გამჯდარი. ადრე არსებულ კანონდარღვევებზე საუბარს ყველა ერიდებოდა, ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის საქართველოს ოფისში კი ამ მავნე სენის სამხელად თეორიული თუ პრაქტიკული მუშაობა არ ნელდებოდა. ამაზე მიუთითებს მათ მიერ შექმნილი არაერთი ნაშრომი, კერძოდ, კორუფცია ენერგეტიკის სექტორში; კორუფცია გზათამშენებლობის სექტორში; კორუფცია უმაღლესი განათლების სისტემაში; ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებიდან შემოსული კონტრაბანდა; ცენტრის ოფისში შეისწავლეს „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი; აგრეთვე, იტალიის კანონმდებლობის საფუძველზე, კონფისკაციის ინსტიტუტი და სხვა.**

**ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ კორუფციაზე უმაღლესი განათლების სისტემაში, რადგან უმაღლესი სასწავლებელი არის მაგალითი ცოდნის, ზნეობისა და სიწმინდისა. თუ ჩვენ იქ მისულ ახალგაზრდას პირველი დღიდანვე ქრთამზე დავუწყებთ საუბარს, მაშინ 4-5 წელიწადში იქ არსებულ აღებ-მიცემობაში ნებისმიერი კარგად გაერკვევა და შემდეგ აღარც უნდა გვქონდეს იმის პრეტენზია, რომ ამა თუ იმ უწყებაში ქრთამის მოყვარული ჩინოსნები რატომ მოღვაწეობენო.**

**ნაშრომი „კორუფციის პრობლემები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში“ ფონდების STARR-ისა და IREX-ის ფინანსური მხარდაჭერით შესრულდა. მასში გამოყენებულია გაეროს და ევროგაერთიანების დოკუმენტები, საქართველოს კანონმდებლობა განათლების შესახებ და ახალი საკანონმდებლო პროექტი უმაღლესი განათლების შესახებ, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველწლიური მონაცემები, კონტროლის პალატის ანგარიშები, სპეციალურად ამ გამოკვლევისთვის ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები და ა. შ.**

**უფრო კონკრეტულად, ამ კვლევების საშუალებით მიღებულ შედეგებზე, უნივერსიტეტებში რეალურად არსებულ სურათზე ვესაუბრეთ ნაშრომის „კორუფციის პრობლემები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში“ ავტორს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს ქეთევან როსტიაშვილს.**

**— ქალბატონო ქეთევან, ნაშრომზე მუშაობისა და კვლევის შედეგად, როგორ ფიქრობთ, პირველად რა ეტაპზე უწევს ახალგაზრდას უმაღლეს სასწავლებელში არსებულ კორუფციასთან შეჭიდება?**

— ყველაფერი მისაღები გამოცდებისთვის მომზადებიდან იწყება. სახელმძღვანელოების მრავალფეროვნების გამო, დღეს ერთიანი სასწავლო პროგრამა არ არსებობს. ამასთან, სკოლაში მიღებული განათლება მისაღები გამოცდების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. სწორედ ამიტომ ფართოდაა გავრცელებული რეპეტიტორების ინსტიტუტი. არაერთი რესპონდენტის გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ ეს რეპეტიტორები საშუალოდ 600 დოლარს, ზოგჯერ კი გაცილებით მეტს იღებენ. თანხის ოდენობა განისაზღვრება რეპეტიტორის ცენზის მიხედვით, — რაც უფრო დიდია ლექტორის თანამდებობა უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციულ იერარქიაში, მით უფრო მაღალია მისი ანაზღაურება — 800-დან 1500 დოლარამდე. ასეთ დროს, ფაკულტეტის დეკანი ყველაზე მაღალ გასამრჯელოს იღებს, რადგან ის სისტემატურად მიმღები კომისიის წევრია. დეკანი უზრუნველყოფს აბიტურიენტის მაღალ შეფასებას არა მარტო მისაღებ გამოცდებზე, არამედ სწავლის პერიოდშიც. წესისამებრ, უმაღლესში 3 ან 4 მისაღები გამოცდა ტარდება, ამდენად, აბიტურიენტის მომზადება მინიმუმ 2100 დოლარი ჯდება. ამ ფაქტებს ჩვენი რესპონდენტებიც ადასტურებენ. ზოგიერთი მათგანი კი აღნიშნავს, რომ თბილისის სახელმწიფო უნი-



ვერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩასარიცხად 8-9 ათასი დოლარია საჭირო, იურიდიულ ფაკულტეტზე კი ეს თანხა 10-15 ათას დოლარს შეადგენს. გამოკითხულთა მეორე ნაწილის აზრით, უმაღლესში მოხვედრა შესაძლებელია ქრთამისა და ნაცნობობის გარეშეც, თუკი აბიტურიენტი მართლაც კარგად არის მომზადებული.

**— როგორ ვითარდება მექრთამეობის პროცესი უშუალოდ სწავლის პერიოდში?**

— შემდგომი ეტაპი სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მომზადებაა მისივე ლექტორის მიერ, ვინაიდან ლექტორი სტუდენტთან დამატებით კი არ მუშაობს, არამედ მისგან ფულს იღებს და გამოცდაზე მაღალ შეფასებას აძლევს. თუკი სტუდენტი დაკავებულია სხვა საქმიანობით, ან უბრალოდ ეზარება სწავლა, მას შეუძლია ფული გადაიხადოს და ნიშანი შუამავლის დახმარებით მიიღოს. ამასთან, ნიშნის დაწერა ნაცნობობით, ან „ავტორიტეტული“ პირის თხოვნითაც შეიძლება.

რესპონდენტებმა მოგვაწოდეს ქრთამის ნიხრი სესიების დროს სხვადასხვა ფაკულტეტებისთვის. მაგალითად, თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე ეს თანხა 50-100 დოლარს შეადგენს. თანხის გადახდის შემდეგ შეფასებას სრულიად უცოდინარი სტუდენტიც იღებს.

ახალგაზრდები უმაღლესებში ფულის შოვნის კიდევ ერთ წყაროდ სახელმძღვანელოების რეალიზაციას ასახელებენ. ლექტორებისთვის, რომლებმაც წიგნები გამოსცეს, ფულის შოვნის ყველაზე იოლი გზა თავიანთ სტუდენტებზე ამ წიგნების გასაღებაა. თუ ლექტორი 5-ლარიან წიგნს თავის ყველა სტუდენტს მიჰყიდის, მაშინ ის თავის პროდუქციასაც გაასაღებს და თავის ჯიბესაც სოლიდურ თანხას შემატებს.

ხდება ისეც, რომ გამოცდაზე ლექტორი გამოსაცდელი სტუდენტებისგან ითხოვს წიგნის წარმოდგენას ავტოგრაფით, რათა მან იგივე ეგზემპლარი სხვას არ გადასცეს. ხშირად სახელმძღვანელოების ფასი 10-12 ლარია.

ყოველმხრივ დასტურდება, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ცუდად მართვადი სისტემაა. იქ აუცილებელია დეცენტრალიზაცია, რასაც, პრაქტიკულად, ახალი კანონპროექტი ემსახურება.

**— თუმცა ახალ კანონპროექტში სადავო საკითხებიც მრავლად არის!**

— ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით მართლაც მრავალი მოსაზრება იყო. ბევრი შენიშვნა, წინადადება გაითვალისწინეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძველთან შედარებით ახლანდელი კანონპროექტი შინაარსითა თუ სტილით გაცილებით სრულყოფილია. ეს იძლევა საჯარო სამართლის იურიდიული პირის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის დეცენტრალიზაციის ძლიერ სტიმულს. ამასთან, დახვეწილია მართვის სისტემის სქემა, უკეთ არის წარმოდგენილი ძალაუფლების გადანაწილების პრინციპი. კანონპროექტში სრულყოფილია საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში თანამდებობებზე არჩევის სისტემა.

ახალი კანონპროექტი მეტ ადმინისტრაციულ და ფინანსურ ძალაუფლებას ანიჭებს ფაკულტეტებს, რაც დადებითად და სასარგებლო ინიციატივად მიგვაჩნია.

**— თუ გაეცნენ თქვენს ნაშრომს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და როგორია მათი აზრი?**

— ნაშრომს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაწილი უკვე გაეცნო. ჩემამდე მოდის ხმები, რომ ერთ ნაწილს ეს ნაშრომი ძალიან მოსწონს, მეორე ნაწილს კი — ადმინისტრაციის ყოფილ წევრებს, — სამწუხაროდ, არ მოსწონთ, ძალიან უკმაყოფილოები არიან. ბუნებრივია, არც არის გასაკვირი, რომ ნაშრომმა მათი გულისტკივილი გამოიწვია. აქ მთავარი ერთია — ჩვენ მეცნიერები ვართ, ეს არის მეცნიერული კვლევა, ნაშრომში გამოყენებულია სახელმწიფო დოკუმენტები და სოციოლოგიური კვლევის მასალები. იგი ადასტურებს, რომ უმაღლესი განათლების სისტემა არის კორუმპირებული და აუცილებლად გასაჯანსაღებელი. მათ, ვინც ამ ნაშრომით უკმაყოფილოა, შეუძლიათ გააკეთონ ახალი კვლევები, შემდეგ ეს დასკვნები საჯაროდ გამოიტანონ და ვიმსჯელოთ.

**— თქვენ სხვა სფეროებშიც შეისწავლეთ კორუფციის მომენტები. აშკარაა, რომ მექრთამეობა ქართველებში საკმაოდ ღრმად არის გამჯდარი, რა არის საჭირო ამ ყველაფრის აღმოსაფხვრელად?**

— თუ ჩვენ, მთელი საზოგადოება არ შეიცვალა, მაშინ არსებული ხარვეზები კვლავ დარჩება. რევოლუციის მიზანია, მართვის ახალი რეჟიმის შექმნა, რომელიც დამოკიდებული იქნება სამართლიანობასა და ჯანსაღ ურთიერთობაზე. ამასთან, აუცილებელია საზოგადოების აქტივობა, როდესაც ყველას მუშაობა გაკონტროლდება. თუ უნივერსიტეტის რექტორატს ეყოლებოდა აქტიური პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც გააკონტროლებდნენ უნივერსიტეტიდან თითოეული თეთრის ხარჯვას, მაშინ ეს პროცესი უკეთ წარიმართებოდა. ყველამ უკეთ უნდა გავიზიაროთ, თუ რა არის კარგი და აუცილებელი ჩვენი მომავლისთვის. სხვაგვარად წარმოუდგენელია კორუფციის დამარცხება.

**ესაუბრა**
**ლელა ხვადაგიანი.**

თარიღი

# იოსებ სტალინი

ჩვენს უზარმაზარ ქვეყანაში, იმ უნიკალურ ისტორიულ გარემოებებში, რომლებშიც ყალიბდებოდა სახელმწიფო, ყოველივე ეს ახდენდა გავლენას იმ პირთა ხელმძღვანელობის სტილზე, რომლებიც ქვეყნის სათავეში იდგნენ. და არა მარტო სტილზე, არამედ იმ უაღრესად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზეც, რომლებსაც ისინი იღებდნენ და ახორციელებდნენ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენს ქვეყანაში სწორედ პიროვნება ასრულებდა ფუძემდებლურ როლს, განსაზღვრავდა ყველაფერს, ან თითქმის ყველაფერს. ხოლო იმ პირებს კი, რომლებიც ამა თუ იმ რთული ისტორიული მოვლენების პერიოდში, განსაკუთრებით კი გარდამტეხ მომენტებში, არ უწევდნენ ანგარიშს ყოველივე ამას, უწევდათ მძიმე საზღაურის გაღება, ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი. დაუშვებელია ბოლომდე არ შევაფასოთ პიროვნების როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, წარსულში იქნება ეს, აწმყოში თუ მომავალში. ისე აეწყო ჩვენი სამშობლოს ისტორია, რომ პიროვნეები, მით უმეტეს, ნებისყოფიანი, ძლიერი, მიზანდასახული ადამიანები, საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავდნენ მთელი ხალხების, საზოგადოების ბედს. მათ პრაქტიკულ საქმიანობაზე, მათ მიერ დასახულ ორიენტირებზე დამოკიდებული იყო ძალზე ბევრი რამ. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან, ჩვენმა სახელმწიფომ და მასში მცხოვრებმა ხალხებმა, შეიძლება შექმნან ისეთი საკანონმდებლო ბაზა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურა, რომელიც გაათავისუფლებს ადამიანებს ხელმძღვანელების მიერ გადადგმული ამა თუ იმ ნაბიჯის მავნე ზემოქმედებისგან. მაგრამ, თუ როდის მოხდება ეს და რა გზით, როდის მივაღწევთ ჩვენ ყოველივე ამას, საკმაოდ რთული კითხვაა, და, სამწუხაროდ, ალბათ, ჯერჯერობით მასზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს.

საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის საბაზო საკითხების გადაწყვეტის დროს უდიდესია სტალინის როლი თეორიასა და პრაქტიკაში. თუ ავიღებთ ისეთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიებს, როგორიც არის სოციალიზმი, პატრიოტიზმი, რუსი ერის საკითხი და სტალინი, ყოველი საზოგადოებრივი ასპექტის გამოკვლევა ცალკე და, განსაკუთრებით ყველას ერთად აღებულის, მოგვცემს საშუალებას, გამოვიტანოთ საკმაოდ მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც უკვე დაადასტურა გარკვეულწილად მოვლენათა განვითარებამ არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. საბაზო, გადამწყვეტი, განმსაზღვრელი არის პატრიოტიზმი. რა გადაარჩენს რუსეთს ძნელბედობის ჟამს, თუ ჩვენ დავკარგავთ პატრიოტიზმის გრძნობას?

1999 წელს ცნობილმა პარტიულმა და საზოგადო მოღვაწემ იური ბელოვმა „სოვეტსკაია როსიას" ფურცლებზე დაბეჭდა სტატია, რომელშიც შეეხო ამ საკითხს. აი, რას წერდა ამის თაობაზე იური ბელოვი: „XX საუკუნეში ორჯერ შეექმნა საფრთხე რუსეთის ეროვნულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. და ორივე შემთხვევაში იგი გადარჩა იმის წყალობით, რომ აქ განმსაზღვრელი როლი შეასრულა სოციალიზმისა და პატრიოტიზმის ერთობამ. პირველად ეს იყო სამოქალაქო ომის დროს, მეორედ კი – დიდი სამამულო ომის წლებში. და ეს მოხდა იმიტომ, რომ ჯერ ლენინმა, შემდეგ კი სტალინმა უზრუნველყვეს სოციალიზმისა და პატრიოტიზმის ერთიანობა. სამოქალაქო ომის დამლევისთვის მწიფდებოდა ახალი მოვლენა რუსეთის ისტორიაში – საბჭოთა პატრიოტიზმი. მაგრამ განსაკუთრებით გაიფურჩქნა იგი სტალინის დროს. სწორედ სტალინის წყალობით მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა პატრიოტიზმი სსრ კავშირის ყველა ხალხების ღირებულებათა სისტემაში. და ყოველივე ეს მოხდა, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ დიალექტიკოსმა-სტალინმა რუსეთში შექმნილ მრავალეროვნულ ერთობის ჯაჭვში იპოვა ის რგოლი, რომლითაც შესაძლებელი იყო მთელი ჯაჭვის – ერთა კავშირის შედუღაბება. მან მიმართა რუსების



ეროვნულ შეგნებას – ეროვნულ პატრიოტიზმს.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მოხდა რუსების კლასობრივი შეგნების შერწყმა მათ პატრიოტულ შეგნებასთან. ამ უკანასკნელს საფუძვლად დაედო ინტერნაციონალიზმი. რუსეთი ინტერნაციონალური მოვლენაა. და ყოველივე ამაში ისტორიული როლი ეკუთვნის სტალინს. სოციალიზმისა და პატრიოტიზმის ერთობა არასდროს არ იყო იმდენად დიდი და შთამბეჭდავი, როგორც ეს სტალინის ეპოქაში მოხდა. და დიდ სამამულო ომში გამარჯვებას, ალბათ, ვერ მივაღწევდით, რუსული საკითხი რომ არ დადებოდა საფუძვლად სსრ კავშირში ეროვნულ პოლიტიკას. ეს შეუძლებელი იქნებოდა, საბჭოთა პატრიოტიზმი რუსული პატრიოტიზმის საფუძველზე რომ არ აღმოცენებულიყო.

დღეს, როცა დიდი უმრავლესობისთვის დაისვა რუსეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი, სახალხო საზოგადოება „ზნანიე" კიდევ უფრო დიდ ინტერესს იჩენს სტალინის ეპოქისადმი. სტალინის ისტორიული რეაბილიტაცია გარდუვალია. გარდუვალია იმიტომ, რომ მის დროს გადაწყვეტილი იყო ეს საკითხი – „რუსეთი მუდამ იქნება"!

ძალზე სწორად არის ნათქვამი. და რაც უფრო შორს მივყავართ დროს იმ ეპოქისგან, მით უფრო მეტად ადასტურებს ისტორიის მიმდინარეობა ი. ბელოვის ამ დასკვნის სიმართლეს. იმდროინდელ თაობებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები, რაში მდგომარეობდა ჩვენი უმთავრესი პრობლემები, სად დავუშვით შეცდომები, და პირიქით, სად გამოვიყენეთ სოციალიზმის, პატრიოტიზმის, რუსი ერის საკითხისა და საბჭოთა ხელმძღვანელის სტალინის დიდი ძალა. უმთავრესია ისეთი კატეგორიები, როგორიც არის სოციალიზმი, პატრიოტიზმი, რუსი ერის საკითხი და სტალინი. მაგრამ, გარდა ამისა, შეიძლება ჩამოვთვალოთ კიდევ მრავალი სხვა ასპექტი, რომლებიც განსაზღვრავდნენ დროს, მოვლენათა ხასიათს, ჩვენი წინსვლის კანონზომიერებას. შეიძლება რაღაც მომენტში დაგვავიწყდეს ზემოაღნიშნული კატეგორიები, მაგრამ მათი მნიშვნელობის დაკნინება, ან უგულებელყოფა ყოვლად მიუღებელია.

შეიძლება მოვიყვანოთ იმის მრავალი მაგალითი, თუ რა დიდი და გადამწყვეტი იყო სახელმწიფოზე ქვეყნის მმართველობაში მყოფ პიროვნებათა გავლენა. ამას მოწმობს ჩვენი ისტორიის თუნდაც ორი, შედარებით ახალი მაგალითი. მე ვგულისხმობ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს ორ მოღვაწეს, რომელთა როლის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია, თუ ჩვენ არ გვსურს დავუშვათ ისეთი შეცდომა, რომელიც მთლიანად გადაუსვამს ხაზს ჩვენი ისტორიული განვითარების ანალიზს და აქედან გამოტანილ დასკვნებს. მე ვგულისხმობ ლენინს და სტალინს. თავიანთი საქმეებით მათ დაიმკვიდრეს ადგილი ისტორიაში და არ არის ისეთი ძალა, რომელიც შეძლებს მათი სახელების ამოშლას.

თითქმის ყოველივე ის, რაც ხდებოდა XX საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში, რაც იყო სახელმწიფოს, მილიონობით ადამიანის ცხოვრების ძირითადი მიმართულება, უშუალოდ უკავშირდებოდა ამ ორ ბუმბერაზ ადამიანს. თუ ისინი სწორად აღიქვამდნენ ჭეშმარიტებას და მკაფიოდ აყალიბებდნენ მას, ჩვენი შემდგომი წინსვლა მიმდინარეობდა ბუნებრივი კალაპოტით, იყო ნაყოფიერი, თვით იმ შეცდომების მიუხედავადაც კი, რომლებიც ხშირად იყო დაშვებული ამა თუ იმ გარემოების გამო, ისტორიული განვითარების ეტაპებზე. მაგრამ თუ ამ ადამიანების ცალკეული დასკვნები მცდარი იყო, ჩვენი სახელმწიფოს განვითარებაში დაშვებული შეცდომები ისე ძვირი გვიჯდებოდა, რომ მათ აღმოფხვრას დროის ხანგრძლივი პერიოდი სჭირდებოდა. ავიღოთ, მაგალითად, შეცდომა, რომელიც უკავშირდებოდა მსოფლიო რევოლუციის იმედებს. ამ თვალსაზრისით, უფრო რეალისტური იყო სტალინის პოზიცია, რომელიც გაცილებით უფრო დიდი პრაგმატიკოსი იყო და უფრო საღად აფასებდა მსოფლიოში იმ დროისთვის შექმნილ ვითარებას.

ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების მთელი საქმიანობა მიზნად ისახავდა ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული იდეების, მისი ჩანაფიქრებისა და მისწრაფებების რეალიზაციას. ეს ის თვისებაა, რომელსაც გარკვეულ გარემოებაში შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს, ან კიდევ, პირიქით – დამღუპველი აღმოჩნდეს ხალხისთვის. ასეთია კიდევ ერთი რეალობა, რომელსაც ვერსად წაუვალთ და რომელსაც აუცილებლად უნდა გავუწიოთ ანგარიში, თუ ჩვენ მართლაც გვსურს მივაღწიოთ დასახულ მიჯნებს.

ის დრო, როცა სახელმწიფოს ხელმძღვანელობდა სტალინი, როცა ქვეყნის მართვის ყველა სადავეები მას ეპყრა ხელთ, იყო უაღრესად დაძაბული, მოითხოვდა ტიტანურ შრომას. სწორედ ასე შრომობდა მთელი ქვეყანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ გადავწყვეტდით იმ ამოცანებს, რომლებიც დასახული იყო დღის წესრიგში. გონების თვალით ხშირად ვუბრუნდებით იმ ისტორიულ პერიოდს და დღესაც გვიკვირს, თუ როგორ შეძლო ჩვენმა სახელმწიფომ ასეთი დიდმასშტაბიანი და რთული გეგმების განხორციელება.

ამასთან დაკავშირებით, ერთი რამ უნდა ითქვას. ჩვენ ვხედავთ, სტალინის ხელმძღვანელობით სახელმწიფოს განვითარების ვარიანტს. და, ალბათ, სწორედ ეს სიტუაცია უნდა გავაანალიზოთ, ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რადგან ისტორიამ ჩვენ ეს გვარგუნა. უდავოა ერთი რამ: სტალინმა შეასრულა უდიდესი როლი და განვითარების ის შედეგები, რომლებსაც სტალინმა მიაღწია თავისი მოღვაწეობის განმავლობაში, შთამბეჭდავია არა მარტო ჩვენთვის და ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრებისთვის, არამედ მტრებისთვისაც კი. საბჭოთა ქვეყანა, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ უწიგნური, ღარიბი და ჩამორჩენილი იყო, გარდაიქმნა ზესახელმწიფოდ. მას ანგარიშს უწევდნენ, მას პატივს სცემდნენ, მისი ეშინოდათ. და ამ საბჭოური ზესახელმწიფოს ფლაგმანი იყო იოსებ სტალინი.

**ვლადიმერ კრუჩკოვი.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 293-301.**

# ტრაგედიის არნახული მასშტაბი



**გიგანტური ტალღები გამოიწვია 9 ბალი სიმძლავრის მიწისძვრამ, რომლის ეპიცენტრი ინდოეთის ოკეანეში მდებარეობდა. ეს მიწისძვრა იყო მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ამ ბოლო 40 წლის განმავლობაში და თავისი ძალით მეხუთე 1900 წლის შემდეგ მომხდარ მიწისძვრებს შორის.**

დაღუპულთა რაოდენობა გამუდმებით იზრდება; ათასობით ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება; მილიონობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. სტიქიამ ზარალი მიაყენა სულ ცოტა 10 ქვეყანას მალაიზიიდან აფრიკამდე უზარმაზარ ზონაში, მაგრამ ყველაზე დიდი მსხვერპლი და ნგრევა მან მოუტანა შრი-ლანკას, ინდონეზიას, ინდოეთსა და ტაილანდს.

მრავალ რაიონში არ არის სასმელი წყალი; ვრცელი ტერიტორიები კვლავ დატბორილია; გაწყვეტილია კავშირი. ცალკეულ რეგიონებთან კონტაქტის დამყარება ჯერჯერობით ვერ ხერხდება, თუმცა, სტიქიის შემოტევის შემდეგ უკვე ორი დღე-ღამე გავიდა.

არის საშიშროება, რომ სტიქიით დაზარალებულ რაიონებში შეიძლება გავრცელდეს ეპიდემია; გაერო აცხადებს, რომ იწყებს მზადებას სამაშველო და ჰუმანიტარული ოპერაციების განსახორციელებლად, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური იქნება. სამაშველო ოპერაცია, შესაძლოა, დაჯდეს მრავალი მილიარდი დოლარი, განაცხადა გაეროს კოორდინატორმა დაზარალებულთა დახმარების საკითხებში იან ეგელანდმა.

შრი-ლანკაში, ინდონეზიასა და ინდოეთში ათასობით ადამიანია დაღუპული; სტიქიას შესაძლოა ემსხვერპლა კიდევ არაერთი ათასი კაცი ანდამარისა და ნიკობარის კუნძულებზე: როგორც ამ რაიონებიდან იტყობინებიან, ამ არქიპელაგების ზოგიერთი კუნძული მთლიანად დაფარა წყალმა.

ინდონეზიის ჩრდილოეთ ნაწილში, აჩეხის პროვინციაში, რომელიც წყალქვეშა მიწისძვრის ეპიცენტრთან ყველაზე ახლოს მდებარეობს, დაღუპულთა რიცხვი შეიძლება 20 ათასამდე გაიზარდოს.

სტიქიამ უდიდესი ზარალი მიაყენა ტაილანდის პოპულარულ კურორტებს, სადაც, მაშველთა თქმით, დაიღუპნენ 13 ქვეყნის ტურისტები. გიგანტურმა ტალღებმა გამოიწვია მსხვერპლი ასევე მალაიზიაში, მალდივის კუნძულებზე, ბირმასა და ბანგლადეშში. კვირას მზის ჩასვლის შემდეგ ცუნამი დაატყდა თავს სომალის სანაპიროს, სადაც, როგორც მაშველები ვარაუდობენ, ასობით ადამიანი დაიღუპა და ათასობით – უსახლკაროდ დარჩა. შრი-ლანკაში უსახლკაროდ დარჩენილთა რიცხვი მილიონს აღწევს.

მალდივის კუნძულებზე და შრი-ლანკაში გაგზავნეს გაეროს სპეციალისტები, რომლებმაც უნდა შეაფასონ უბედურების მასშტაბი. შრი-ლანკის ხელისუფლება აცხადებს, რომ ამ მომენტისთვის ყველაზე აუცილებელია რამდენიმე მილიონი ტაბლეტი წყლის გასაწმენდად, სურსათი, კარვები და საბნები, აგრეთვე, მედიკამენტები.



# ვიქტორ იანუკოვიჩი შედეგებს ასაჩივრებს

**უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვებულად ფაქტობრივად გამოაცხადა ოპოზიციის ლიდერი ვიქტორ იუშჩენკო.**

თუმცა, მთავარი ინტრიგა, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს ეს, თვით კენჭისყრის შედეგებს არ მოჰყოლია. უკრაინელი პოლიტიკოსები ელოდებოდნენ, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ ვიქტორ იანუკოვიჩის წარმომადგენლები – გაასაჩივრებენ თუ არა ისინი არჩევნების შედეგებს.

პრემიერ-მინისტრმა და მისი შტაბის წევრებმა განაცხადეს, რომ საარჩევნო პროცესის დროს დაფიქსირდა უამრავი დარღვევა და აღნიშნეს, რომ ეცდებიან გააუქმონ არჩევნების შედეგები უზენაეს სასამართლოში. ეს ჟურნალისტებს განუცხადა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იანუკოვიჩის შტაბის წარმომადგენელმა ნესტორ შუფრიჩმა.

„მრავალ საარჩევნო უბანში არ ჰყოფნიდათ ბიულეტენები, რის გამოც, ათი ათასობით ამომრჩეველს არ მიეცა არჩევნებში მონაწილეობის საშუალება, – თქვა მან. – იანუკოვიჩის შტაბი დაამტკიცებს, რომ მოხდა სისტემური დარღვევები 26 დეკემბერს გამართული არჩევნების დროს".

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ასეთი რიტორიკა აბსოლუტურად ემთხვევა ოპოზიციის იმ პრეტენზიებს, რომლებიც მან გამოთქვა 21 ნოემბერს კენჭისყრის მეორე ტურის დასრულების შემდეგ. მაშინ უკრაინის უზენაესი სასამართლო დაეთანხმა ვიქტორ იუშჩენკოს წარმომადგენელთა არგუმენტებს და გააუქმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემები, რომელთა თანახმადაც პრეზიდენტად აირჩიეს ვიქტორ იანუკოვიჩი.

მაგრამ, წინა კენჭისყრისგან განსხვავებით, ამჯერად დასავლელი ექსპერტები აცხადებენ, რომ საარჩევნო უბნებში ყველაფერი წესრიგში იყო. სამაგიეროდ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან მივლინებულ მეთვალყურეებს კი მიაჩნიათ, რომ კენჭისყრის დროს უამრავი დარღვევა მოხდა.

ამავე დროს, ექსპერტები აცხადებენ, რომ ეგრეთ წოდებული „მესამე ტურის" დროს ვიქტორ იანუკოვიჩმა გაცილებით უფრო კარგ შედეგებს მიაღწია სწორედ იმ ოლქებში, რომლებშიც მისმა წარმომადგენლებმა წინათ დააფიქსირეს დარღვევები.

მაგალითად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იუშჩენკოს წარმომადგენელმა რომან ზვარიჩმა განაცხადა: „ნესტორ შუფრიჩი, ისევე როგორც ვიქტორ იანუკოვიჩის გუნდის ყველა წევრი, ვერ ხედავდნენ იმას, რაც ყველა საერთაშორისო მეთვალყურემ დაინახა 21 ნოემბერს. ახლა კი მათ შენიშნეს ისეთი რამ, რაც 12 ათასი საერთაშორისო მეთვალყურისგან არავის არ შეუნიშნავს. ასეთ შემთხვევაში, უბრალო დასკვნის გამოტანა შეიძლება: მათი ყველა არგუმენტი თითიდან გამოწოვილია, რომლებსაც არანაირი დადასტურება არ გააჩნიათ".

ასეთივე მოსაზრებას იზიარებენ კიევის მოედანზე შეკრებილი საპროტესტო აქციის მონაწილეებიც. ეს ადამიანები აღაშფოთა „პირველი" მეორე ტურის ოფიციალურმა შედეგებმა, მაგრამ ახლა ისინი სიხარულს ვერ მალავენ.

უახლოეს მომავალში გაირკვევა, თუ როგორ გადაწყვეტილებას გამოიტანს უკრაინის სასამართლო.

მეთვალყურეებს მიაჩნიათ, რომ სოლიდური სხვაობა ამომრჩეველთა ხმების რაოდენობას შორის ოპოზიციის ლიდერს მნიშვნელოვან მორალურ უპირატესობას ანიჭებს. თუმცა, მრავალი მათგანი არ გამორიცხავს, რომ უკრაინის არჩევნების ბედი შესაძლოა, მხოლოდ იანვრის დამდეგისთვის გადაწყდეს.



დაიჯესტი

# ბრძოლა ევროპისთვის

„ნეანდერტალელები, ალბათ, არ შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე ადამიანის განვითარების ერთ-ერთ საფეხურად", – ასე ფიქრობს ნიუიორკის უნივერსიტეტის პალეანთროპოლოგი, დოქტორი კატერინა ჰარვატი. ეს ქალბატონი ხელმძღვანელობდა მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფს, რომლებიც მონაწილეობდნენ ნეანდერტალელებსა და ადამიანებს შორის კავშირის შემსწავლელ ვრცელ პროექტში.

მეცნიერებმა ერთმანეთს შეუდარეს ნეანდერტალელების, თანამედროვე და ადრეული Homo sapiens-ების, აგრეთვე, დედამიწაზე ამჟამად მცხოვრები 12 სხვადასხვა სახეობის მაიმუნების (შიმპანზე, ორანგუტანგი, გორილა, ბაბუინი და ა. შ.) თავის ქალები. ანთროპოლოგიის მეთოდების გამოყენებით, თავის ქალებზე განსაზღვრეს 15 სტანდარტული წერტილის მდებარეობა, რის შემდეგაც მიღებული მონაცემებიდან კომპიუტერის მეშვეობით შეადგინეს სამგანზომილებიანი მოდელები. ეს მოდელები ერთმანეთს დაადეს და შეადარეს სტატისტიკური ანალიზის მეთოდების მეშვეობით.

შედარებამ ცხადყო, რომ ადამიანისა და ნეანდერტალის თავის ქალების აგებულებას შორის სხვაობა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ერთი ჯგუფის ცხოველების ქვესახეობებს შორის. უფრო მეტიც, სხვაობა თავისი მასშტაბით უფრო საგრძნობიც კი არის, ვიდრე პრიმატების ახლო სახეობებს, მაგალითად, ადამიანს, გორილასა და შიმპანზეს შორის. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ნეანდერტალელები არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის ქვესახეობად. და მართალია, როგორც ჰარვატი აღიარებს, „მიღებული მონაცემების საფუძველზე რაიმე კატეგორიული დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, მაგრამ ეს მაინც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ განვაცხადოთ: ნეანდერტალელები და ადამიანები ორი სხვადასხვა სახეობაა".

ტერმინი „ნეანდერტალელი" წარმოიქმნა იმ ადგილის წყალობით, სადაც ევროპაში პირველად იპოვეს პლეისტოცენის ეპოქის ადამიანის ძვლები (პლეისტოცენი არის დედამიწაზე 3,5 მილიონი წლის წინ დაწყებული გეოლოგიური ეპოქა). ეს მოხდა 1856 წელს გერმანიის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში, ნეანდერტალის ველის მახლობლად. მეცნიერებმა იქ იპოვეს მანამდე უცნობი ჰომინიდის თავის ქალის ნაწილი, კიდურების, თეძოს ძვლები და ნეკნები.

ამ ნაპოვნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნეანდერტალელს ჰქონდა სხეულის კარგი აგებულება და დიდი ფიზიკური ძალა. მისთვის დამახასიათებელი იყო მასიური ცხვირი, წინ წამოწეული შუბლი, თავის ქალის მოცულობა კი თითქმის ისეთივე ჰქონდა, როგორც თანამედროვე ადამიანს. როგორც ამ ცოტა ხნის წინ განხორციელებულმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, ნეანდერტალელის ხელის მტევნები საკმაოდ მოქნილი იყო, რაც მას, სავარაუდოდ, აძლევდა საგნებით თავისუფლად მანიპულირების და საკმაოდ რთული შრომის იარაღების დამზადების შესაძლებლობასაც კი.

როგორც ცნობილია, დაახლოებით ნეანდერტალელები ბინადრობდნენ ევროპის, ცენტრალური აზიის, შუა აღმოსავლეთის ვრცელ ტერიტორიებზე, და იქ გაბატონებულ სახეობას წარმოადგენდნენ.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჰიპოთეზის თანახმად, თანამედროვე ადამიანი წარმოიშვა ერთადერთი მცირე პოპულაციისგან, რომელიც დაახლოებით 150 ათასი წლის წინ ცხოვრობდა აფრიკის კონტინენტზე. თითქმის 35 ათასი წლის წინ ამ პოპულაციის შთამომავლები გამოჩნდნენ ევროპაში, სადაც, თეორიის თანახმად, გადააწყდნენ მკვიდრ ჰომინიდებს, მათ შორის, ნეანდერტალელებსაც.

მეცნიერების ვარაუდით, ყოველივე ამან გამოიწვია მოვლენათა განვითარების ორი ვარიანტი: პირველი – თანდათანობით მოხდა ადამიანების ასიმილაცია ადგილობრივ ტომებთან, შეერივნენ მათ და, გარკვეულწილად, გარეგნულადაც დაემსგავსნენ (ამით ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს, განმარტოს, თუ რატომ განსხვავდებიან გარეგნულად პლანეტის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ადამიანები), ან მეორე – ადამიანების წინაპრებმა განდევნეს აბორიგენები, რის შედეგადაც ისინი თანდათანობით ამოწყდნენ, ადგილობრივ მკვიდრებთან მათ შერევას კი შეზღუდული მასშტაბი ჰქონდა.

უკვე კარგა ხანია მეცნიერთა გაცხოველებულ კამათს იწვევს ის, თუ, კერძოდ, როგორ ვითარდებოდა ეს მოვლენები. საბოლოო პასუხი ჯერჯერობით არ არის. ცნობილია მხოლოდ, რომ აფრიკელი მიგრანტების გვერდით დაახლოებით 10-15 ათასი წლის ცხოვრების შემდეგ, ნეანდერტალელები, სრულიად გაურკვეველი მიზეზის გამო, მთლიანად გაქრნენ.

მეცნიერთა ვარაუდით, ნეანდერტალელთა დაღუპვის მიზეზი, შესაძლოა იყო მთელ რიგ ფაქტორთა კომპლექსი. დიდი ფიზიკური ძალისა და უძველეს ადამიანთან შედარებით უფრო დიდი ტვინის მიუხედავად, ნეანდერტალელები, ალბათ, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდნენ ამ უკანასკნელთ მთელი რიგი უნარ-ჩვევების მიხედვით – ნადირობა, თევზჭერა, ერთმანეთთან ურთიერთობა (არსებობს მონაცემები იმის თაობაზეც, რომ ამ ჰომინიდთა ხმის იოგები ნაკლებად იყო განვითარებული სალაპარაკო ურთიერთობისთვის). გაცილებით სრულყოფილი სანადირო იარაღების გამოყენებამ აფრიკიდან ჩამოსულ მიგრანტებს მისცა მეტი საკვების მოპოვების შესაძლებლობა, ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აცივების დროს, რომელიც დაიწყო უკანასკნელი გამყინვარების პერიოდის დადგომისას. ამ, და შესაძლოა, სხვა ფაქტორებმა, გამოიწვიეს ის, რომ ნეანდერტალელებმა თანდათანობით დაკარგეს გაბატონებული მდგომარეობა ევროპის სივრცეში და დროთა განმავლობაში გადაშენდნენ კიდეც.

ზემოაღნიშნული გამოკვლევების შედეგად შეიძლება დავამტკიცოთ, რომ უძველესი ადამიანებისა და ნეანდერტალელების – ევრაზიის აბორიგენი მოსახლეობის გენოტიპის შერევას, ალბათ, შეზღუდული ხასიათი ჰქონდა. ნეანდერტალელები ხომ ისე გადაშენდნენ, რომ თავიანთი გენები არ დაუტოვებიათ მემკვიდრეობით კაცობრიობისთვის. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან გვაიძულებს სულ სხვაგვარად შევხედოთ თანამედროვე ადამიანის, და, უწინარეს ყოვლისა, ევროპელების წარმოშობას.

BBC RUSSIAN.com

## ისრაელი სკანდალის მოგვარებას ცდილობს

**ისრაელის არმიის სარდლობამ გამოაცხადა, რომ შეიარაღებული ძალების რიგებიდან დაითხოვა ის მეთაურები, რომლებიც მიმდინარე წლის ნოემბერში ღაზის სექტორის საზღვარზე მონაწილეობდნენ სამი ეგვიპტელი პოლიციელის მკვლელობაში.**

ისრაელის გენერალური შტაბის უფროსმა მოშე იაალონმა თავის ეგვიპტელ კოლეგასთან გენერალ ჰამდი ვუჰიბთან საუბრისას აღნიშნა, რომ ეს ინციდენტი მოხდა სამხედროთა „არასაკმარისი პროფესიონალიზმის" გამო.

როგორც ცნობილია, ეგვიპტელ პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნეს ისრაელის ტანკებმა, რომელთა ეკიპაჟის წევრებმაც ისინი პალესტინელ მოთარეშეებად მიიჩნიეს.

ეს ინციდენტი მოხდა ღაზის სექტორში იარაღის კონტრაბანდის ერთ-ერთ მთავარ მარშრუტზე.

იაალონის თქმით, ტრაგედია გამოიწვია „ისრაელის თავდაცვის არმიის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა, კერძოდ, ამ რაიონში არ იყო მიზანშეწონილი ტანკების გამოყენება, გარდა ამისა, გარკვეულწილად, შეცდომები დაუშვეს თვით ჯარების სარდლობის წარმომადგენლებმაც".

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა ამ ინციდენტის გამო ბოდიში მოუხადა ეგვიპტის პრეზიდენტს ჰოსნი მუბარაქს.

როგორც ცნობილია, ეგვიპტემ და ისრაელმა 1979 წელს მიაღწიეს დაზავებას.

## ახალი აფეთქებები ბაღდადსა და თიქრითში

**ერაყში არჩევნების მოახლოების კვალობაზე სულ უფრო მწვავდება ვითარება. სამშაბათს მოთარეშეებმა განახორციელეს ცალკეულ თავდასხმათა სერია: თიქრითში ცეცხლი გაუხსნეს პოლიციის უბნებს, ბაღდადში კი აფეთქდა ავტომანქანა. ამ ტერორისტული აქტების შედეგად ოცამდე ადამიანი დაიღუპა.**

როგორც თიქრითიდან იტყობინებიან, ცეცხლი დაუშინეს ერთბაშად რამდენიმე პოლიციის უბანს და საკონტროლო-გამშვებ პუნქტს. ერთ-ერთ ასეთ პუნქტში, რომელიც ქალაქის სამხრეთით მდებარეობდა, დაიღუპა 12 პოლიციელი.

თიქრითი სადამ ჰუსეინის მშობლიური ქალაქია და იგი დღემდე ითვლება ყოფილი ბაასისტთა რეჟიმის მხარდამჭერთა ერთ-ერთ ძირითად კერად.

თავდამსხმელებისთვის კიდევ ერთი სამიზნე გახდა ბაღდადში ერაყის ეროვნული გვარდიის მაღალი თანამდებობის პირი. იგი გადარჩა, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მის სახლთან გაჩერებულ ავტომობილში დადებული ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპნენ ქუჩაში გამვლელები.

უკვე არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ როგორც თიქრითში, ისე ერაყის მრავალ სხვა ქალაქში, დამხობილი რეჟიმის მომხრეები, და ისლამისტი-რადიკალები, რომლებმაც ერთგულება შეფიცეს უსამა ბენ ლადენს, ერთობლივად მოქმედებენ.

ამ ადამიანებს დამატებითი ძალები შემატა იმან, რომ ბენ ლადენმა აშკარად დაუჭირა მხარი ანტიამერიკულ გამოსვლათა ერთ-ერთ მთავარ სულისჩამდგმელს აბუ მუსაბ ზარქავის.

კიდევ ერთი მძლავრი აფეთქება, რომელსაც სულ ცოტა 13 კაცი შეეწირა, მოხდა ერაყის [illegible]

◎ მემუარები

ალექსანდრე ჩიკვაიძე

# ინტრიგების ლაბირინთში

## წიგნიდან — „პოლიტიკური ჭადრაკი“

ლონდონიდან მოსკოვში 1972 წელს დავბრუნდი. მივედი პარტიის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტში, სადაც დამიდასტურეს ჩემი ახალი თანამდებობა და საბოლოო გადაწყვეტილებამდე ერთი თვის ვადა მომცეს თბილისში წასასვლელად.

ჩავედი თბილისში. საშა მჟავანაძემ გაიგო ჩემი ჩამოსვლის ამბავი და რამდენიმე დღეში მივიღე ოჯახურ სადილზე მიპატიჟება ვასილ მჟავანაძისგან. როგორც ჩანს, საშა მჟავანაძემ საკმაოდ თბილად ისაუბრა მამამისთან ჩემთან შეხვედრების შესახებ. სადილზე ვგრძნობდი ხაზგასმულად მადლიერ დამოკიდებულებას მჟავანაძის მხრიდან, რაც მის კაბინეტში ცალკე საუბრით დამთავრდა. რას აპირებო, მკითხა მჟავანაძემ. ვუამბე საკუთარი გეგმების შესახებ. რა გინდა მოსკოვში, შენისთანა კადრი ახლა საქართველოს სჭირდება. სულ მალე საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გახსნას ვაპირებთ და გამგედ შენ უნდა წამოხვიდეო, მითხრა მჟავანაძემ. ამას არც ველოდი და, სიმართლე გითხრათ, იმ დროს თბილისში დაბრუნება არ შედიოდა ჩემს გეგმებში. შევეცადე, რაც შეიძლება ლამაზად მეთქვა უარი. რაკი ასეა, მაშინ აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ წამოდი, არ იშლიდა თავისას ვასილ პავლოვიჩი. მეც ჯიუტად ჩემს აზრს ვიმეორებდი. ბოლოს მჟავანაძემ დამანება თავი, მაგრამ მითხრა, მაშინ მე მოსკოვში დავრეკავ და ძაბულობა. ვასილევი დახმარებას შემპირდა და ორი დღის შემდეგ დამირეკა, შევარდნაძეს ვესაუბრე შენზე, შემპირდა მივიღებო და მითხრა, თბილისში წავსულიყავი.

ჩავედი თბილისში.

მიმიღო შევარდნაძემ. ჩვენს შორის მოკლე საუბარი შედგა და ამის შემდეგ თითქმის მთელი ექვსი თვის განმავლობაში კვლავ უმუშევარი ვიყავი, პასუხს ველოდებოდი. ბოლოს დამირეკა პავლე გილაშვილმა და შემომთავაზეს თბილისის პარტიის ქალაქკომის სავაჭრო-ადმინისტრაციული განყოფილების გამგეობა.

პავლე გილაშვილი ერთობ უცნაური, ამავე დროს უაღრესად პატიოსანი კაცი გახლდათ. თითქმის არ შემხვედრია მისებრ ალალი და საქმისთვის თავდადებული ადამიანი.

ექვსი თვის განმავლობაში ვმუშაობდი ამ თანამდებობაზე და არ მტოვებდა უკმარისობის შეგრძნება. რა თქმა უნდა, აქაც, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ადამიანური საქმიანობის დროს, იყო მეტ-ნაკლებად საინტერესო მომენტები, მაგრამ მთლიანობაში ეს სამსახური უდავოდ მიტოვებდა იმედგაცრუების შეგრძნებას, მით უმეტეს ყველაფერ იმის ფონზე, რაც უკვე ნანახი და განცდილი მქონდა.

ექვსი თვის შემდეგ მოულოდნელად დამიძახეს და დამნიშნეს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტიის რაიკომის ბა შეგვეძლო. არ შეიძლება ხელაღებით ყველაფრის უარყოფა. ჩვენ ბოლშევიკების შეცდომა გავიმეორეთ იმ თვალსაზრისით, რომ მორალურად და ფიზიკურად ყველაფრის განადგურება და მოშიშვლებულ ადგილას რისკიანი სახელმწიფოებრივი ექსპერიმენტი ნაკლებადაა სიკეთის მომტანი. წარსულსაც და დღევანდელობასაც ადამიანი, საზოგადოება ქმნის. პოლიტიკური და იდეოლოგიური ინკვიზიცია წინსვლის მთავარ ბირთვს — საზოგადოებას ხლეჩს და ეს კი ცეცხლთან თამაში და გაუმართლებელი რისკია, რაგინდ მაღალი იდეალებითაც უნდა იყოს ნაკარნახევი. თუმცა, ეს ისე...

რაიკომის პირველი მდივნის პოსტზე ვერ ვიხსენებ შემთხვევას, სინდისთან რომ წავსულიყავი კომპრომისზე. სამსახური მძიმე იყო, მაგრამ დატვირთული და საინტერესო. და კვლავ მოხდა ამბავი, რომელმაც ბევრი დამატებითი სირთულე და პრობლემა შემიქმნა. ამბავი დაკავშირებული ადამიანის „საქმიანობის“ ისეთ დასანან ასპარეზთან, რასაც ინტრიგანობა ეწოდება, ამ სიტყვის ყველაზე ამომწურავი მნიშვნელობით. თანაც ინტრიგანობა არა კონკრეტული მიზნის გამო, არა კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ, არამედ ინტრიგანობა, როგორც ცხოვრების წესი და არსებობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. პარადოქსია — ადამიანებს აინტერესებთ ინტრიგა, მაგრამ არ უყვართ ინტრიგანები. სიმართლე გითხრათ, დიდხანს ვფიქრობდი, ღირდა თუ არა ამ ისტორიის მოყოლა, რის შესახებაც ჯერ კიდევ 1978 წელს უმძიმესი საუბარი მქონდა ბატონ ედუარდთან. ჩემი ინიციატივით დავუბრუნდი ამ თემას 1996 წელსაც, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრობიდან წასვლის დღეს. ედუარდ შევარდნაძე, ვფიქრობ, მაინც ვერ დავარწმუნე ჩემს სიმართლეში, ამდენი წელი გავიდა და რაღა მოსატანია ეგ ამბავიო, მითხრა მან. მოსატანია, მოსატანია, რადგან დღემდე იმით ვამაყობ, რომ საქართველოში და არა მარტო საქართველოში, დედამიწაზე არ დადის კაცი, ვისთვისაც მე თვალებში შეხედვის მრცხვენოდეს. სხვას შეიძლება მოერიდოს ჩემთვის მზერის გასწორება, მაგრამ მე — არასგზით...

აი, ეს ამბავიც:

70-იანი წლების დამლევს ორჯონიკიძის რაიონმა უმასპინძლა მეტად ხმაურიან და წარმომადგენლობით კონფერენციას. დელეგატები მთელი საბჭოთა კავშირიდან იყვნენ მოწვეულნი. საკმაოდ ბევრი ხალხი ჩამოვიდა. მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული კავშირების საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ პანკოვი, საბჭოთა კავშირის დიპლომატიური აკადემიის კათედრის გამგე, ჩემი ახლო მეგობარი ოლეგ ბოგდანოვი, მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტის რექტორის, ბრეჟნევის უახლოესი მეგობრის, აკადემიკოს ინოზემცევის მეუღლე ქალბატონი ინოზემცევა და სხვები.



შეხვედრა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრთან შიმონ პერესთან, თელ-ავივი, 1994 წ.

სადაც საჭიროა, იქ ვიტყვი შენთან დაკავშირებით ჩვენი შეხედულების შესახებო. ვასილ პავლოვიჩ, ნუ შეწუხდებით, უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია და რა საჭიროა ზარი, ვუთხარი პასუხად. ამ ნოტაზე დავშორდით.

რამდენიმე დღეში მოსკოვში დავბრუნდი. მივედი მატკოვსკისთან. ცხვირჩამოშვებული დამხვდა.

„რა ხდება?“ — ვკითხე გაკვირვებულმა.

„მაოცებ“, — მიპასუხა მატკოვსკიმ, — „არ იცი, რომ მჟავანაძის დღეები დათვლილია? რას არეკინებდი ცკ-ს მდივანთან. ამით ხომ ყველაფერი გააფუჭე!“

როგორც ჩანს, მჟავანაძეს დაურეკავს მოსკოვში, საერთაშორისო ურთიერთობების დარგში ცკ-ს მდივან ბორის პონომარიოვთან და ჩემი ქება დაუწყია. ამ უკანასკნელმა თავაზიანი დასტური გასცა, მაგრამ იმავე დღეს გამოიძახა მატკოვსკი და უთხრა, ჩემს განყოფილებაში მოსახსნელად გამზადებული ცკ-ს მდივნის მიერ რეკომენდებულ კაცს არ ავიყვანო. მატკოვსკიმ ვერაფრით დაარწმუნა პონომარიოვი, რომ ჩიკვაიძის წამოყვანის ინიციატივა თავად განყოფილებიდან მოდიოდა და მჟავანაძის რეკომენდაცია არაფერ შუაში იყო. ვერაფრით დაარწმუნა და უკვე მერამდენეჯერ დავრჩი ჰაერში გამოკიდებული სრულიად უდანაშაულოდ და გაუგებარი მიზეზით.

სწორედ იმ დღეებში მჟავანაძე გაათავისუფლეს თანამდებობიდან და ცკ-ს პირველ მდივნად ედუარდ შევარდნაძე დაინიშნა.

რა გაეწყობოდა.

მივედი პარტიის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსპექტორ ვასილევთან, რომელიც წლების განმავლობაში კურირებდა საქართველოს. სხვათა შორის, სწორედ ვასილევმა ითამაშა დიდი როლი შევარდნაძის დაწინაურებაში. მივედი მასთან, რადგან კარგი ურთიერთობა მქონდა და ავუხსენი მდგომარეობა. ყურადღებით მომისმინა და მითხრა: „გასაგებია შენი სიტუაცია, მაგრამ საქართველოში რომ წახვიდე, როგორ ფიქრობ, მიგიღებს შევარდნაძე? კარგად მახსოვს გეგეშიძისა და მისი დაპირისპირება შენს გამო“.

ადამიანს რა შეცვლის. ნაკლებად იცვლება ადამიანური ურთიერთობებიც. ვფიქრობ, საზოგადოების მამოძრავებელი ძირითადი პრინციპი დღესაც ფაქტობრივად ისეთია, როგორიც საუკუნეების წინათ იყო. იცვლება დეკორაცია, მიზანსცენები, მაგრამ თურმე უცვლელი რჩება წყენისა თუ პირადი დამოკიდებულების დომინანტი ადამიანების ურთიერთობაში. შევეცადე ამეხსნა ვასილევისთვის, რომ არაფერ შუაში ვიყავი და ჩემგან არ მომდინარეობდა გა- [illegible]

პირველ მდივნად. რა თქმა უნდა, ჩემი დაწინაურება ედუარდ შევარდნაძის გარეშე არ მომხდარა და, ბუნებრივია, კმაყოფილი ვიყავი ჩვენს შორის ურთიერთობის მოწესრიგებით.

ორჯონიკიძის რაიკომი ერთ-ერთ ყველაზე რთული უბანი იყო რესპუბლიკის პარტიულ სტრუქტურებში. აქ იყო თავმოყრილი საგანმანათლებლო ორგანიზაციების უმრავლესობა და, შესაბამისად, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი იყო საჭირო პრეტენზიულ სამეცნიერო ელიტასთან. ადვილი არ იყო მათთან ურთიერთობა. თუნდაც ერთი გაუაზრებელი სიტყვა ან საქციელი ეჭვის ქვეშ აქცევდა რაიკომის მდივნის ავტორიტეტს. ორჯონიკიძის რაიკომში მუშაობა მეტად საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის. იყო ბევრი კონტაქტი, საინტერესო ურთიერთობა. მოვალეობას მაქსიმალურად დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ვეკიდებოდი, ვცდილობდი, არაფერი შემშლოდა. ამოცანად დავისახე მუდამ რაიონის პულსზე მჭეროდა ხელი, სულ ღია მქონოდა კაბინეტის კარი. მუშაობის ამგვარი სტილი არაერთგვაროვან რეაქციას იწვევდა, განსაკუთრებით — პარტიული ელიტის კონსერვატიული ფრთის მხრიდან. ბევრი გულწრფელად მემადლიერებოდა. მაგრამ ფხიზლობდა ავად ჩასაფრებული თვალიც და აშკარად თუ შენიღბულად ცდილობდა ჩემს კომპრომეტაციას. იმასაც კი ამბობდნენ, ჩიკვაიძე თვითრეკლამას ეწევაო და ა. შ.

საქმე ისაა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია, უფრო სწორად, საქართველოს პარტაქტივი, განსხვავდებოდა სხვა რესპუბლიკების პარტაქტივისგან. ეს იყო არა იდეოლოგიური ერთიანობა, არამედ წმინდა წყლის სახელმწიფო მმართველობის სისტემა. რა თქმა უნდა, ეს ფენომენი მეტ-ნაკლებად მთელ საბჭოთა კავშირში და, განსაკუთრებით, ცენტრში შეიმჩნეოდა, მაგრამ ქართველი კომუნისტები გაცილებით ნაკლებად იყვნენ იდეოლოგიზირებული. მთავარი ქართველობა იყო და შემდეგ ყველაფერი დანარჩენი. ქართული გენის ბუნებრივი ნიჭიერებიდან გამომდინარე, ქართველი პარტიული ჩინოვნიკი ალბათ ყველაზე გამჭვირვალედ ნიღბავდა ირონიას, როდესაც ვინმე კაპიტალიზმის დაწევა-გადასწრებაზე ან კიდევ რაიმე სხვა ფუჭი ლოზუნგის ირგვლივ მსჯელობდა. ხშირ შემთხვევაში, სასიკეთოდ დომინირებდა ადამიანური ფაქტორი, ნამდვილი პატრიოტიზმი. შესაბამისად, საქართველოში ნაკლებად თუ შეიმჩნეოდა ბევრი ისეთი პრობლემა, რომელიც დღეს ბევრი სახელმწიფოს დიდი თავსატეხია. არავინ დარდობდა ნარკომანიაზე, პროსტიტუციაზე, ლოთობაზე, ამ მოვლენების სა- [illegible]

კონფერენციის დამთავრების დღეს მე მასპინძლის ტრადიციული უფლებით დავპატიჟე რამდენიმე ადამიანი ქალაქგარეთ რესტორანში. სტუმრებს შორის ჩამოთვლილი ხალხის გარდა იყო ბატონი სერგო რიგვავა — ერთ-ერთი ქართველი ორთოდოქსი კომუნისტი, მაგრამ პატიოსანი, საკუთარი პოზიციის მატარებელი ადამიანი.

სუფრას მე ვუძღვებოდი. ჩემს გვერდით ისხდნენ ბატონი რიგვავა და მადამ ინოზემცევა. სუფრა საინტერესოდ და მხიარულად წარიმართა. შევთავაზე სტუმრებს რამდენიმე მორიგი სადღეგრძელო, მათ შორის, წესის მიხედვით ორჯერ, მაგრამ განსხვავებულ კონტექსტში ვადღეგრძელე საქართველოს კომუნისტური პარტია, პირადად ედუარდ შევარდნაძე. ჩემი თაობის ადამიანები, განსაკუთრებით, პარტიული მუშაკები დამიდასტურებენ, რომ ეს დაუწერელი კანონი, მიღებული და ნაკლებად გამაღიზიანებელი ტონი იყო მსგავსი ტიპის თავყრილობებზე. იმხანად ახლად დანიშნულმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მართლაც ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას, მაამებლობას, პროტექციონიზმს. ამ მხრივ მართლაც მძიმე მდგომარეობა იყო საქართველოში. მართალია, ეს არ იყო პრობლემა მხოლოდ საქართველოსთვის, მაგრამ, ისევ ქართული არაორდინარულობიდან გამომდინარე, ჩვენს რესპუბლიკაში ლამის ნორმად იქცა ტაციაობა და იყო შანსი, ეს ეპიდემია ცხოვრების წესად ქცეულიყო. დამთავრებული არ მქონდა ედუარდ შევარდნაძის სადღეგრძელო, რომ ქალბატონმა ინოზემცევამ „ჩართო“ საკმაოდ თეატრალური და პათეტიკური დითირამბი იმასთან დაკავშირებით, რომ შევარდნაძე ხმალამოღებული ერკინება ყველაფერ ცუდს საქართველოში და, რაღა თქმა უნდა, სარგებლობს სრულიად ერისა და ბერის აქტიური თანადგომით. ზემოთ მოგახსენეთ, რომ სერგო რიგვავას ყველაფერთან მიმართებაში საკუთარი პოზიცია გააჩნდა, რაც, ხშირ შემთხვევაში, ნაკლებად შეიცავდა აღტაცებას და უადგილო პათეტიზმს. უცებ ყური მოვკარი, რომ რიგვავა ინოზემცევას ეუბნება:

„საქმე მთლად ისე არ არის, როგორც თქვენ ბრძანებთ. შევარდნაძის კურსს არაერთსახოვანი რეზონანსი აქვს და მო- [illegible]

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 297-299, 301.

◎ თარიღი

# კვალი ნათელი

**75 წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი მედიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვახტანგ ფიფიას დაბადებიდან.**

ვახტანგ ფიფია დაიბადა სამამულო მეცნიერული ქირურგიის ბრწყინვალე წარმომადგენლის აკადემიკოს ეგნატე ფიფიას ოჯახში 1929 წლის 29 დეკემბერს. ბატონი ვახტანგი სათაყვანებელი მამის ურთულეს შემოქმედების გზას გაყვა, თუმცა, არასდროს მოქცეულა მისი უდიდესი ავტორიტეტის ჩრდილში. ტიტანური შრომის და დაუზოგავი ღვაწლის შედეგად, მან ჭეშმარიტად კუთვნილი, საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართველი ერის ცხოვრებაში.

1948 წელს სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ სწავლა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე განაგრძო, მესამე კურსიდან კი გადავიდა მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის ამავე ფაკულტეტზე, მისი წარჩინებით დამთავრების შემდეგ მოსკოვშივე შეუდგა სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობას გულ-მკერდის ქირურგიის აღიარებული ლიდერის, აკადემიკოს ა. ბაკულევის ხელმძღვანელობით და დაიცვა ჯერ საკანდიდატო, ხოლო შემდეგ, სრულიად ახალგაზრდამ, სადოქტორო დისერტაცია გულის მანკის მკურნალობის ურთულეს საკითხებზე.

1970 წლიდან ბატონი ვახტანგი ხელმძღვანელობდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის გულ-მკერდის ქირურგიის და ჰეპატოლოგიის კათედრას. 1968 წელს მიენიჭა პროფესორის, ხოლო 1982 წელს — საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. 1989 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და აკადემიკოს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად.

ვ. ფიფია საქართველოში კარდიოქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან, როგორც პრაქტიკოსმა ქირურგმა, პირველმა განახორციელა და დანერგა საქართველოში გულის დაავადებათა ოპერაციული მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი. 1980 წელს, გულის რითმის დარღვევის მკურნალობის ორიგინალური მეთოდის მოწოდებისა და დანერგვისთვის, მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია.

ბატონმა ვახტანგმა საქართველოში პირველმა ჯერ ექსპერიმენტულად, ხოლო შემდეგ კლინიკაში ჩაატარა სისხლის ხელოვნური მიმოქცევის მეთოდის გამოყენებით ურთულესი ოპერაციები „მშრალ გულზე“.

დიდი მნიშვნელობისაა მისი ნაშრომი, რომელიც ეხება პერიკარდიტების ქირურგიული მკურნალობის საკითხებს და რომელშიც დამაჯერებლადაა დასაბუთებული ორიგინალური ოპერაციული მიდგომის უპირატესობა გულის პერანგის ქრონიკული ანთების დროს.

მისი მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი მიმართულება გახლდათ გულის მანკების ექსპერიმენტული მოდელების შექმნა. სწორედ ასეთი კვლევითი მეცნიერული ანალიზი დაედო საფუძვლად მის მონოგრაფიას „ფილტვის არტერიის იზოლირებული სტენოზი და მისი ქირურგიული მკურნალობა“, რომელიც შეფასდა, როგორც ამგვარი მანკის შესწავლის პირველი სრულფასოვანი მეცნიერული ცდა.

ვ. ფიფიას ხელმძღვანელობით ექსპერიმენტში ჩატარებული ტრაქეობრონქიალური ხისა და ფილტვების რეკონსტრუქციული ოპერაციების ანალიზი საფუძვლად დაედო ტრაქეისა და ბრონქების პლასტიკის დასაბუთებულ ორიგინალურ მეთოდიკას.

შუასაყარის ორგანოთა პათოლოგიის აქტუალური საკითხების შესწავლას ეხება მისი მონოგრაფია „პნევმომედიასტინოგრაფია“. ეს ნაშრომი უმნიშვნელოვანესია ისეთი უმძიმესი დაავადების დიაგნოსტიკაში, როგორიცაა მიასთენია. დაავადების მედიკამენტოზური მკურნალობა არაეფექტიანია და, როგორც წესი, მთავრდება სასუნთქი კუნთების დამბლით და სიკვდილით. მხოლოდ ოპერაცია იძლევა ავადმყოფის გადარჩენის საშუალებას, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში პირველმა ვახტანგ ფიფიამ შეასრულა.

ბატონი ვახტანგი ავტორია 170-ზე მეტი ნაშრომისა, მათ შორის რვა მონოგრაფიისა. მათი უმრავლესობა სსრ კავშირის ცენტრალურ გამომცემლობათა მიერ არის დასტამბული; რამდენიმე ნაშრომი საზღვარგარეთაც გამოქვეყნდა.

ის ხშირად წარმოდგენდა სამამულო მეცნიერებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ კონგრესებზე, კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმებზე. გულის რიტმის დარღვევათა ქირურგიულ მკურნალობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე გამოცდილების გასაზიარებლად სამეცნიერო მივლინებებში იმყოფებოდა საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, მონაწილეობდა აგრეთვე ყოფილი საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ერთობლივ სიმპოზიუმებში.

ბატონი ვახტანგის ხელმძღვანელობითა და მეცნიერული კონსულტაციებით დაცულია თორმეტი დისერტაცია (სამი სადოქტორო და ცხრა საკანდიდატო). მის მიერ აღზრდილი მეცნიერი მუშაკები და პრაქტიკოსი ექიმები დღესაც ღირსეულად ატარებენ მედიკოსის საპატიო სახელს, წარმატებით ხელმძღვანელობენ სამედიცინო თუ სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებს.

მრავალმხრივი იყო ვახტანგ ფიფიას პიროვნება — გამოირჩეოდა დიდი



ერუდიციით, არა მარტო ქირურგიაში, არამედ ხელოვნებასა და, განსაკუთრებით, ლიტერატურაში. ის იყო შესანიშნავი მასწავლებელი, კოლეგა, მეგობარი და მოქალაქე. მისი ვაჟკაცობა, სიმტკიცე, სიმართლის გზაზე სვლის ჟინი, პრინციპულობა და პროფესიონალიზმი კიდევ ერთხელ დადასტურდა 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიისას, ბატონი ვახტანგი მოქმედებდა ყოვლად უყოყმანოდ და ყველაფერი იღონა, რათა დაესაბუთებინა, რომ მაშინ ადგილი ჰქონდა მოსახლეობის მოწამვლას. როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, აქტიურად მონაწილეობდა დაზარალებულთათვის დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენასა და მათი უფლებების დაცვაში.

ვახტანგ ფიფია 60 წლის ასაკში გარდაიცვალა. წავიდა ცხოვრებიდან თავისი ჯერ კიდევ დაუხარჯავი შესაძლებლობების ზღვარზე და უამრავი განუხორციელებელი იდეა დატოვა ქართულ სამედიცინო მეცნიერებასა და თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში. მადლიერი ერი არასოდეს დაივიწყებს ამ შესანიშნავ მედიკოსს, მეცნიერსა და მოქალაქეს.

**ჯიმშერ ფხალაძე,**
**ქ. თბილისის მერიის შპს აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის თორაკო-აბდომინური კლინიკის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.**

◎ ტკივილი

# მწარე შოლტი ქუთაისის უნივერსიტეტისთვის

**არისტოფანეს ბერძნებისთვის კრიტიკა არ დაუკლია, მაგრამ მადლიერმა ბერძნებმა მას ძეგლი დაუდგეს. არც ილია ჭავჭავაძეს დაუკლია ქართველებისთვის მწარე სიტყვა, მაგრამ ქართველებმა ის თავიანთ სულიერ მამად აღიარეს. საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ ერთი გენიალური არისტოფანე გახლდათ და მეორე — დიდი ილია. მთავარი იყო ის, რომ ორივენი მწარე სიმართლეს ტკივილით ამბობდნენ, თავიანთი ერის გამოსაფხიზლებლად და გასაუმჯობესებლად და არა — ნიშნის მოგებით.**

რამდენიმე დღის წინათ ქუთაისის უნივერსიტეტის შესახებ ტელევიზიით გადაცემულ სიუჟეტს, ვფიქრობთ, სწორედ ეს ტკივილი აკლდა. ამიტომაც აღმოჩნდა ის განსაკუთრებით მძიმე მოსასმენი არა მარტო უნივერსიტეტელებისთვის (როგორც პროფესურის, ისე სტუდენტებისთვის), არამედ ყველა საღად მოაზროვნე, საკუთარი ქალაქის გულშემატკივარი ადამიანისთვის.

ქალაქში, რომელსაც „ძველი დიდებიდან“ ცოტა რამ თუ შემორჩა, რომელმაც ნელ-ნელა დაკარგა მეორე კულტურულ-საგანმანათლებლო-სამრეწველო ქალაქის ფუნქციები და ლამის ქალაქად აღარც კი მოიხსენიონ, უნივერსიტეტმა სხვა დატვირთვა შეიძინა და, შეიძლება ითქვას, ძირითად ნავსაყუდელად დაურჩა ქუთაისელთა სულიერ ამბიციას. ამიტომაც მიიღო მთელმა ქალაქმა ძალზე მტკივნეულად სატელევიზიო გადაცემა და უკვე რამდენი დღეა, ქალაქი არ ცხრება იმის გარკვევით, თუ რა ხდება უნივერსიტეტში.

იმ სიუჟეტში აქცენტი გაკეთდა ქუთაისის უნივერსიტეტის ევროპული ფილოლოგიის და ხელოვნების ფაკულტეტზე, რომლითაც წლების მანძილზე თავს იწონებდა უნივერსიტეტიცა და მთელი ქალაქიც. აქ რომ საქმე კეთდებოდა და ძალიან კარგადაც კეთდებოდა, იცოდა ყველამ თბილისშიც, ბათუმშიც, ქუთაისშიც... საარბრიუკენშიც, ჰაილდერბერგშიც და ნიუპორტშიც...

ჩვენ შორს ვართ იმის მტკიცებისგან, რომ აქ მხოლოდ ანგელოზები ვართ, უფრთონიც მოიძებნებიან, მაგრამ ქუთაისის უნივერსიტეტის ერთნიშნად უარყოფით კონტექსტში მოიხსენიება და კათხა ლუდამდე მთელი მისი პოტენციალის დაყვანა ხომ ძალიან შეურაცხმყოფელია (თუ საერთოდ აბსურდული არა), რაც განათლების მინისტრის მიერ აღნიშნულ სიუჟეტზე სწრაფად გაკეთებულ რეაქციაშიც კარგად გამოჩნდა.

მით უმეტეს აბსურდულად გვეჩვენება ყოველთვის პირველთა რიგებში მყოფი ევროპული ფილოლოგიისა და ხელოვნების ფაკულტეტის ყველაზე მოწინავე კორუმპირებულად დასახელება და საქვეყნოდ ლაფის სროლა (შენც, ბრუტუს!). სიტყვა **პირველი** ჩვენ შემთხვევით არ გვიხსენებია ამ ფაკულტეტთან მიმართებაში. აქ პირ- [illegible]

აქ შეიძლება მოიპოვო საერთაშორისო სერტიფიკატები, აქ ერთ-ერთი პირველი გაიხსნა საბაზრო მოთხოვნებზე ორიენტირებული და ინტერდისციპლინარული სპეციალობები, პირველად მოხდა სწავლების საკრედიტო სისტემაზე გადასვლა, დაინერგა მოდულებით სწავლება. სასწავლო პროცესი ხორციელდება თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამეცნიერო ხარისხის მქონე პოტენციალი. მუდმივად ხდება შეფასების ფორმისა და მეთოდების სრულყოფა, გაფართოვდა საერთაშორისო კავშირები, აქ პირველად გამოიცა საფაკულტეტო მასშტაბით სამეცნიერო შრომები, სტუდენტთა ცოდნით (რაც, ალბათ ფაკულტეტის მუშაობის შეფასების უპირველესი კრიტერიუმებია) კმაყოფილი რჩებიან საერთაშორისო დონის მეცნიერები, ქართველები და უცხოელები (გვარების დასახელებისგან შეგნებულად ვიკავებთ თავს, იმ ცნობილ ავტორიტეტებს „ჩრდილი“ რომ არ მივაყენოთ „კორუმპირებულებთან“ თანამშრომლობის გამო!) შეიქმნა არაჩვეულებრივად „მდიდარი“ წიგნადი ფონდი, რამდენიმე დიდი მეცნიერის პირადი ბიბლიოთეკის ჩათვლით... აქ არის სუფთა კაბინეტ-ლაბორატორიები შუქით, გათბობით და საუკეთესო სამუშაო პირობებით.

გასაკეთებელთა ნუსხაში მოიაზრება კურიკულუმების და საერთოდ სასწავლო-მეთოდური დეპარტამენტის შექმნა, ფაკულტეტის სრული კომპიუტერიზაცია და საერთოდ კომპიუტერული სწავლების პრიორიტეტად მიჩნევა და კომპიუტერელი სერვისის დამონტაჟება, შეუზღუდავი ინტერნეტ-კავშირის უზრუნველყოფა, საბაზრო კონიუნქტურის მარკეტინგული კვლევა და მოსახლეობის სოციალური გამოკითხვის მიხედვით ბაზარზე ორიენტირებული დამატებითი სპეციალობების შემოღება, სამივლინებო ფონდების ზრდა...

არ გვინდა, ეს სტატია კრების ოქმიდან ამონაწერს დაემსგავსოს. ჩვენი მიზანია, გულისტკივილი გამოვხატოთ იმ ადამიანთა მიმართ, რომელთაც წლების მანძილზე სიყვარულით, უფრო მეტიც, ფანატიზმითაც აკეთეს თავისი საქმე. მაშინაც კი, როცა მეცნიერება და განათლება აღარ მოიაზრებოდა პრიორიტეტულ სფეროებად, არც ხელფასი რიგდებოდა (ასეთიც გვახსოვს) და როცა მეცნიერ-მუშაკს ეპითეტად (ჩვენდა სამარცხვინოდ) „საწყალი“ ემატებოდა მხოლოდ. ამ ადამიანებმა სწორედ ამ ძნელბედობის ჟამს, როცა უცხო ენის ცოდნა სულაც აღარ ითვლებოდა დიდ ბედენად, შექმნეს ანგლისტიკის, გერმანისტიკის, რომანისტიკის, სლავისტიკის მთელი სკოლა, შეაყვარეს სტუდენტებს ლიტერატურა, ასწავლეს, როგორ იკითხონ მხატვრული ნაწარმოებები და ასე აღზარდეს თაობები, კარგი სპეციალისტები, რომელთაც ყველგან გზა ხსნილი აქვთ და ყველგან სიხარულით [illegible]

საც, იმ სიუჟეტით ნებსით თუ უნებლიეთ, გული ატკინეს. ჩვენ აუცილებლად ავაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, იმასაც ვისწავლით, რომ დემოკრატია არ ნიშნავს იმას, რომ ყველამ ყველაფერი ილაპარაკოს. მალე, ალბათ, ვიქნებით მატერიალურად უზრუნველყოფილებიც, გვექნება ნორმალური ხელფასები, შუქიც, წყალიც, გათბობაც... მაგრამ ეს ყველაფერი არარაობად იქცევა, თუ ამასობაში დავკარგავთ საკუთარ ეროვნებას — ქართველობას, რომელიც თავის თავში აერთიანებს კაცთმოყვარეობას, ნიჭიერებას, გულისხმიერებას და ტრადიციების ერთგულებას.

მრავალჯერ თქმულა და ჩვენც ვიმეორებთ, სულაც არ არის აუცილებელი, ყველა ამერიკული სტანდარტი განურჩევლად, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე მივიღოთ, თორემ ჩვენთვის სრულიად მიუღებელია ერთი ამერიკელი სტუმრის დამოძღვრა — უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის არის და ლექტორი შენიშვნას მაშინაც კი ვერ მისცემს, თუ ის ლექციაზე მოულოდნელად ჭამა-სმას გააჩაღებსო. რატომ უნდა იფიქრონ სტუდენტებმა კუჭზე მაინცდამაინც მაშინ, როდესაც სულიერებაზე ელაპარაკებიან?!

დაბოლოს (სულხან-საბასეული) მორალი: იმ დემოკრატიულ, უზრუნველყოფილ, განათლებულ სახელმწიფოში, რომლის აღმშენებლობის გზასაც ჩვენ უკვე მტკიცედ დავადექით, ნუ გავიმეტებთ საქმის მკეთებელ ადამიანებს, ასაკოვანთ თუ უასაკოთ, ხშირად საკუთარი ოჯახის ინტერესებზე მაღლა სამსახურებრივ ინტერესებს რომ აყენებენ, აგრერიგად ადვილად ლაფის სასროლად, მადლობა ვუთხრათ გაკეთებულისთვის და თავისი ღირსეული ადგილი მივუჩინოთ ახალ ცხოვრებაში, ვასწავლოთ ჩვენს შვილებს თეთრისა და შავის გარჩევა, ყველას და ყველაფერს ერთ წყალს ნუ გადავასხამთ, ნუ დავუკარგავთ ქუთაისელებს იმ ნათელ წერტილს, ქუთაისის უნივერსიტეტი რომ ჰქვია — აქ ისევეა ცუდი და კარგი, როგორც სხვაგან — არც მეტად და არც ნაკლებად. ნუ გავიმეტებთ კარგს ერთი კოლოფი სიგარეტისთვის, როცა მთელ საქართველოს ვასმენინებთ ჩვენს ხმას. არაფერი არ ეშლება იმას, ვინც არაფერს აკეთებს, მაგრამ არსებობს ისეთი გამოთქმა, როგორიცაა „ხვედრითი წონა“ — ამ შემთხვევაში რომელი რომელს გადაწონის, კარგი — ცუდს თუ პირიქით? თორემ ამბობენ, ხანდახან მოხუც ჰომეროსსაც ჩაეძინებაო. თუმცა, ამის გამო მისი პოემები არავის დაუწუნია. ნუ გადავკრავთ შოლტს საკუთარ ქალაქს...

**ქუთაისის უნივერსიტეტის ევროპული ფილოლოგიისა და ხელოვნების ფაკულტეტის სახელით პროფესორები: ნანული კაკაურიძე, ნინო ჩიხლაძე, დოცენტები: მაია ჭოლაძე, ირინე შიშინაშვილი, ზაალ ლილუაშვილი, ნუგზეშა გაგნიძე, ირაკლი ცხვედიანი, ზურაბ არჩვაძე და სხვა.**

**(სულ 41 ხელმოწერა).**

**ქუთაისი.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

მდინარე ხობისწყლის შესართავში ნავთობპროდუქტების გადასატვირთი ტერმინალის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, **შპს „შავი ზღვის ტერმინალი“ მის. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. № 3, მე-4 სართული,** რეკვიზიტები: **გაერთიანებული ქართული ბანკი, კოდი 220101666, ა/ა 014467277, საიდენტიფიკაციო კოდი 204892170,** აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს ცენტრალური კოლხეთის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის შეზღუდვის საკომპენსაციო პაკეტის მოსამზადებელ საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

საკომპენსაციო პაკეტი მომზადებულ უნდა იქნას რამსარის კონვენციის პრინციპების და მოთხოვნების მიხედვით, რათა უზრუნველყოს საქართველოს მხარის მიერ რამსარის კონვენციის დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

კონსულტანტმა უნდა განახორციელოს:

1. **წყალჭარბი ტერიტორიის დანაკარგის შეფასება;**
2. **საკომპენსაციო ტერიტორიის შერჩევა და შეფასება;**

სამუშაოს შესრულების ვადა 12 თვე.

დაინტერესებულ პირებს ტექნიკური დავალების გაცნობა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლია შემდეგ მისამართზე: **შპს „შავი ზღვის ტერმინალი“ ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. № 3, მე-4 სართული, საკონტაქტო პირი იასონ გრიგოლია. ტელ: 37-98-08; 899 53-80-35.**

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტით **2005 წლის 16 იანვრის 10 საათიდან 2005 წლის 17 იანვრის 14 საათამდე** ზემოთ მითითებულ მისამართზე.

## ღვთისშვილთა კავშირი

გილოცავთ შობა-ახალ წელს და გაცნობებთ, რომ ამოქმედდა „ცხელი ხაზი“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

**ტელეფონის ნომრები:**
**25-01-45, 22-54-17.**

შშმპ-ებს შეუძლიათ მიიღონ იურიდიული კონსულტაცია, ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე დაკავშირებით და ისარგებლონ ფსიქოლოგის დახმარებით.

◉ დაფასება

# სიყვარული – სიხარულის წილ

**ოთხი ათეული წელიწადი მიილია მას შემდეგ, რაც საქართველოს სპორტულმა ჟურნალისტებმა პირველად დაასახელეს ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენი. 1964 წელს ასეთი პატივი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელს სლავა მეტრეველს ხვდა.** სხვადასხვა დროს ამ ტრადიციულ გამოკითხვაში გაუმარჯვიათ ომარ ფხაკაძეს (1965 წ.), ალექსანდრე მეტრეველს (1966), ზურაბ საკანდელიძეს (1967), ვიქტორ სანეევს (1968, 1972, 1976), თინათინ ლეკვეიშვილს (1971, 1973, 1974), ნონა გაფრინდაშვილს (1969, 1975), დავით კვაჭაძეს (1977), მაია ჩიბურდანიძეს (1978, 1984, 1986), თემურ ხუბულურს (1979), ქეთევან ლოსაბერიძეს (1980), რამაზ შენგელიას (1981), მოჭადრაკე ქალთა ნაკრებს (1982, 1994), თეიმურაზ აფხაზავას (1983), დავით გობეჯიშვილს (1985, 1990), ლერი ხაბელოვს (1987), ნინო სალუქვაძეს (1988, 1999) კახი კახიაშვილს (1992, 1993), გიორგი ვაზაგაშვილს (1995), ელდარ კურტანიძეს (1996, 2002, 2003), გიორგი კანდელაკს (1997) და გიორგი ასანიძეს (1998, 2000, 2001).



გუშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ კვლავ შეიკრიბნენ ქართული მასმედიის წარმომადგენლები, საქართველოს სპორტის მესვეურები, სახელოვანი ათლეტები, მწვრთნელები, ზოგიერთი ფირმის ხელმძღვანელები.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად **2004 წლის ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძიუდოისტი ზურაბ ზვიადაური დაასახელეს,** რომელსაც ამ აღიარებასთან ერთად დაოჯახებაც მიულოცეს. მეორე ადგილი, ასევე, ოლიმპიურ ჩემპიონს **გიორგი ასანიძეს** ხვდა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: **3. რამაზ ნოზაძე** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **4. ნესტორ ხერგიანი** (ძიუდო), **5. მალხაზ ასათიანი** (ფეხბურთი), **6. ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა), **7. ზაზა ფაჩულია** (კალათბურთი), **8. ლევან კობიაშვილი** (ფეხბურთი), **9. ნიკოლოზ იზორია** (კრივი), **10. ვლადიმერ ბოისა** (კალათბურთი). **წლის საუკეთესო გუნდად ძიუდოისტთა ნაკრები აღიარეს.** სამახსოვრო პრიზით დააჯილდოვეს ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა). ცნობილი ჟურნალისტის ნოდარ გუგუშვილის პრემია გაზეთ „სპორტის“ ფეხბურთის განყოფილების რედაქტორს კოტე გოგიშვილს გადაეცა. საუკეთესო სამეულში გასული სპორტსმენები ფასიანი საჩუქრებით (ვიდეომაგნიტოფონი, ფერადი ტელევიზორი, მობილური ტელეფონი) დააჯილდოვეს სახელოვანმა ვეტერანმა ძიუდოისტმა შენგელი ფიცხელაურმა, „იმედიაჰოლდინგის“ გენერალურმა დირექტორმა ლევან ძნელაძემ, „ჯეოსელის“ მენეჯერმა, ყოფილმა კალათბურთელმა ვაჟა ქუთათელაძემ.

საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ფასიანი საჩუქრები ხვდათ სეოკის გენერალურ მდივანს ემზარ ზენაიშვილს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვეტერან თანამშრომელს დავით კინწურაშვილს.

ლაურიატებსა და ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, სეოკის საპატიო პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი ელგუჯა ბერიშვილი. საზეიმო საღამო ანსამბლ „ქართული ხმების“ წევრებმა გაალამაზეს. წლის საუკეთესო ათლეტებს გულშემატკივრებისთვის 2004 წელს მოგვრილი სიხარულის წილ ზღვა სიყვარული მიაგეს.



– უსაზღვროდ ბედნიერი ვარ... დიდი მადლობა სპორტული მასმედიის წარმომადგენლებს, რომლებმაც გამომარჩიეს და საქართველოს პირველ სპორტსმენად დამასახელეს, – მითხრა ზურაბ ზვიადაურმა. – თუმცა, უმჯობესი იყო, მე და გიორგი ასანიძე ერთად ვმდგარიყავით ამ კვარცხლბეკზე.

ბედნიერი ვარ იმითაც, რომ დღევანდელ სიხარულს მეუღლესთან ერთად ვინაწილებ – ორი დღეა, რაც მე და ხათუნა ჭინჭარაული შევუღლდით.

დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ მთელს საქართველოს!

**ლექსო ცინცაძე.**

**სურათებზე: საქართველოს 2004 წლის სპორტული სეზონის ლაურეატთა დაჯილდოების მომენტები.**
**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**







◉ ქველმოქმედი

# მითი, რომელიც რეალობად უნდა იქცეს

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესიაზე ცნობილმა ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა, სეოკის ვიცე-პრეზიდენტმა და სპორტის ზამთრის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ განაცხადა, რომ არ არის გამორიცხული, ბაკურიანმა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე პრეტენზია განაცხადოსო.**

**რა არის ეს – მითი თუ რეალობა? ამის თაობაზე და, საერთოდ, საქართველოში სპორტის ზამთრის სახეობების მდგომარეობაზე ბატონ გოგის ვესაუბრე.**

– სასიხარულო ამბავი მინდა გაუწყოთ: – მითხრა მან – ახლახან მივიღე ინფორმაცია 13 წლის წაღვერელი მოთხილამურის – ჯაბა გელაშვილის წარმატების შესახებ. ჩეხეთში თოთხმეტ-თხუთმეტწლიანთა საერთაშორისო ტურნირზე ჯაბამ სლალომსა და გიგანტურ სლალომში მესამე ადგილები დაიკავა. არადა, შეჯიბრებაში ავსტრიელები, ფრანგები, ჩეხები, შვეიცარიელები და სხვა მოწინავე ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. 5 წელიწადია ეს პერსპექტიული ყმაწვილი შეკრებებზე დაგვყავს და, როგორც ხედავთ, შედეგმაც არ დააყოვნა.

ამას წინათ ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე, ასევე, ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა იასონ აბრამიშვილმა. სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ წლეულს ჩამოაყალიბა ნიჭიერ ახალგაზრდა ათლეტთა ოცკაციანი გუნდი, რომლის წევრებიც საკუთარი სახსრებით დაჰყავს შეჯიბრებებზე. მათ შორის გახლავთ 16 წლის იასონ აბრამიშვილი. იგი გაისად უკვე დიდებშიც მოსინჯავს ძალებს.

**– მსოფლიო ჩემპიონატზე ვინ იასპარეზებს?**

– ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებას 28 იანვრიდან 12 თებერვლამდე იტალიის ქალაქი ბორნიო უმასპინძლებს. იქ გამოსვლის უფლება მოიპოვეს სოფიო ახმეტელმა, მანანა კაიშაურმა, ნუკრი წერეთელმა, იასონ აბრამიშვილმა და თენგიზ ბაქრაძემ, მათ შორის ყველაზე გამოცდილი ბაქრაძე და ახმეტელი გახლავთ. მოგეხსენებათ, სოფიომ ორი წლის წინათ ერთ-ერთ საწვრთნელ შეკრებაზე მძიმე ტრავმა მიიღო. მართალია, ზაფხულიდან იგი მთელი დატვირთვით ვარჯიშობს, მაგრამ, ვნახოთ, ეყოფა თუ არა ასე მცირე დროით მომზადება კვარცხლბეკზე ასასვლელად.

თორმეტი წელიწადია, ინსბრუკში იჯარით ვიღებთ სასტუმროს და 9-10 თვის განმავლობაში ჩვენი სპორტსმენები თხილამურებზე დგანან. სამწუხაროდ, იქ სავარჯიშოდ 5-6 სპორტსმენზე მეტი ვერ მიგვყავს, რადგან ძვირი ჯდება. ჩვენ კი მასობრიობა გვინდა, რათა საუკეთესოები ამოვარჩიოთ.

**– საამისოდ საკუთარი ბაზებია საჭირო...**

– გეთანხმებით. სპორტის ზამთრის სახეობების განსავითარებლად საქართველოში შესანიშნავი ბუნებრივი პირობები გვაქვს: არ გვაკლია მთა და თოვლი. მუხლმაგარი გოგო-ბიჭებიც გვეზრდებიან. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, ეს ჩვენი სპორტია, თუმცა, ეს არ კმარა. ქართული სათხილამურო სპორტი ყოველთვის იღებდა ღირსეულ შევსებას სვანეთიდან. შარშანწინ იქ საბაგირო გზაც გავიყვანეთ. მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. სათანადო პირობები უნდა შეიქმნას მთელი ინფრასტრუქტურით. მარტო ფედერაცია ვერაფერს გახდება, ადგილობრივი ხელისუფლება თუ არ დაეხმარა. ჩვენ ხომ საერთო საქმეს ვაკეთებთ, რასაც, უპირველესად, მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება ჰქვია.

ბაკურიანში უწინ მსოფლიო მნიშვნელობის ტურნირები იმართებოდა, განსაკუთრებით ტრამპლინიდან ხტომაში. რამდენიმე წელიწადია, ორივე ტრამპლინი გაპარტახებულია. სახელმწიფო თუ არ შეგვეშველა, მათ აღდგენას ვერ შევძლებთ. არადა, იქ გვყავს შესანიშნავი სპეციალისტი კობა წაქაძე, რომელსაც ნამდვილად ხელეწიფება „მფრინავების“ დაფრთიანება.

**– თქვენი ფედერაცია ბაზების მოწესრიგებაზე თუ ზრუნავს?**



– ორიოდ დღეში ბაკურიანს შეემატება ახალი სასტუმრო „თრიალეთი“, რომელსაც საკუთარი სპორტული დარბაზი აქვს. აქ ყველა პირობაა ნორმალური წვრთნისა და აქტიური დასვენებისთვის. საერთოდ, გვინდა, რომ ბაკურიანი პატარა სპორტულ ქალაქად ვაქციოთ. მშენებლობა უკვე დაწყებულია. უპირველესად წყალმომარაგებაზე ვიზრუნეთ, რაც ამ დაბის ყველაზე მტკივნეული პრობლემა იყო. სათხილამურო ტრასებიც საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა მომზადებული, თუმცა, ინფრასტრუქტურის მშენებლობისას, შესაძლოა, ზოგი რამ შევცვალოთ. უცხოურ ფირმებთან მივაღწიეთ შეთანხმებას და ექვსიდან 2 საბაგირო გზა გაისად ჩადგება მწყობრში.

**– სეოკის სესიაზე თქვენ ბრძანეთ, რომ არ არის გამორიცხული, ბაკურიანმა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზეც განაცხადოსო პრეტენზია. რა არის ეს – მითი თუ რეალობა?**

– ბაკურიანის აღმშენებლობა ჩვენ მიერ ნავარაუდევი ტემპით თუ წარიმართა, მითი რეალობად იქცევა. მართალია, სამთო-სათხილამურო ტრასები მზად გვაქვს, მაგრამ უმაღლესი დონის შეჯიბრებების სამასპინძლოდ, როგორც გითხარით, ეს არ კმარა, მით უმეტეს – ოლიმპიური თამაშებისთვის. რამდენიმე წლის წინათ ნაგანოს ზამთრის თამაშებს დავესწარი. ოლიმპიური სოფელი სწრაფდაშვების ტრასებიდან თითქმის 200 კილომეტრით იყო დაშორებული. ამიტომ ჩვენც უნდა ვიზრუნოთ, სპორტის ზამთრის სახეობების საერთო კომპლექსში თბილისი, ბორჯომი და გუდაურიც მოვაქციოთ.

აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ ალპები, პირენეები, საერთოდ, ევროპის ზამთრის კურორტები მსურველებს ვერ იტევს. ხალხი კანადასა და ალიასკაზე ეძებს გასართობს. საქართველო გეოგრაფიულად უფრო ახლოსაა. ტურისტები უნდა მოვიზიდოთ. აუცილებელია, სამთო ტურიზმი ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცეს, რასაც საერთაშორისო სარბიელზე მიღწეული წარმატებებიც შეუწყობს ხელს.

ერთიც მინდა დავძინო: საქართველოში ძალიან პოპულარულია ციგურებით ფიგურული სრიალი. ბატონი ირაკლი ჯაფარიძის დაუღალავი შრომით ეს სახეობა ჩვენთან აღმავლობას განიცდის. საბურთალოზე ცეროდენა საციგურაოზე ასობით მოზარდი ვარჯიშობს. ისეთი სპორტსმენებიც გვყავს, რომლებსაც დიდ არენაზეც შეუძლიათ წარმატების მიღწევა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ვახტანგ მურვანიძე და ნინო გედევანიშვილი. სათანადო პირობების უქონლობის გამო ერთი ამერიკაში, მეორე კი მოსკოვში იმაღლებს ოსტატობას. გადაწყვეტილი გვაქვს, ბაკურიანში სასტუმრო „თრიალეთთან“ გავხსნათ ღია საციგურაო. ჩვენი გოგო-ბიჭები ემოციურობით და პლასტიკურობით უცხოელებს არ ჩამოუვარდებიან. სათანადო ხელშეწყობა თუ იქნება, დიდ კვარცხლბეკზე ისინიც ავლენ.

**– ბატონო გოგი, თქვენი ქველმოქმედების შესახებ მთელმა ქვეყანამ იცის, მაგრამ, „თოფაძის ფონდზე“ ცოტა რამ მაინც გვითხარით.**

– ქველმოქმედებისთვის ჩემი ფონდი ყოველწლიურად მილიონ ლარს ხარჯავს. თითქმის 40 პროცენტი სპორტზე მოდის. მარტო ზამთრის სახეობების ეროვნული ფედერაციის შენახვა 120 ათასი დოლარი გვიჯდება. წლეულს ფეხბურთის ფედერაციასთან გავაფორმეთ ხელშეკრულება და 150 ათასი დოლარი გადავურიცხეთ. დავეხმარეთ მოჭიდავეებს, მოკრივეებს. ჩვენს სახელოვან ოლიმპიელებს – ზურაბ ზვიადაურსა და გიორგი ასანიძეს მსუბუქი ავტომანქანები შევუძინეთ. დამოუკიდებელი საქართველო ოლიმპური თამაშებიდან 12 წელიწადი ელოდა ოქროს მედალს. ამ ბიჭებმა ოცნება აგვიხდინეს და ისინი დიდი ჯილდოების ღირსი არიან. შეძლებისდაგვარად დავასაჩუქრეთ ვერცხლის მედალოსნები – ნესტორ ხერგიანი და რამაზ ნოზაძე, ასევე, ჩვენი სახელოვანი ფალავანი ელდარ კურტანიძე.

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს. ბადრი პატარკაციშვილი მხსნელად მოევლინა ქართულ სპორტს. ჩვენ, ბიზნესმენებიც, ამოვუდგებით მას გვერდში და ვიმედოვნებ, რომ ქართველი სპორტსმენები 2008 წელს პეკინის ოლიმპიურ თამაშებშიც გვასახელებენ.

**საუბრა**
**ვაჟა დანელია.**



## ოთხშაბათი, 29 დეკემბერი

08.00 "ადრე" 10.00 დოკ. ფილმი "პარალელური სამყაროები" 11.00 სერიალი "**მემკვიდრე ლუნა**" 12.00 "მთავარი" - საინფ. პროგრამა 12.20 ანიმაციური ფილმები 13.00 "სარჩევი" 14.00 სერიალი "**მაქსიმო ჩემს გულში**"- 15.00 "მთავარი" - სომხურ ენაზე 15.30 "რაციო" 16.30 "არტე" წარმოგიდგენთ – "იფის ციხე-სიმაგრე" 17.30 "ვაკანსია" 18.00 "მთავარი" 18.30 სერიალი "**ჯეტ ჯექსონი**" 19.00 "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ –"სენტიმენტალური ბედი" მე-2ს. 20.00 "მთავარი" 20.45 "ბაბილინა" 21.00 სერიალი "**მემკვიდრე ლუნა**" 22.00 დოკ. ფილმი "სიმართლე ტროას შესახებ" 23.00 "ახალი პროექტი" 23.30 ფილმი "**გახსოვდე**" (U) 01.15 საინფ. გამოშვება

19.00 სერიალი "**მაქსიმო ჩემი სიყვარული**" მე-3 ს. 19.45 ანიმ. სერიალი "კლიფორდი" მე-3 ს. 20.15 "ბაბილინა" 20.30 დოკ. ფილმი 21.20 "მრწამსი" (ორშაბათის) 21.45 "სარჩევი" 22.40 "გზაჯვარედინი" (ორშ.) 23.10 კინოსეანსი

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუტები" 10.00 სერიალი "**ეკლები და ვარდები**" 11.00 დოკ. ფილმი "დალაილამა თავისუფლების ტყვეობაში" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.35 კურიერი 12.20 სერიალი "**შეყვარებული ქალები**" 13.30 მხ. ფილმი "**არ დაიდარდო**" (U) 15.25 სერიალი "**ბევერლი ჰილზი**" 16.30 სერიალი "**ეკლები და ვარდები**" 17.25 "ტელელიპუტები" 18.20 "ადამიანი ობობა" 18.55 სერიალი "**ბევერლი ჰილზი**" 19.45 პატრული 19.55 სერიალი "**შეყვარებული ქალები**" 22.00 ხალხის პირისპირ 23.00 დოკ. ფილმი "საიდუმლო პოლიციელი" (ბი-ბი-სი) 00.00 მხ. ფილმი "**ბაგერ ვანსის ლეგენდა**" (U) (უილ სმიტი) 01.55 პატრული

07.00 სერიალი "**რელიქვიების მაძიებელი**" 07.30 დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 "იმედის" დილა 09.20 "დუბლიორი" 10.05 სერიალი "**მოჯადოება**" 11.15 სერიალი "27 **დრაკონი**" 12.20, 17.10, 04.30 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 04.00 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი "**სენტიმენტალური მკვლელი**" (U) (მ. დაკასკოსი) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.50, 03.50 ქრონიკა 15.20 სერიალი "**ოცნების სანაპირო**" 16.40 დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" 17.20 არტ-ბულვარი 18.05 სერიალი "**მოჯადოება**" 19.55 სერიალი "**ოცნების სანაპირო**" 20.55 სერიალი "27 **დრაკონი**" 22.50 სერიალი "**კექსი დიდ ქალაქში**" 23.15 უცნობი საქართველო 00.05 მხ. ფილმი "**სიყვარული იარაღია**" (18) (კ. პრესტოუნი) 01.50 მხ. ფილმი "**სინანული**" (U) (ი. აჯანი)

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" 09.30 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი "**სინიორ ვიანელო**" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 სერიალი "**ჩენტო ვეტრინე**" 12.05 კრიმინ. დრამა "CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 13.05 სერიალი "**პოლიციელი ქალები**" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" 16.05 სერიალი "**ველური მთვარე**" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.20 სერიალი "**პოლიციელი ქალები**" 18.20 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 18.50 "ჯეოსტარი" 19.00 სერიალი "**ჩენტო ვეტრინე**" 20.45 სერიალი "**სინიორ ვიანელო**" 21.45 კრიმინ. დრამა "CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 "არჩევანის ზღვარზე" 23.45 მხ. ფილმი "**რეკეტი**" (U)

12.00 მხ. ფილმი "**სიყვარულის სიმწარე**" (U) 14.00 NEO-TV 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.20 NEO-TV 19.20 სპექტრი 21.30 მხ. ფილმი "**სიჩქარის წყურვილი**" (U) 00.30 NEO-TV

09.00 საინფ. დაიჯესტი 09.20 ფილმი-ზღაპარი "**თოვლის დედოფალი**" 10.40 დოკ. ფილმი "ზღვის ეშმაკები" 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 11.45 მუს. კომედია "**ჩვეულებრივი სასწაული**" 1 ს. 13.00 მხ. ფილმი "**დიდი ქურდობა**" 14.45 მხ. ფილმი "**გახსოვდეს**" 16.35 მულტსერიალი 17.45 პანტომიმის თეატრი "**სტუმარ**-[illegible] 21.00 მისტიკური თრილერი "[illegible]" 22.25 მუსიკა 23.00 "ზღვარი" 23.30 საინფ. დაიჯესტი 23.50

## ხუთშაბათი, 30 დეკემბერი

08.00 "ადრე" 10.00 დოკ. ფილმი "სიმართლე ტროას შესახებ" 11.00 სერიალი "**მემკვიდრე ლუნა**" 12.00 "მთავარი" - საინფ. პროგრამა 12.20 ანიმაციური ფილმები 13.00 "სარჩევი" 14.00 სერიალი "**მაქსიმო ჩემს გულში**" 15.00 "მთავარი" - აზერბაიჯანულ ენაზე 15.30 "ბიოგრაფიული პორტრეტები" - ბიორნ ქიორგის საგა 16.30 დოკ. ფილმი "გარეული ცხოველები გერმანიის ტერიტორიაზე" 17.30 დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" 18.00 "მთავარი" -რეგიონებიდან 18.30 სერიალი "**ჯეტ ჯექსონი**" 19.00 "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ –"სენტიმენტალური ბედი" მე-3ს. 20.00 "მთავარი" 20.45 "ბაბილინა" 21.00 სერიალი "**მემკვიდრე ლუნა**" 22.00 დოკ. ფილმი "დიდი კანიონი" 23.00 "მედიატორი" 23.30 ქართ. ფილმი "**ხევსურული ბალადა**" (U) 01.30 საინფ. გამოშვება

19.00 სერიალი "**მაქსიმო ჩემი სიყვარული**" მე-4 ს. 19.45 ანიმ. სერიალი "კლიფორდი" მე-4 ს. 20.15 "ბაბილინა" 20.30 დოკ. ფილმი 21.20 "პროფესიონალი" (სამშაბათის) 21.45 "სარჩევი" 22.40 კონცერტი (შაბათის) 23.10 კინოსეანსი

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუტები" 10.00 სერიალი "**ეკლები და ვარდები**" 11.00 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.50 კურიერი 12.20 სერიალი "**შეყვარებული ქალები**" 13.30 მხ. ფილმი "**საკარნავალო ღამე**" (U) 15.25 სერიალი "**ბევერლი ჰილზი**" 16.30 სერიალი "**ეკლები და ვარდები**" 17.25 "ტელელიპუტები" 18.20 "ადამიანი ობობა" 18.55 სერიალი "**ბევერლი ჰილზი**" 19.45 პატრული 19.55 სერიალი "**შეყვარებული ქალები**" 22.00 "ვის უნდა 50 ათასი" 23.00 დოკ. ფილმი "ბრუკლინის ხიდი" (ბი-ბი-სი) 00.00 მხ. ფილმი "**წითელი დრაკონი**" (U). მთ. რ-ში: დანიელ ოტეი. 03.10 პატრული

07.00 სერიალი "**რელიქვიების მაძიებელი**" 07.30 დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 "იმედის" დილა 09.20 "დუბლიორი" 10.05 სერიალი "**მოჯადოება**" 11.15 სერიალი "27 **დრაკონი**" 12.20, 17.10, 02.55 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 03.25 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი "**ახლა კი ქალბატონებო და ბატონებო**" (U) (ჯ.აირონსი) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.15 ქრონიკა 15.20 სერიალი "**ოცნების სანაპირო**" 16.40 დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" 17.25 თამაში "ათასიდან ერთი შანსი" 18.05 სერიალი "**მოჯადოება**" 19.55 პრემიერა. მხ. ფილმი "**ქვირფასო მ**" (U) 22.50 სერიალი "**კექსი დიდ ქალაქში**" 23.15 თამაში "ათასიდან ერთი შანსი" 23.45 "პირველი ნახევარი" 00.15 მხ. ფილმი "**იდეალი**" (18) (ჯ. მაკარტნი) 01.45 მხ. ფილმი "**კარგი გოგონა**"(18)(ჯ. ანისტონი)

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 "ფოკუსის ისტორია" 09.30 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი "**სინიორ ვიანელო**" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 სერიალი "**ჩენტო ვეტრინე**" 12.05 კრიმინ. დრამა "CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 13.05 სერიალი "**პოლიციელი ქალები**" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" 16.05 სერიალი "**ველური მთვარე**" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.20 სერიალი "**პოლიციელი ქალები**" 18.20 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 18.50 "ჯეოსტარი" 19.00 სერიალი "**ჩენტო ვეტრინე**" 20.45 სერიალი "**სინიორ ვიანელო**" 21.45 კრიმინ. დრამა "CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 "არჩევანის ზღვარზე" 23.45 მხ. ფილმი "**ზორროგმოქმედნი როგორც ყოველთვის უცნობნი რჩებიან**" (U)

12.00 მხ. ფილმი "**სიჩქარის წყურვილი**" (U) 14.00 NEO-TV 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.20 NEO-TV 19.20 სპექტრი 21.30 მხ. ფილმი "**ტაქსი-1**" (U) 00.30 NEO-TV

09.00 საინფ. დაიჯესტი 09.20 კომედია "**გარფილდი**" 10.40 დოკუმენტური ფილმი 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 11.45 მუს. კომედია "**ჩვეულებრივი სასწაული**" 2 ს. 13.00 მხ. ფილმი "**იცით თქვენი კატა მკვდარია**" 14.45 კომედია "**უნებლიე მილიონერი**" 16.20 მულტფილმი "იმპერატორის თავგადასავალი" 17.45 ფრაგმენტები ლ. შენგელიას კონცერტიდან 18.30 საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" [illegible] 20.00 გადარჩენილი სიტყვა 21.00 მხ. ფილმი "[illegible] **სანახავად**" 22.45 "ექსკლუზივი" 23.30 საინფ. დაიჯესტი

◉ კალათბურთი

# არარეალური ასაკისთვის – რეალური სასჯელი



**საქართველოში იშვიათი როდია ნორჩი სპორტსმენებისთვის ასაკის გადაკეთების ფაქტები, რაც საგრძნობლად აქვეითებს მოზარდთა ნორმალურ დაოსტატებას. ამგვარი პრობლემა კალათბურთელებსაც აწუხებთ.**

სწორედ ამ საკითხზე ილაპარაკა საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე მინიკალათბურთის კომიტეტის თავმჯდომარემ სერგო იშხნელმა. მისი თქმით, ბოლო დროს ამ თვალსაზრისით მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. სიყალბის ჩამდენი მწვრთნელები ფულადი ჯარიმებით ისჯებიან, მაგრამ, სამწუხაროდ, თითო-ოროლა შემთხვევა დღესაც გვხვდება. ამ მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ფედერაციის ინიციატივით, თითოეული მოზარდისთვის შემოიღეს პლასტიკური ბარათები, რომლებზეც აღნუსხულია ნორჩი კალათბურთელის დაბადების თარიღი და სასწავლებელი. ეს მოწმობა მას უმაღლეს ლიგაში გადასვლამდე გაჰყვება.

იანვრის მეორე ნახევარში გაიმართება ჭაბუკ კალათბურთელთა ფესტივალი, და თუ რომელიმე მწვრთნელი გადაზრდილი მოთამაშის გამოყვანას კიდევ გაბედავს, ფულად ჯარიმასთან ერთად მას ორწლიანი დისკვალიფიკაციაც ელის.

**გიორგი გაგუა.**

20 იანვარს, 12 სთ-ზე, ტარდება სს „ანაგის“ აქციონერთა საერთო კრება. კრებაზე განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა.
**მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, III სართული.**

◉ ჭრელაჭრულა

## მოკლე, მაგრამ ურთულესი

**სიდნეიში სტარტი აიღო მე-60 წინასაახალწლო საერთაშორისო რეგატამ, რომელშიც სხვადასხვა კლასის 116 იახტა მონაწილეობს. რეგატის მარშრუტი გასდევს მწვანე კონტინენტის აღმოსავლეთ სანაპიროს ბასის სრუტიდან ტასმანიამდე.**

შედარებით მოკლე მანძილის (628 საზღვაო მილი) მიუხედავად, ეს რბოლა ერთ-ერთი ურთულესია მსოფლიოში.

რბოლის პირველი საათებიდანვე ლიდერობა ხელთ იგდეს დიდმა იახტებმა, მათ შორის შარშანდელმა გამარჯვებულმა Skandia.

იახტის Hicorette შკიპერმა ლიუდე ინგვალმა გადაწყვიტა 2000 წლის გამარჯვების გამეორება.

ამინდის პროგნოზის მიხედვით, წლევანდელი რბოლის პირობები ძალზე ძნელი იქნება, ქარის სიმძლავრემ შეიძლება 60 კვანძს მიაღწიოს, ტალღების სიმაღლემ კი – 9 მეტრს. თუმც არ მოელიან ისეთ შტორმს, 1996 წელს რომ იყო. მაშინ ხუთი იახტა ჩაიძირა და 6 მეზღვაური დაიღუპა.

როგორც ავსტრალიიდან იუწყებიან, რეგატის მონაწილეები უკვე შეეჯახნენ შტურმულ ქარს. რის გამოც 17 იახტა გამოეთიშა რბოლას, ხოლო 8 კიდევ აპირებს ავსტრალიის პორტებში თავის შეფარებას.

ლიდერობს ახალზელანდიური Conica, რომელიც 4 მილით უსწრებს რეგატის სხვა მონაწილეებს.

## ესპანელებმა აღიარეს

**რუსეთელი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა 2004 წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალად აღიარეს ესპანური საინფორმაციო სააგენტოს EFE მიერ მოწყობილი გამოკითხვის მიხედვით. მარიამმა 193 ქულა დააგროვა და 59 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გამოსულ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, ბრიტანელ მორბენალს კელი ჰოლმსს. გამოკითხვამ მესამე ადგილი მიაკუთვნა რუსეთელ ჭოკით მხტომელს, ოლიმპიურ ჩემპიონს ელენა ისინბაევას (56 ქულა).**

ვაჟთა შორის წლის საუკეთესო სპორტსმენად გამოცხადდა მაროკოელი მორბენალი ხიშამ ელ-გერუჟი, რომელმაც ათენში ორი ოქრო მოიპოვა 1500 და 5000 მეტრზე სირბილში.



## ავტომანქანის მართვა უჭირთ

**პარადოქსული განცხადება გააკეთა ავტორბოლის „ფორმულა-1“ ცნობილმა პილოტმა, ბრიტანელმა დევიდ კულტჰარდმა. თურმე მას ეზარება თავისი საკუთარი ავტომანქანის მართვა. ეს კი იოლად აიხსნება: დიდ სიჩქარეს მიჩვეულ მრბოლს უჭირს მსუბუქი ავტომანქანის ტარება, საგზაო ნიშნების დაცვა, სიჩქარის დაოკება და ა. შ. იგი წელიწადში 3 ათას კილომეტრზე მეტის გავლას ვერ ახერხებს.**



მსოფლიო ავტორბოლის არც სხვა „ვარსკვლავებს“ უყვართ მანქანის მართვა „არაფორმალურ პირობებში“. მაგალითად, რალფ შუმახერს. როგორც მისმა მეუღლემ კორამ განაცხადა, შუმახერ-უმცროსს არ შეუძლია მანქანის წესიერად დაყენებაც კი, მუდამ ვიღაცის ავტომანქანა წამოედება ხოლმე.

ალბომი

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ვერა ხალვაში (შუაში) მეზობლებთან – რაისა პლიევასა (მარცხნივ) და გუგული ხვედელიძესთან ერთად. 1964 წელი.
მოგვაწოდა ოთარ ძიმისტარაშვილმა.

თბილისის სტუმარი

# მიშელ სონი: ჩვენ ვქმნით ტალანტებს!

**მიშელ სონი ალპებიდან მოვლენილ სანტა კლაუსს ემსგავსება, რომელიც გრანდიოზულ სიურპრიზებს უმზადებს ახალგაზრდა პიანისტებს... იმ ხელოვან სტუდენტებს, რომლებიც შემოქმედებით განდეგილობას ეზიარებიან და თანაც, ვარსკვლავებისკენ მიმავალ ბილიკებს მიუყვებიან.**

„SOS Talents“ – „სანტა კლაუსის“ ეს ის უნიკალური ფონდია, რომლის პატრონაჟითა და პრომოუშენით პიანისტთა საერთაშორისო ასპარეზზე გამობრწყინდნენ ახალი შემსრულებლები სტიმურ შარბაკუ, ეკატერინა გუმენიუკი... მალე მათ შეუერთდებიან თამარ და ნათია ბერაიები და კიდევ, სხვა ქართველი ბგერათხატმწერები...

... ფრანგ მაესტროსა და იმპრესარიოს მიშელ სონის მშვენიერი ელისო ბოლქვაძის დახმარებით მაშინ შევხვდი, როცა თბილისში ყოფნის რამდენიმე საათი ჰქონდა დარჩენილი.

– „საქართველოში ჩემი ამჟამინდელი სტუმრობა უკავშირდებოდა იმ გრანდიოზულ საქველმოქმედო კონცერტს, რომელიც უნდა გამართულიყო ოპერისა და ბალეტის თეატრში, მაგრამ საორგანიზაციო საკითხებისადმი შექმნილმა მცირეოდენმა შეფერხებებმა ეს საღამო მომავლისთვის გადადო. მიუხედავად ამისა, ეს ვიზიტი სახელოვანი პიანისტის ელისო ბოლქვაძის ინიციატივით მაინც ნაყოფიერი აღმოჩნდა: ნიჭიერთა ათწლედში მე შესაძლებლობა მომეცა მომესმინა იმ ნორჩ პიანისტთა საშემსრულებლო ხელოვნებისთვის, შემერჩია მათგან ის ახალგაზრდები, რომლებთანაც შემდგომში აქტიურად ვითანამშრომლებ.



საქართველო სავსეა ნიჭიერი პიანისტებით. მართალია, მათთვის მსოფლიო მუსიკალური სამყარო გახსნილია, მაგრამ ამ განზომილებაში ადგილის დამკვიდრება ძალიან რთულია, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ საშემსრულებლო ხელოვნებაში პროფესიონალიზმის დონე ძალზე მაღალია და კონკურენცია კი საოცრად დიდი. ჩემი სურვილია, ევროპის მთელ სივრცეში აღმოვაჩინო ახალგაზრდა ტალანტები და ჩემივე ფონდის მხარდაჭერით საერთაშორისო მასშტაბით შევუქმნა მათ ავტორიტეტი. მსოფლიოს პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში, საერთაშორისო კონკურსებსა თუ ფესტივალებში მაქსიმალურად წარმოვაჩინო ახალგაზრდა მუსიკოსების საშემსრულებლო ინდივიდუალიზმი, შევძინო მათ შემოქმედებას სასიამოვნო შტრიხები, ნატიფი ბგერები, ლამაზი ფერები და ოცნებები“.

**– საინტერესოა, ამ ფონდის კონცეფციური სისტემა მხოლოდ ფინანსურ მენეჯმენტს მოიცავს? თქვენი კონტაქტები კიდევ რომელი ქვეყნის მუსიკოსებზე შეაჩერებს არჩევანს?**

– იცით, ეს ფონდი მსოფლიოში ერთადერთი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც არა მხოლოდ შემოქმედებითი კარიერის პრომოუშენს განაგებს, არამედ... ახლო მომავალში ფონდის პროექტები ითვალისწინებს კომპაქტდისკების კომპანიის შექმნას, რაც პიანისტის მოღვაწეობისათვის მნიშვნელოვანია. მოგეხსენებათ, დღეს ძალიან რთულია ჩამწერ სტუდიებთან მუსიკოსის თანამშრომლობა, რადგანაც ფინანსურ სიძნელეებთან ერთად, აქ დროის ფაქტორიც განისაზღვრება. ამიტომაც, ბუნებრივია, ჩვენს ინტერესებში არ უნდა მოექცეს დროის უქმად დაკარგვის შედეგი. ახლო მომავალში ვფიქრობ საერთაშორისო ფესტივალის დაარსებას, რომელშიც სხვა პიანისტებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ჩემი ფონდის მუსიკოსები და ამ მხრივაც გამოვლინდება მათი საშემსრულებლო პოტენციალი. შემოქმედებით მოღვაწეობას კანონზომიერად მოსდევს ახალი კონტაქტების, საინტერესო პროექტების განხორციელება მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ ფონდის ინტერნაციონალური ურთიერთობები ამჯერად უკავშირდება ჰოლანდიას, შვეიცარიას... რაც შეეხება მის მუსიკოსებს, ისინი აყვანილი მყავს რუსეთიდან, ბელორუსიიდან, სერბეთიდან... მალე ჩეხეთსა და სლოვაკეთში, შემდეგ კი უნგრეთში მივემგზავრები პიანისტების შესარჩევად“.

... ასე რომ, ახალგაზრდა პიანისტები მიშელ სონის ჯადოსნური ჯოხის მოლოდინში რჩებიან.

**მზეხა მახარაძე.**
**სურათზე: მიშელ სონი.**

გიხაროდეს!

## შალვაშვილების საახალწლო საჩუქარი

გუშინ, დილით ჩვენმა საკუთარმა კორესპონდენტმა ნანა ჭიჭინაძემ დედოფლისწყაროდან გვაცნობა:

– დედოფლისწყაროს რაიონის სამშობიარო სახლში მაია ცოგოშვილსა და ირაკლი შალვაშვილს პირველი შვილი შეეძინათ – სალომე. გოგონა შალვაშვილების ოჯახის პირველი შვილიშვილიცაა. მისი შეძენა სოფელ წითელწყაროს რუსულ-ქართული საშუალო სკოლის დირექტორს ბებია სვეტლანა და პაპა თენგიზ შალვაშვილებსაც სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა მიულოცა. ოჯახი ახალ წელს ასეთი საჩუქრით ხვდება!



ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...



— ქალიშვილო, თქვენი და სიმპათიურია თუ თქვენ გგავთ?

* * *

ივან ივანიჩის დაკვირვებიდან: თუ საახალწლო სუფრაზე საქმე ტორტამდე მივიდა, ესე იგი, დღესასწაული არ შედგა.

* * *

ახლახან ციმბირის ღრმა სოფელში აღმოაჩინეს სტაროვერების ოჯახი, რომელსაც დღესაც სჯერა რუსეთის სახელმწიფო ტელეარხების ახალი ამბებისა.

* * *

მიდის ტელეგადაცემა „ვის უნდა მილიონი?“ ბოლო კითხვა. „ახალი რუსი“ სწორ პასუხს ვერ პოულობს.

— თქვენ ორი დახმარება გაქვთ: მეგობრისა და დარბაზისა, — შეახსენებს წამყვანი.

„ახალი რუსი“ მეგობარს ირჩევს, ურეკავს და ეუბნება:

— თუ ძმა ხარ, გამოგზავნე შენი დაცვის რამდენიმე წევრი. აქ ვიღაც ტიპი მილიონს არ იძლევა.

* * *

მილიციელის პატაკიდან: „...ეწეოდა სამშობლოსა და მთავრობის სიყვარულს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას“...

**დღის კალენდარი 29 დეკემბრისთვის**

☼ ამოდის 07.28, ჩადის 16.36

☾ ამოდის 05.49, ჩადის 14.34

**წლის 364-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 2 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

**წმიდა წინასწარმეტყველი ანგეასი (500 ქრისტეშობამდე); მოწამე მარინისა (III); ნეტ. დედოფლისა თეოფანიასი (893-894).**

**დაიბადნენ:**

**1904 – ანდრო ჟორდანია**, სპორტსმენი. გარდაიცვალა 1974 წელს.

**1911 – გივი ჟორდანია,** ისტორიკოსი, მედიევისტი. გარდაიცვალა 2001 წელს.

**მედია-ნიუსი.**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.**

კრიმინალი

## პატრულის დახმარებით

**დედაქალაქის გარევაჭრობის წერტილებში გუშინ უკანონოდ მოპოვებული ნაძვის ხეები ჩამოერთვათ.**

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა თამარ ლებანიძემ გუშინ დილით პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის წევრებთან ერთად თბილისის გარევაჭრობის წერტილები შემოიარა და პატრულის დახმარებით მოვაჭრეებს ნაძვის ხეები ჩამოართვა.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განკარგულებით, ცოცხალი ნაძვის ხეებით ვაჭრობა აკრძალულია. გამოიყო მხოლოდ ოთხი ადგილი – მეცხრე საავადმყოფოს, სპორტის სასახლის, მეტროს სადგურების „ვარკეთილისა“ და „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე ტერიტორია, სადაც კრიპტომერიებით ვაჭრობაა დაშვებული.

## ყაჩაღური თავდასხმა მსხვერპლით

**მეტროს სადგურ „ავლაბრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გუშინ მომხდარ ყაჩაღურ თავდასხმას მსხვერპლი მოჰყვა.**

როგორც „ინტერ-პრესს“ ისანი-სამგორის რაიონის პროკურორმა ვაჟა აბაკელიამ განუცხადა, „თბილფოსტის“ თანამშრომლებს ავტომანქანით საპენსიო თანხები – დაახლოებით 245 ათასი ლარი გადაჰქონდათ, რომელიც დაახლოებით 18 ობიექტში უნდა მიეტანათ. მეტრო „ავლაბართან“ მათ ავტომანქანით მოძრავი რამდენიმე შეიარაღებული პირი დაესხა თავს და ცეცხლი გაუხსნა. ავტომანქანის დაცხრილვის შედეგად გარდაიცვალა მძღოლი, დაჭრილია „თბილფოსტის“ ერთ-ერთი თანამშრომელი და შემთხვევითი გამვლელი, რომლებიც ახლომდებარე საავადმყოფოში გადაიყვანეს.

თავდასხმის დროისათვის „თბილფოსტის“ თანამშრომლებს მხოლოდ 20 ათასი ლარი ჰქონდათ დარიგებული, დანარჩენი თანხა კი – 200 ათას ლარზე მეტი თავდამსხმელებმა გაიტაცეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. თავდამსხმელების დასაკავებლად მიმდინარეობს ოპერატიული სამუშაოები.

**ინტერ-პრესი.**

შიდა ქართლი

# როგორი ამინდი იქნება ხვალ?

## ჯერჯერობით კი გორის აგრომეტეოროლოგიურ სადგურს ცუდი „ამინდი“ უდგას

– იზოლდა ბესელიას სთხოვეთ...

– შეშაზეა წასული.

– დღეს იზოლდა ბესელია მორიგეობს?

– წუხელ მორიგეობდა. ამ დილით გამგეობაში წავიდა, შეშას შეპირდნენ.

– იზოლდა ბესელიას...

– მესმის, ბატონო, მაგრამ სახლში არ არის, არც სამსახურშია, გუბერნატორი შეპირდა, მიგიღებო, რა თქმა უნდა, შეშის თაობაზე. ახლა, ალბათ, მისაღებში ზის და ელოდება.

– გუბერნატორმა ამას წინათ მოუცლელობის მომიზეზებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტი არ მიიღო და ახლა აგრომეტეოროლოგიური სადგურის გასაჭირს...

– თუ ჩვენი გასაჭირი გულთან არ მიიტანეს, ჩვენი შვიდკაციანი კოლექტივი რა მოსატანია, – გაჭირდება სადგურის მუშაობა. ფული გამგეობამ გადმოგვირიცხა, შეშის ყიდვის უფლებას კი არ გვაძლევენ, რადგან ეს არც აგრომეტეოროლოგიური ხელსაწყოა, არც რაიმე დანადგარი ან ინსტრუმენტიო, – ჩივის სადგურის აგროტექნიკოსი ზურაბ საღრიჩაშვილი.

ღუმელი კი აქ დღედაღამ უნდა ენთოს, რადგან სადგური 24 საათის განმავლობაში მუშაობს. ყოველ სამ საათში მორიგე აგროტექნიკოსი გადის გარეთ მინდორში და მოაქვს უკანასკნელი დაკვირვების შედეგები: როგორია თოვლის სიმაღლე, ნალექები, ჰაერის ტემპერატურა, ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურა, ქარის სიძლიერე, ატმოსფერული წნევა, ხომ არ შეიცვალა რადიაციული ფონი და სხვ. ცალკე აწარმოებენ დაკვირვებებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე.

იზოლდა ბესელია, სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი სპეციალისტი, მაღალი კვალიფიკაციის მეტეოროლოგი, ბარე ორმოცი წელია სადგურში მუშაობს და წლების განმავლობაში კოლექტივს ჯეროვანი წვლილი შეაქვს რაიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტების – ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოყვანაში და თუმცა უკანასკნელ წლებში ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა, არ შეცვლილა სადგურის აგროტექნიკოსების დამოკიდებულება მინდობილი საქმისადმი – კვლავაც ერთგულად ეწევიან საქვეყნო ჭაპანს.

ამ დღეებში ქართლში დიდი ყინვები დაიჭირა. 15 დეკემბერს ჰაერის ტემპერატურა მინუს 10,7 გრადუსამდე დაეცა, მომდევნო დღეს კი თერმომეტრმა მინუს 22,2 გრადუსი უჩვენა. შემდგომი დღეებიც მაღალი ყინვებით აღინიშნა – 18 დეკემბერს მინუს 19,5 (მიწის ზედაპირზე 21,3 გრადუსი ყინვა), 20 დეკემბერს – მინუს 20,2 (მიწის ზედაპირზე 20,8 გრადუსი ნულის ქვემოთ), 21 დეკემბერს „დათბა“ – დაახლოებით მინუს 9-10 გრადუსი იყო.

ასეთი მაღალი ყინვები დეკემბერში ქართლში იშვიათი მოვლენაა. ამჟამად სადგურის მუშაკები აანალიზებენ განვლილი დღეების შედეგებს



– რა ზემოქმედება მოახდინა ყინვებმა თესლოვან და კურკოვან კულტურებზე, ერთწლიან ნათესებზე. კოლექტივი კი ჯერჯერობით ვაჟკაცურად უმკლავდება სიცივეებს – კვლავაც ენერგიულად დარბიან შეშაზე, ზრუნავენ ხელსაწყოებისა და დანადგარების განახლებაზე, სატელეფონო ზარზე კი – როდემდე გასტანს ასეთი ცუდი ამინდებიო, ქალბატონი იზოლდა პასუხობს: ბუნებამ არ იცის კარგი და ცუდი ამინდი. ადამიანებს ყოველგვარი ამინდი სჭირდებათ, მათ შორის ისეთიც, თქვენ რომ ახლა ფანჯრიდან გასცქერით...

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

დედაქალაქი საახალწლოდ ემზადება







თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ყურადღება!

## არ დაგავიწყდეთ ხელმოწერა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“



**იკითხეთ განახლებული, ყოველდღიური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს არის ყველაზე სანდო, მართალი, ჯანსაღი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა, რომელსაც რეკლამა არ სჭირდება!**

**ხელმოწერას გაგიფორმებთ: „საქპრესა“ – 99-30-54; „მაცნე“ – 37-47-49; „უწყებანი“ – 93-64-72; „ექსპრესი“ – 96-23-11; „პლანეტა-ფორტე“ – 93-38-73; „ინფოსერვისი“ – 34-09-35; „თბილისის მიმომხილველი“ – 98-74-95.**

**ხელმოწერის ფასები:**

**1 თვით – 13 ლარი;**
**3 თვით – 39 ლარი;**
**6 თვით – 78 ლარი;**
**ერთი წლით – 156 ლარი.**

**გაზეთის გამოწერა და ხელშეკრულების გაფორმება, ექსპედირების ხარჯის გამოკლებით – ოცი პროცენტის ფასდაკლებით, შეგიძლიათ, აგრეთვე რედაქციაში, კოსტავას ქ. №14, 93-26-99, 99-73-24; ინდექსი – 66434.**

ხსოვნა

## თეიმურაზ ბერუჩაშვილი



გარდაიცვალა თბილისის 108-ე საშუალო სკოლის დირექტორი თეიმურაზ გიორგის ძე ბერუჩაშვილი, ადამიანი, რომელიც 25 წელი დიდი სიყვარულით და საშური ენერგიით ემსახურებოდა თავის საქმეს. ყოველთვის ღირსების გრძნობით ეკიდებოდა მოვალეობას. ბავშვების სიყვარულმა მოიყვანა იგი სკოლაში. ყოველთვის კეთილი, გულისხმიერი იყო კოლექტივის მიმართ, დიდი ნდობითა და სიყვარულით სარგებლობდა.

წავიდა ადამიანი და თან წაიღო მრავალრიცხოვანი კოლექტივის და მრავალი მადლიერი მოწაფის სიყვარული.

სკოლა დაობლდა. თითქოს სკოლის კედლები გაციებულია. წარმოუდგენელია, შეხვიდე სკოლაში და არ დაგხვდეს მისი სანდომიანი და მომღიმარე სახე.

მან სკოლაში დათესა დიდი სიყვარული და კაცური კაცის სახელი. ასეთივე ღირსებით წარდგება იგი წანაპართა სულების წინაშე, სუფთა და შეურყვნელი. მსუბუქი იყოს მისთვის სალოცავი მამულის მიწა. ღმერთმა დაუმკვიდროს ადგილი მართალთა შორის.

**108-ე საშუალო სკოლის კოლექტივი.**

საქართველოს ასოციაცია „მონკავშირის“ გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბაღდათის მონადირეთა და მეთევზეთა კლუბის პრეზიდენტი

იური ფურცელაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი კოკა ქოჩორაძე, და ზაირა, სიძე საშა ჩიკვაიძეები, რძალი ნათელა აბაშიძე, შვილიშვილები ია, გიორგი ქოჩორაძეები, დისწულები დათო, ალიკო ჩიკვაიძეები ოჯახებით, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თინათინ ნიკოლოზის ასული მშვენიერაძე-ქოჩორაძე

პანაშვიდი 29 XII, 16 სთ. დაკრძალვა 30 XII, 14 სთ. ყიფშიძის ქ. 6, I სადარბაზო.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამძიმარს უცხადებს თანამშრომელს მაია ცანავას ბებიის

თამარ შავლია-ცანავას

გარდაცვალების გამო.

---

შვილები გიანა კილასონია, ნანა, ლუარა ადანაიები, შვილიშვილები კახი, ვილი პაჭკორიები, სიძეები ლადო პაჭკორია, გიგუშა ტყებუჩავა, მული ცაცა კილასონია, შოთა, თათუშა, გურამ კილასონიები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვერა (ბობონა) ადანაია-კილასონია

პანაშვიდი 29 XII, 16 სთ, დაკრძალვა 30 XII, 14 სთ. წერეთლის გამზირი № 97, ბინა 54.

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika